


ივერია

1883

№ XII, დეკემბერი



თბილისი.

ექვთიმე სელაძის სტამბა.

1883

7-32.



ივერია

საკულტივო და სალიტერატურო
ქუჩისათვის

წელიწადი მეშვიდე

№ 12

263.

თბილისი
უკვთივე ხელაძის სტამბა, ღორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 декабря 1883 г.

ზინაარსი:

- I. ახალ გამოკვლევაზედ დაფუძნებული საქართველოს ისტორია წერილი დ. ბაქრაძისა 10
 - II. საანდაზო ლექსები (ამოკრებილნი «კეფხვის ტყაოსნიდამ», ქილილა და მანიდამ» და «გურამიანიდამ (შეიღეგი იქნება) 35
 - III. «ლექსნი პროზითა» თხზ. ტურგენიუკისა (თარგ.) 50
 - IV. ერთი ლამე თოვლ-ქვეშ (ამხავი სოფლის ცხოვრებადამ) გრ. ყიფშიძისა 62
 - V. საბერძნეთი. (დასასრული) 89
 - VI. ალები (ლექსი) თ. რ. ერისთავისა 110
 - VII. პოლიტიკა 112
 - VIII. განცხადებანი
 - IX. კორრექტურული შეცდომანი (უდაზგედ)
-

ბანცხალეზანი.

—
ჟურნალი

«ი ვ ე რ ი ა»

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოკვა
ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, რეგორც
აქამოდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

რედაქციასი, რედაქციე იმყოფება სიმონსონოვის ქუჩასედ,
ნაზაროვის სახლებსი, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
სადაც ზედა საართულსი «დროების» რედაქციასა და იქვე, შუა
სართულსი, რედაქცია «ივერიისა».

ძუთაისსი, ჭილაძეების წიგნის მაღასიასი, ბუღკართან.

ბათუმსი, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მა-
სწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი ხელის მოწერისა:

მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ აღრესით უნდა დაიხარონ
ჟურნალი:

Въ Тифлисѣ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ხვედრი ფული ხელის-მოწერას ჟურნალის დაბარებისა-
თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციასი.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე

მიიღება ხელის-მოწერა
 მოძავალ 1884 წლისათვის

«დ რ ო ე ბ ა ზ ე დ»

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუჯვართან.

ბათუმში, «წერა-გითხვის» სკოლის მასწავლებელ მ. ი. წათაძესთან.

ბორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაყუთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ

გაზეთი: ВЪ Тифлисъ, ВЪ редакцію «ДРОЭБА».

ფასი ხელის-მოწერისა

წლით (12 თთვით) 9 მ., 11 თთვით—8 მ. და 50 კ.
 10 თთვით—8 მ. 9 თთვით—7 მ. და 50 კ., 8 თთვით—7 მ.
 7 თთვით—6 მ. 6 თთვით 5 მ., 5 თთვით—4 მ. 50 კ., 4
 თთვით—4 მ., 3 თთვით—3 მან., 2 თთვით—2 მ., 1 თთვით
 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით — 7 მან., 6
 თთვით—4 მან., 3 თთვით—2 მან.

ხუდრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათხავე
 უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გამომცემელი გ. ქართველიშვილი.

რედაქტორი ი. მაჩაბელი

1884 წ. იანვრის თვიდამ

ჟ. თბილისში

გამოცემის ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებისანი
ყურნალი

ნ მ გ ა თ ი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ყურნალი «ნობათი»-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ მიწეებით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ჭოჩმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

ქრისტეშობის თვეში გამოვა ნიმუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაურთდება 1884 წლის ხელის მომწერლებს.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდური მოთხრობები ისტორიიდან, ამბები გეოგრაფიიდან და ბუნების მეცნიერებიდან; იგაკები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ უმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდან. ნაწკვი. «ნობათი»-ს ფურცლ. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა უუჩნაღ «ნობათ»-სა აღუ-
თქვეს და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერის-
თავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე.
რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოხსუბარძე (ყაზბეგი) და სხვ.

უუჩნაღზე ხელის მოწერა:

უუჩნაღი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქა-
ლაქში დარბევით ეღირება წელიწადში ოთხი მანეთი. ცალკე
ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარი წლით ხელის მოწერა
არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-
და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკე-
ნისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის მოწერა ჭსურთ, პირ-და-
პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში უუჩნაღი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსან-
დროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7
და შაკერდოვის წიგნის სააგენტოში.

ჭუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

გორში—ეკ. ფურცელაძისას.

თელავში—ი. ბ. როსტომიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію педагогиче-
скаго журнала «Нобати».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლულაძე.

ОБЪ ИЗДАНИИ ВЪ 1884 ГОДУ ЖУРНАЛА

ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

(годъ четвертый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія)—VI. Смѣсь (разныя извѣстія.) Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассационныхъ рѣшеній: а) кассационныхъ департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляционнымъ и кассационнымъ—X. Объявленія казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость

и полезность такого органа на Кавказѣ доказывалась вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, О. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркелія, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго, кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ Уложеній— Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношеныхъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (исслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для приёма подписки, объявленій и розничной продажи) — Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается— для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя строка пети-та 10 коп., $\frac{1}{2}$ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 р. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обзор.» продаются по 25 коп. въ Тифлисъ, въ центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.— Статьи безъ означенія условій гонорара признаются бесплатными.— Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

✓ ახალ გამოკვლევავად დაფუძნებული საქართველოს
ისტორია*).

ისტორიული მნიშვნელობა. ა) საქართველოს ეკლესიების
და ხაზების ზედ-წარწერათა, ბ) ხელ ნაწერების მიწერილობათა,
და გ) საეკლესიო და საერო ქარტეზებისა.

მათი შესწავლისა და გამოკვლევის პროგრამა
წერილი დ. ბაქრაძისა.

წაკითხულ იქმნა საიბ. მეცნ. აკად. ისტორიკო-ფილოლოგიურ
განყოფილების სხდომაზედ.

მეცნიერულის მხრით კავკასია უნდა იყოს მიღებული ყო-
ველსავე ეტკ გარეშე დიდად შესანიშნავ კუთხედ მთელს დედა-
მიწასზედ. გეოგრაფიული მდებარეობა მისი ევროპისა და აზიის
გზათ-ჯვარედინზედ, სიმდიდრე მის მცენარე და მინერალთა,
განსხვავებულნი თვისებანი მისის ეტნოგრაფიისა და ისტო-
რიისა—ყოველსავე ამას არ შეუძლიან არ განუღვიძოს დიდი
სურვილი და ინტერესი მის შესწავლისა იმას, ვინც მისდევს
გულ-დადებით მეცნიერებას. ვგონებთ არსად არ დაცულა ჩვენ
დრამდე ისე ცხადად და წმინდად დიან დიდის სიძველის კვა-

*) ეს სტატია დაბეჭდილია რუსულს საისტორიო და საარხეო-
ლოგიო ჟურნალში, სახელად «Кавказская старина», რომელიც
გამოდიოდა ბ. ერისკოვის რედაქტორობით, №№ 7 და 8, 1873 წ.

ლი, როგორც კავკასიაში. ადგილობრივ და სხვათა ქვეყნების მემკვიდრეთა მოწმობით, თითქმის ყოველი ხალხთა მოდგმა ძველად ცნობილის ქვეყნებისა თავის გაფანტვის დროს აზიადამ ევროპაში, გამოუკვლიდა ხალხე კავკასიას და ანარჩუნებდა შიგ თავის სისხლისა და ხორცის ხალხს. ეს სხვა-და-სხვა სისხლისა და ხორცის ხალხი მკვიდრს ხალხში გადაერქოდა და აქედამ წარმოსდგებოდა ხალხე სხვა-და-სხვა გარის ტიპისა და ენის ერი. სწორედ ამისა გამო დაერქვა კავკასიას «მრავალ-ენოვანი კავკასია». ძლიერი და განათლებული ძველად-ძველი ერი—ძინიკიელი, ეგვიპტელი, ბერძენი, რომაელი, არაბი, მოსწრაფოდენ კავკასიისადმი, აფუძნებდნენ აქ თავიანთ ახალ-შენობებს, აწესებდნენ აღებისა და მიტემის ანუ სავაჭრო ურთიერთობას მკვიდრს ერთან, ავრცელებდნენ მათ შორის თავიანთ ენას, თავიანთ ზნე-ჩვეულებას, რელიგიურს წესებს, და ხან თავიანთ განათლებასაც. აგრეთვე მათნი პოეტნი და მწერალნი უყურადღებოდ არ სტოვებდნენ კავკასიას: მათ დაგვიტოვეს თავიანთ ცოდნას და ცნობანი მის მდებარეობაზედ და ადგილ-მამულზედ, ჭავაზედ და იმის ბუნების ნაწარმოებზედ, მის მცხოვრებლებზედ და ამ უკანასკნელთ ავ-გარგოანობაზედ. იგინი სიამოვნებით და ხალისით მოგვითხრობენ იმათ მამაცობასა და ქველმობაზედ, გმირობასა და თავისუფლებაზედ; კოლხიდას ხომ ისე არ შეეხებიათ, რომ იგი არ დასახონ მდიდარ ქვეყანად, კარგა წინ წაწეულ მხარედ, როგორც განათლებით ისე აღებითა და მიტემით. ¹⁾ საშუალო საუკუნოების დროსაც კი პოეტური შეხედულება ჭქონდათ კავკასია-

¹⁾ Исторія землевѣд. К. Риттера Спб., 1864 №., გვ. 52—54, 80—81.

ზედ: იმ დროს კავკასიას ჰგონებდნენ მთელის კაცობრიობის აკვნად, რომელიც ვითომ იქ დაბადებულა და იქილამ წარმომდგარა. ერთს დროს ისტორიკოსებიც კი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აქედამ გაუკვალა სხვა-და-სხვა გზა კაცობრიობას თავის გაფანტვისა და მთელის დედა-მიწის დასახლების დროს, რის გამოც შემოვიდა ხმარებაში ლექსი კავკასიის მოდგმა, რომელიც მიეთვისება სრულად ევროპის და აზიის მომეტებულ ნაწილის მცხოვრებლებს. კავკასიასაკე ჰსახავდნენ ჰეკუნად, სადაც მიიღო დასახამი განათლებამა და სხვა-და-სხვა რელიგიამ. ჰგონებდნენ, რომ აქედამ არის გაკრცელებული, როგორც თქმულებისანი წარყვნაზედ, ისე ყოველ-გვარი ხელმოკლება, განკითხვებული ცხოვრება¹⁾. ჩვენ მოვიხსენიებთ ყოველსაკე ამას იმიტომ რომ ცხადი შეიქმნეს, თუ რა დიდს ყურადღებას იზიდავდა კავკასია ძველსა და საშუალო საუკუნეებში. მათი თქმულებისანი ამ მხარეზედ, ჩვენის აზრით, ბევრად მოაგონებენ კაცს კოლხიდის ოქროს მატყლასანის ვეჭმის ზღაპარს, რომლის გამოცნობას ეხლა შეუდგა მეცნიერება.

თუ საზოგადოდ კავკასია დიქსია ასეთის ყურადღებისა მეცნიერების მხრით, მაშინ ამ მხრივ უზიარატესობა უნდა მიუცეს, რასაკვირველია, მის სამხრეთის დაკავებას, რომელსაც ეწოდება საქართველო. საქართველოს სახელ-წოდებით ძველადგანვე ცნობილი იყო ის სივრცე ამიერ კავკასიისა, რომელსაც შეადგენდა ნაწილი ალბანიისა, იუქრია, კოლხიდა, მესხეთი და სტრანბონის ტაოხის ანუ ქართული ტაოს-გარი. მას ეჭირა სრულად მტკვრის არემარე შემდგომს ხეობებითურთ — ჩრდი-

¹⁾ K. pittepa, გვ. 81—82. Ethnogenie comca-rienne, par Moreau de tonner. Paris.

აღუთით აზგვისა, სამხრეთით ხრამისა, აღმოსავლეთით ალაზ-
ნისა, დასავლეთით ჭოროხისა, ჩრდილოეთ-დასავლეთით რილ-
ნისა და მასში შემდინარე წყლების ხეობებითურთ გაგრძამდე.
ამ სივრცეზე ისმოდა ქართული ენა თავის რჩი მონათესავე
აზაზრავით—სვანურით¹⁾ და მეგრულათ. სვანები ძველის ძვე-
ლადვე სცხორებდნენ იქვე, სადაც ეხლა სცხორებენ. მეგრე-
ლებს ეჭირათ ნაპირები შავის ზღვისა, დაწყობილი ყუბანიდამ
ტრავიზონამდე და თვით ტრავიზონი, ე. ი. ის ზოლი,
სრულად თუ არა—ეს კი არ ვიცით, რომელმანდაც შემდეგ
დასახლდნენ: ჩერქეზები და აზაზები, გურულები, ჭანები ანუ
ლაზები, რომელთა შორის უკანასკნელი შეადგენდნენ ერთს
შტოს მეგრელებითურთ²⁾. ქართველთ ტომი ძველადგანვე შესა-
ნიშნავი ყოფილა თავის ტიპის სიმშვენით და მოხდენილ-
ბით. ევროპის დამკვირვებელ მოგზაურთაგან აღიარებულა, რომ
სპარსელების ბუნებით უმწი ტიპის გაუკეთესობა სწარმო-
ვობდა ქართველთ და ჩერქეზთ წმინდა სისხლის წყალობით,
რომელნიც ძველად მრავლად და მრავალჯერ გადაუსახლებიათ
სპარსეთში საქართველოსა და ჩერქეზეთიდან³⁾. ისტორიული

1) ჩემის აზრით შეუძლებელია დამტკიცდეს რაიმე ნათესაური გავ-
შირი სვანურის და ქართულის შორის გინდ ლექსთა ფესვების მიხედუ-
ლობით, გინდ გრამმატიკულის ფორმების შედარებით. მაგრამ ბევრი
ფილოლოგთაგანი წინააღმდეგის აზრისანი არიან. ბრ.

2) საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა, მეორე რვეული, დასა-
ბეჭდად გამზადებული.

3) Mémoire sur l'ethnographie de la Perse.
Paris. 1866. Extrait du recueil de Voyages et de Me-
moires publiés par la société de Géographie, p,
47—48.

ცხოვრება ქართველთა დიდად საგულის-ხმიერლას: ამ ერის რიცხვი მისთვის საუკეთესო დროს განმამაკლობაში (X—XIII საუკ.) გაზვიადებით არის ნახვენები 4 მილიონზე მეტად¹); შემდეგ დროს განმამაკლობაში თან-და-თან მცირდებოდა, ისე რომ მე-XV საუკუნეში მხოლოდ 2 მილიონამდე-და აღრიცხვენ²); საქართველოს ერი ეკუთვნის უუძველეს ერთაგანს მთელს დედა-მიწის ზურგზე და თავის ისტორიულ ცხოვრების განმამაკლობაში იმდენი უბედურება აიტანა, რომ გვიკვირს, რატომ სულ მტრად არ აღიგავა, ის კი არა თუ სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ. მან შესძლო უკანასკნელ დრომდე და გადასჭარბა ბევრს მძლავრ ტომის ერსა და ხალხს. იგი გარემოცული იყო აუარებელ სისხლის მსძელის ბარბაროსებით; მას მუხივით ესხმოდნენ თავს მრავალჯერ და მრავალჯერვე ჭყავდათ მონებაში; მის ნიადაგს შეუწყალებლად სთელავდნენ, მის წმინდა ადგილებს და სალოცავებს შეაგინებდნენ და შეურაცხყოფიდან; მცხოვრებლებს ცალკე ჭხოცდნენ და ყლუტდნენ ადგილობრივად, ცალკე ასახლებდნენ საგუთარის მიწაწყლიდამ. მაინცა-და-მაინც, თუმცა ყოველივე ეს ასე იყო, მან მაინც შესძლო და მოახერხა მტკიცე ორგანიული წეს-წყობილება დაემყარებინა: მას ჭქონდა შემუშავებული თავისი წესი მართვა - გამგეობისა, თავისი სამართალი და სამსჯავრო, თავისი ხალხი წოდებრივ წესზედ

¹) Histore de la Géorgie, par Brosset, I p. 551 n. 2

²) Rapports sur un Uoyage archéol par. Brosset S. Petersb. 1849. Resumé, p. 15. რამდენად მართალია და ნამდვილი ეს ორივე რიცხვი ძნელია გატმა სთქვას რამე.

მცხოვრები, თავისი სოციალური და ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, თავისი სკოლებიც კი...

თავის აწა-ჩვეულებრივის სიცხოველის წყალობით, ქართულთა ერმა გამოიჩინა მიზიდულობა და სიყვარული განათლებისა და ცივილიზაციისადმი, მიუხედავად იმისა, რომ მას დაუცხრომლად სწევდნ და ჰგლეჯდნ აქეთ-იქიდამ. მან თავისი ნიადაგი მოჭოფინა მრავალის საარსებო ტექტურულ ძეგლ-სახსოვრით, რომელთა რიცხვიდამ საეკლესიო შენობანი დღესაც ანტიკვირებენ კაცს არიგინალურის თავისებურებით და იმ სტილისა და ყაიდის სიმშვენეურით, რა ყაიდაზედაც ეს ეკლესიები უშენებიათ. მან შესანიშნავად განავითარა თავისი ენა, მეტყველება: კინციცის ეკრძიული ენები და მასთან ქართულიც, მას არ შეუღიან არ გაუკვირდეს ქართულის ენის სიზბილე, მის გამოთქმათა და გამოხატულებათა სიმდიდრე, მის ძორობის სიმშვენეურე, მისი შეძლება ურომელთა და საგნისაგან განზიდულის ცნების და თვით სამეცნიერო ჭეშმარიტებათა გამოთქმისა და გამოხატვისათვის. გარნა ყოველივე ეს შეუძლებელის ლიტერატურულად თუ განვითარებულ არ არის ენა. ქართულთა შექმნეს თავისთვის რი ანბანი, ესრედ-წოდებული მხედრული (საერო) და ხუცური (საეკლესიო), რომელთაგანაც პირველის შემოღებას მიაწერენ მე-III საუკუნეს ქრისტ. დაბადებამდე, ხოლო მეორისას—მე-V საუკუნეს ქრისტ. შემდეგ, თუმიცა ეჭვი არ არის, რომ მხედრულის კვალს ჩვენ ვერ ვხედავთ მე-XI საუკუნეზე ადრე, და იგი, კერძოდ ჩვენის აზრით, წარმოადგენს გადასხვაფერებულს და განმარტივებულს ხუცურს¹⁾. ხმათ გამოთქმის წესი ქართულს ენას ისეთი აქვს, რომ საუკეთესო კავ-

¹⁾ საქართველოს ისტორია, მეორე რეეული

კასიის ფილოლოგები ქებით იხსენიებენ მას. ვინ არ იცის ამ მხრივ უსლარის აზრი. ათუ დაკავშირებით, ამბობს უსლარი, — ქართულს ანბანს შესახებ თვით ქართულის ენისა, არ შეგვიძლიან არ გამოვტყდეთ, რომ იგი ჩინებულად შეთარღებულა და საკვირველად ზედ გამოწყობილი; იმისთანა განკითარებული ანბანი არ მოიპოვება მთელს ქვეყანაზედ: ყოველი ხმა გამოიხატება განსაკუთრებით ნიშნით, და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ხმას აღნიშნავს. ყოველს ევროპიულს ენებში მოიპოვება თუბ-წამოსავრავი და საბოლოო სიმბოლე — მართლ წერა, ქართველებისათვის კი არ არსებობს იგი განკითარებულის ანბანის წყალობითა.¹⁾ ამ ორ ანბანში ხუცურით ითარგმნებოდა საეკლესიო და კლასიკური ქმნილებანი, მხედრულთ — საერო და სახალხო ნაწარმოებნი იწერებოდა. ანბანისაკუგვარად, თვით ენაც ქართული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორად გაიყო. ხუცური ენა შემუშავდა ათონის მთაზე და პალესტინაში, სადაც ითარგმნებოდა სამღვთო წერილი და სხვა თხზულებანი ბერძნულის ენის მიმოხერის ზედ-გაკლენით და მიიღო წყობილება ამ უკანასკნელის მინაგვარი. წმინდა ქართული წყობილება და მიმოხერა ენისა დაცული იქმნა საერო ლიტერატურის ნაწარმოების შემწეობით. საერო ლიტერატურის ენა ყოველთვის მდებოდა ყოველ-დღიური სახმარისი ენა იყო. ამ ურთ არის დაწერილი იგავ-არაკნი და რომანები, ლირიკული ლექსები და თარგმანნი სწავსულთ. საუ-

¹⁾ Записка Услара о составленіи азбукъ кавказскихъ языковъ, помѣщенная въ 1861 г. въ лѣтописи кавк. отд. геогр. общ. стр. 43. Л. Загурскаго. Кавказско-горскія письмена, 1871 стр. 5—6.

კეთესო თხზულებათა ენა ამათ რიცხვში დიდათ დაასჯელებულა ეხლანდელ უბნობის ენასთან, მაგ. ქილილა და მანას ენა, ვისრამიანისა და ვეფხვის ტყაოსნისა თამარ მეფის დროს. საეკლესიო და საერო სალიტერატურო წიგნები და თხზულებანი ერთგვარად იყო გავრცელებული საქართველოს მაღალწოდების საზოგადოებაში და ერთგვარად იკითხებოდნენ და მრთავ ერთად შეუმუშავეს საქართველოს ხალხს პირველია— გეძო და შესედულობა ქვეყანაზედ ბიზანტიისა, ხოლო მეორეთა— შესედულობა ქვეყანაზედ და გეძო სპარსეთისა, რაიცა ეხლაც შეინიშნება.

ჩვენამდე მოღწეულს ძველს საქართველოს წერილობითს სახსოვართ შორის განსაკუთრებული ჩვენი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს ქართველთ საისტორიო შრომაზე. ამ შრომას შეადგენს: ადგილობრივი ქრონიკები და არსეოლოგიური ცნობანი, როგორც მაგალითად ზედ-წარწერანი საეკლესიო შენობაზედ და ხატების შეჭედილობაზედ, მიწერილობანი ძველ ხელთნაწერებზედ, მონასტერთა და თავად აზნაურთათვის ბეძუბული ესრედ-წოდებული გუჯრები, საერო და საეკლესიო. საქართველოს რომ თავისი საკუთარი ქრონიკები მოეპოვებოდა, ეს დიდი ხანია ცნობილია; მაგრამ რომელ დროსა და საუკუნეს ეკუთვნიან და ვითარის ნდობით უნდა ეკიდებოდეს მათ ვატი, ეს თითქმის ამ უკანასკნელ დრომდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა. საზოგადოდ დიდი მატრიანე ანუ აქართლის ცხოვრება მიღებული იყო მეფე ვახტანგ მე-VI თხზულებად (1675—1737 წ.). სომხეთისა და სპარსეთის ქრონიკების შემწეობით იქმნა უხერხულად მის მიერ შედგენილი. თუ კი ცნობილი რუსეთის მწერალი სენკოვსკი ამბობდა დარწმუნებითა და დამტკიცებით, რომ ქართველებს ვახტანგ მე-VI-მდე მა-

ტიანე არა ჭქონიათ, რომ თვით ქართველი არ არსებობდნენ მე-XII საუკუნემდე, რომ სახელწოდებით იბერი იგულისხმებოდა სხვა-და-სხვა მთიული ტომი და ან კიდევ მთლად ის მხარე მტკვარს იჭით, საცა ეხლა თბილისია და რომელიც შეადგენს მომეტებულს ნაწილს საქართველოსს ყოველთვის ეგუთვნოდა სომხებსა და იყო დასახლებული სომხებით, მიღებით, გარკვევებით ანუ რსმალობით და აღბანულთა ვიუთთამე შთამომავლობითს ¹⁾, ადვილი მისახვედრია თუ რა გარე წარმოდგენა უნდა ჭქონოდათ საქართველოს ისტორიისზე უფრო ნაკლებ განვითარებულს და უვიცს უმეტესობას. მართალია, ზოგიერთ ევროპულთ მსწავლულთა და მათ რიცხვში გამოჩენილმა რიენტალისტმა სენ-მარტენმა, დიუბუადე-ზონპერემ და ვივიანე სენ-მარტენმა გამოსთქვეს ცოტად თუ ბევრად სამართლიანი აზრი ქართველთ ისტორიის ხასიათზე, მაგრამ მაინც მათი შესუღულობა მხოლოდ დაახლოვებით მართალ შესუღულობათ უნდა გვიჩვენებოდა მაინცა-და-მაინც, რადგანაც მათ დროს აუარებელი მასალა, რომელზედაც შეიძლებოდა გამოსათქმელის აზრის დამყარება საქართველოს ქრონიკების შესახებ, ჯერ ისეუ ხელ-უხლებელი იდო. დამტკიცებული და გადაწვეტილი აზრი ამ საგნის შესახებ დამყარდებოდა არა უწინარეს ამ მასალის გამოქვეყნებისა, რითაც ჩვენ დაგვაკალა აკადემიკოსმა ბროსემ.

ბროსეს ღვაწლი და ამაგი ამ მხრივ დაუფასებელია. ის არაფერი კიდევ, რომ მან მოასწრო და გამოსცა ჭრანტუფულს ენაზედ დიდრინი ტომები ვახტანგ მე-VI ქართლის

¹⁾ Нѣкоторыя сомнѣнія касательно исторіи Грузинъ въ „Библиот. для чтенія“, за 1838 г., стр. 151—178.

ცხოვრებისა, ვასუშტის ისტორიისა მის საქართველოს გეოგრაფიითურთ და სხვა კერძო ქრონიკები; მან დაუპირდაპირა შედარების მეტოდით, სინქრონიკულად საქართველოს მატიახეთ ცნობანი, როგორც უცხო ქვეყნის მატიახეთ ცნობათა, რომელნიც მრავლად შეკრებილნი არიან მის Additions et Eclaircissements á t Historie de la Georgie, ისე იმ ცნობათა, რომელთაც შეიცავს ზედ-წარწერანი და ქარტიები, შეკრებილნი მისგან 1847—1848 წ.; ყოველივე ამის შემწეობით და ამასთანავე თვით მატიახეებში დაბეჭდილის შენიშვნებით მან განარკვია მრავალი საეჭვო და სადავო საგანი საქართველოს ისტორიაში და ამით გააუქმა მათში ბევრი წინააღმდეგობა ცნობათა ურთიერთშორის.

დღეს ჩვენ იმდენი მასალა და ცნობა გვაქვს, და მათ შემწეობით ისე ცხადად სჩანს ახლა საქართველოს მატიახეთა ხასიათი და იმდენად განარკვევენ საქართველოს ისტორიას, რომ ახლა სრულად შეუძლებელია ისეთის აზრის წარმოთქმა, როგორც იყო მაგ. სენკოვსკის აზრი. ეს კიდევ ცოტაა: ყურადღებით დაკვირვება და ახალიზი ამ ცნობათა და მასალათა დაარწმუნებს უკუაღს, ყოველსავე ეჭვ-გარეშე, რომ მათ დიდი და ფრიადი მნიშვნელობა აქვთ, და, ჩვენ გვგონია, რომ მართლწინი არიან სენმატენი, დიუბუა-დე-მონპერე და ვივიენ-სენ-მატენი, რომცა გარდმოცემათა და თქმულებათა საქართველოს მწერლობისას სთვლიან საყურადღებო წყაროებად, ისეთს წყაროებად, რომელნიც ნათელსა ჭებუნენ არამც თუ მხოლოდ ვაკვასიის ტომთა, არამედ აზიის ისტორიასაც კი¹⁾. თუმიცა

¹⁾ S.-Mart. Mém. sur l' Arm., II., p. 190
Dubois de Montp., Uoyage autour du Caucase, 1,

დიდს ქრონიკას, ქართლის ცხოვრებას, ვახტანგ მე-VI-ის მატრიანეს კეძახით, მაგრამ თვით ამასივე კი შეგვიძლიან მოვიხილონ ისეთი ფაქტები, რომლებიც დაგვარწმუნებენ, რომ იგი წარმოადგენს მხოლოდ კრებას სხვა-და-სხვა ქრონიკებისა და სხვას არა რას; რომ ეს ქრონიკები იწერებოდა ხან აღწერილ მოვლენათა თანა მედროვეთაგან, ხან ამ მოვლენათა კარგად მხსოვნელთაგან; რომ თვით ავტორნიც კი ზოგიერთს ქრონიკისა ცნობილნი არიან; რომ სრულიადაც ამ მატრიანეებს ისევე სახელი «ქართლის ცხოვრება» რქმევიათ, რაც ვახტანგ მე-VI-ისა რქმევია; რომ სომხური ტექსტი *Chronique Armenienne*, რომელიც დაიბეჭდა ფრანცუზულად *Additions et Eclaircissements à Histoire de la Géorgie*-ში 1851, p. 1—61, იყო მხოლოდ ქართული ქრონიკა, გადათარგმნილი სომხურად 1279—1311 წ. ¹⁾ ქართულთ, სომხთ და კავკასიელთ ჩამომავლობაზე «ქართლის ცხოვრებას» წყაროებად ჭეზნდა, რომორც ადგილობრივი სახალხო გარდმოცემანი, აგრეთვე გარდმოცემანი ებრაელთა, სპარსელთა, ბერძენთა და სომხთა. ეს გარდმოცემანი, თუმიცა ზოგიერთის დაწვლილების შესახებ არეულ დატეხილნი არიან, მაგრამ საფუძველი კი მათი რომელსამე ჭეშმარიტს ფაქტებზედ არის დამყარებული და ეთნიკურის მხრით პატრივდებაში დიად მისაღებია და სანდო. ამ

p. 62—63. Uiv S. Mart. Recherches sur les populations du Caucase p. 78—79

¹⁾ Brosset, Rapp. sur un Voyage archéologique en Géorgie, 3-me rapp., p. 6.—Hist. de la Géorgie II, 2-e livr. intröd et tables, p. XVII—XVIII.

მხრით ქართლის ცხოვრების გარდმონაცემში ჩვენ ვხედავთ აზრს ქართულთ ინდო-ევროპიულს ჩამომავლობაზე და ქართულთა და სომეხთ მონათესაობაზე. ამ აზრს დღეს თვით მეცნიერებაც ითვისებს და არ უარტყუფებს იმ ახალ-ცნობათა წყალობით, რომელსაც აღმოაჩენს შედარებითი სწავლა სომხურისა და ქართულის ენისა. ქართლის ცხოვრებას არა აქვს ჩათვლილი ვაკვასიის ტომთა გენეალოგიაში ტომნი ადიგესი და ოსებისა, ხოლო სთვლის მათ, დაღესტანის ავარულთა ერთად, ბოლოს მოსულებად ვაკვასიაში, ე. ი. იხსენიებს მათ სკვითების ანუ ქართულად ხოზარულთა გამოჩენასთან დაკავშირებით, რაიცა მართლაც ნამდვილია. ადიგესა და ავარულთ რომ აჩაპითარნი მონათესაობა არა აქვთ ქართულთან, არამედ ფინებისს ჯგუფს ანუ შტოს წარმოადგენენ, ამასში, კგონებთ, ეჭვი არ უნდა იყოს. ოსების შესახებაც ქართულთ გარდმონაცემს თუმცა არეულ-დაჩეულა, მაგრამ კრიტიკულად რომ განვიკვიროს ვაგმა ეთანხმება გეროდოტის თქმულობას აზებისს ანუ ასების (ოსების) მიდიურს ჩამომავლობაზე. — მეტი, ქართლის ცხოვრების ცხადად გამოხატული ორ გვარის გავლენის მოქმედება საქართულოზე, ერთის მხრით სპარსეთისა, მეორეს მხრით საბერძნეთისა, დაწყობილი ძველადგანვე, თითქმის იმ თავითვე; გამეფება ახალ-ახალ დინასტიებისა, სპარსეთში გამეფებულ დინასტიების ზედ-გავლენით, ჯერ არსაკიდების დინასტიისა, მეტი სასანიდებისა; საქართულოს მდგომარეობა სომხების მიმართ, სირიისა და რომის შესახებ; ხასიათი საქართულოში გავრცელებულს კერპთ-თაყვანის მტემლობისა, თან-და-თანობით ქრისტიანობის შემოღება და მისი დამკვიდრება მე-IV საუკ. წმ. ნინოს დროს; არაბების გამოჩენა და დაჭერა მათ მიერ საქართულოს კერძოსი; ამბავი ბაგრატიდების დი-

ნასტოის გაძლიერებისა და მათის გამოსვლისა სომხეთიდან —
 ყოველივე ეს მოთხრობილია ქართლის ცხოვრებაში, რომელიც
 ამასთანავე უფრო ირკვევს და ვრცელდება, რასაკვირველია,
 უცხო ქვეყნის ისტორიის ცნობათა შემწეობით და რომელიც
 თვითც ავრცელებს და აჩვენებს თავის მხრით ამ უკანასკნელთ.
 ამ სახით ქართლის-ცხოვრების ცნობანი საქართველოს ისტორიის
 უძველეს დროის შესახებ ბ. ბროსეს გამოკვლევათა წყა-
 ლობით ძალიან ცოტად განიხივიან მეცნიერების მიერ შემო-
 წმენბულ და დამყარებულ ფაქტებისაგან. ხოლო ცნობანი შემ-
 დგომ დროთა შესახებ ე. ი. ბაგრატიონების გამეფებამდე ხომ
 უფრო ნაკლებ საეჭვოა უნდა იყვნენ. მართალია, ქართლის-
 ცხოვრებაში ბევრგან ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობანი
 მოიხილება, ალგ-ალგ სულ გამოტოვებულია ზოგიერთი
 მოთხრობა და ისტორიული ფაქტი, მაგრამ ეს გარემოება
 მარტო ქართლის-ცხოვრების ხედავს არ შეადგენს; ესეები ყო-
 ველის ხალხის მატრიანეში მოიხილება. მართალია ისიც, რომ
 ძველებური წელთ-აღრიცხვა საქართველოს მატრიანეთა ცოტა არ
 იყოს, არეულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მასაც ის ბედი შე-
 ხვედრია, რაც ყოველის ხალხის წელთ აღრიცხვას: თუმც ეს
 ასეა, მაგრამ მაინც ეს წელთ-აღრიცხვა ადვილი გამოსაკვლევი
 სინქრონიული ცნობათა შემწეობით. შემდეგ, ქართლის ცხოვ-
 რების ცნობანი ბაგრატიონების გამეფების დროიდან თან-და-
 თან უფრო ცხადად და დაწვრილებით არის გარდმოცემული.
 ამის მიზეზი ცხადია: მრავლდება მასალა, როგორც ჩვენი,
 აგრეთვე უცხო ხალხთაგან შექნილი; ასეთია, მაგალითობრ,
 ის მასალა, რომელსაც შეიცავს ბიზანტიელებისა, არაბებისა,
 სპარსელებისა, იტალიელებისა და ბოლოს რუსეთის თქმულე-
 ბანი; ჩნდებიან ეკოპიელნი მოგზაურნი, რომელნიც აცნობუ-

ბენ ჭკუყანას თავიანთ დროის საქართველს; საქართველოში სჭრიან ფულს და ზედ ნიშნამენ მეფეების სახელებს და მათ მეფობის წელს. მრავალგან შენდება ტაძრები, რომელნიც იფინება ზედ-წარწერებით ანუ ჩუქურთმით, ან al-Fresco-თი. უკულ ესე გვარს მასალანი და ამას-გარდა ქარტიები, რომელნიც მრავალდება მე-XVIII საუკუნეში მრავალ ხატებზედ ზედ-წარწერებისა და ხელ-ნაწერებზე გაფანტულ მიწერილობითურთ შეადგენს მეორე გვარ მასალას მატრიანეთს და თქმულებათს შესავსებლად და განსამარტებლად. ეს მასალანი, თუძცა მეცამეტე საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის უფრო სუსტდება, მრავალდება მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ წერილის საგანი ის არის, რომ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ მიაქციოს ყურადღება ამ გვარ ცნობათა მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის, და მათ ყოველმხრივ შესწავლის საჭიროებას; ამისათვის ჩვენ საჭიროდ ვსთვლით განსაკუთრებით ვრცლად განვიმარტოთ ეს საგანი.

თუ ვისმე უმოგზაურნია ამიერ კავკასიაში განსაკუთრებით მთავარ ქვა-ფენილ გზის მოშორებით, ჩასაკვირველია, არ შეიძლება რომ მის ყურადღება არ მიექცია მრავალ-საარხიტექტურულ სახსოვარს, როგორც მაგ. ციხეებს, კოშკებს და ტაძრებს, რომელნიც მომეტებულ ნაწილად მთის წვერებზედ და ხეობებში არიან აშენებულნი, ზოგან მთლიანად დაცულნი, ზოგან ნახევარობით დანგრეულნი, რომლებზედაც ზუგ-ზუგსა მოფენილი და თვით კედლებშიაც კი დიდის ხნის ხეობის ამოსული. მომეტებული ნაწილი მათი განკერძოებით დგანან უაღაგო ალაგას, სადაც, როგორც სჩანს ზოგიერთს ნაშთიდგან, ოდესმე სიცოცხლეს უღუენია. იგინი სახელოდობრ გაფანტულნი არიან ვახუთში, ქართლში, სომხეთში, ახალციხის მაზრაში, გამაჭმა-

დიანებულ საქართველოში, იმერეთში, გურჯაში და ახს-
რეთში.

და რაც უფრო შორს წავა მოგზაური აღმოსავლეთის
საქართველოდგან შავი ზღვისაკენ, მით უფრო მათი რიცხვი
მომეტებულა, და არხიტექტურულის მხრით უფრო შესანიშ-
ნავნიც არიან სილამაზით და სიმშვენიერით. თუ უკეთეს მო-
გზაური ამ ქვეყნის ისტორიის მცოდნეც არის, დიდძალან
ციხეებში და კოშკებში შეჭნიშნავს ნაშთს საქართველოს ისტორ-
იის უწინარეს დროისას და საბერძნეთის ახალშენების გაკლე-
ნისას, რომელთაც საქართველოს დასავლეთი ადგილი უჭირათ
მეექვსე საუკუნიდამ ქრისტეს დაბადებამდე. აგრეთვე ძველი ზედ-
წარწერებიდან საეკლესიო შენობათა კედლებზედ, რომელთა მო-
მეტებული და საუკეთესო ნაწილი აგებულა მეექვსე და მეცამე-
ტე საუკუნეთა შუა, შეიტყობს დროს მათ აშენებისას,
სახელწოდებას მათ აშენებლებისას, თანამედროე მეფეთა
და მმართველებისას და ხან მთელს მოთხრობასაც ერის
ზოლიტიკურის და შინაურის ყოფა-ცხოვრების შესახებაც.
ამ გვარსაკე ცნობას შეჭკრებს იგი მრავლად ჩვენამდე დაცულს
ხატების ზედ-წარწერებიდგან და საეკლესიო კტრატზედ დაწე-
რილის წიგნების მიწერილობიდგან. ამ გვარ წიგნებთა შორის,
ჩვენამდე გადაჩენილი და უძველესი კუთუნის 936 წელს;
აგრეთვე ნაკლებ მასალას არ მისცემს მას საეკლესიო და საერო
ქარტიები, რომელთაც გუჯრებსა, ანუ სიგელებს უწოდებენ.
ჩვენ უკვე განუმარტეთ არხეოლოგიურ ცნობათა მნიშვნელობა
საქართველოს ისტორიისათვის. ჩვენ ვთქვით, რომ საეკლესიო
შენობათა და ხატების ზედ-წარწერანი, ხელ-ნაწერების მიწერი-
ლობანი, საერო და საეკლესიო ქარტიები. საქართველოს მა-
ტიანეში მოთხრობილს ფაქტებს შეავსებენ და ნათელს ჰფენენ.

მართლაც, საქართველოს არხეოლოგიურად შესწავლულად აკადემიკოსმა ბროსსემ ვერ იტვირთა ქართლის ცხოვრების ფრანცოულის თარგმანის დასტამბვა. ამ შესწავლის ნაყოფი იყო მისი დიას ცნობილი თხზულება: *Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848 t. S. Pétersb. 1849 წ.* ეს თხზულება უეჭველად საბუთს წარმოადგენს იმისას, თუ რა მრავალადა არხეოლოგიური ცნობანი საქართველოსა და სარუსეთს სომხეთის შესახებ. მასში შეკრებილია ყოველი ის ზედწარწერანი, რომელნიც მან თავის მოგზაურობის დროს ამ მხარეში, გადმოიღო ძველ საუღრებისა და ხატებიდან, მასშივეა თავმოყრილი ის ზედწარწერანი, რომელნიც სხვა-და-სხვა პირთაგან გამოეღო და მისთვის გარდაეცათ. ზედწარწერათა რიცხვი, დიუბუასა, ბროსსესა, მეღვინეთხუცესოვისა, ბაქრაძესა და სარგოსიანისაგან გამოეღებულა, ბროსსეს ფიქრით, 2000 მეტია.¹⁾ თავის *Voyage archéologique*-ში ბროსსე გვატყობინებს რამდენიმე შინაარსს ამ ზედწარწერებისას, ისრე მათს ისტორიას საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით. აგრეთვე იგი განგვიმარტავს შინაარსს იმ ქართულ ქარტიებისას, რომელნიც ეკუთვნიან მე-თერთმეტე საუკუნეიდან დაწყებულს დროს მეცხრამეტე საუკუნემდე. ეს ქარტიები არის გამოკვლევის საგნად *Quatrieme Rapport, de son Voyage, p. 1-50 და XVI Addition de son Histoire de la Géorgie, II partie, 2 livr 1857 წ. p. 450—562.* იმის სიტყვით, იგინი არიან

¹⁾ Mem. de l'Acad. imp. des sciences de S. Pétersb., VII, série, t. VIII, № 10—inscrip. géorg. et autres, recueillies par le Père Nersés Sargisian, p. I.

შემდეგნი: «საკლესიო გუჯრები, რიცხვით 3000-დე, რომელნიც აწ დატულები არიან თბილისში, მთავარ სამმართველოში, და გადმოუტანიათ საქართველო-იმერეთის სინოდალურის კანტორიდაძმ, სააზნაურთ სიგელები, რომელნიც არიან შენახულები თავად-აზნაურების არხივებში თფილისსა და ქუთაისს, აგრეთვე ის საბუთები (და იავდრებიც, რომელნიც შეეხებიან ახალ-ციხის მარხას და სამეგრელოს. მათში გამოხატულია სოციალური ცხოვრება და მდგომარეობა კერძო პირთა; რელიგიური, მოქალაქეობრივი და სამხედრო დაწესებულებანი საქართველოსი ძველ დროს; უფლება და კანონი საკუთრებისა, სუიდვას-გაუიდვისა, მემკვიდრეობისა და სხვა უფლებრივ ურთიერთობის შესახებ; გადასახადთა წესი მოქალაქეთა დამოკიდებულება ურთიერთ-შორის და სამეთვლეს მიმართ: ერთის სიტყვით ყოველის განსაკუთრებული თვისებანი, რომელთაც შეუძუშავების ერის აწინდელი ხანათი და რომელთა შემწეობით იწარმოებს მისი განვითარება მომავალში. ასეთა, განაგრძობს ბრძოლას, საქართველოს ქარტიები, რომელნიც აქნობამდე მანტ გამოურკვეველები და შეუძუშავებულები არიან, და უკეთუ იტვირთებდა კინძე ამ შრომას, იგი დიდის ხნის სინდისიერად და გულმოდგინებულის შრომის შემდეგ თავის ღვაწლის ჟილდოდ მიიღებდა სარწმუნო და კრიტიკულად გამოკვლეულს საქართველოს ისტორიას... თვით ბრძოლამ შედარებით მხოლოდ რამდენიმე ქარტიის განხილვა შეიძლო. ¹⁾).

აქ ჩვენგან მოყვანილი არის ბრძოლასი სრულიად გაზვიადებული არ არის: სულ ცოტაოდენის ქარტიებიდაძმ მის

¹⁾ Hist. de la Géorg. II, 2 livr. 441 — 442, 450—462.—Voyage archeol. IV, p. 2—50.

მიერ ამოკრეფილის ცნობებით საკმარისად განიკვავა შინაური ცხოვრება საქართველოსი. მაგრამ ამით მაინც ვერ დავემსუფუძვლებით. ესლანდელ დროში, როგორც ვიცით, გარეგანის ფაქტების და ამბების აღწერას და ან ვერძო პირთ ბიოგრაფიას ვი არ უწოდებენ ნამდვილს ისტორიას, არამედ დაწერილობით და სწორე მფთხრობას ერის შინაურის ცხოვრებისას, მისის ეკონომიურის და სოციალურის ყოფა-ცხოვრებისას. ამ გვარის ისტორიის მხოლოდ მაშინ დაიბადება, როდესაც შევიგნებთ და გამოვარკვევთ ყველა მხარეს შინაურის ცხოვრებისას, როცა გულისხმობით და სიფრთხილით შევკვრებავთ და შევამოწმებთ ყოველ-გვარ ცნობას ამ შინაურის ცხოვრების შესახებ. შინაური ცხოვრება ძველის საქართველოსი, სწორე რომ თქვას ვაძმა, ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველია. ამის შესახებ სულ მცირე ცნობანი ვაქვს ხელში, ან სულ არა მოგვეპოვება რა. მატიანენი თუ სულ არა მოძებნულს ნაწილად მაინც მოგვითხრობენ გარეგან ამბებს — მტერთ შემოსევას საქართველოში და მათ განდევნის ამბავს ქართველთაგან. შინაურ ცხოვრებას იგინი სულ არ შეეხებიან და მდუმარებენ, ან თუ ამბობენ რასმე, მხოლოდ ოდნავ, გაკვრით. მხოლოდობით მოწამედ ამ შინაურის ცხოვრებისა არხიტექტურული სახსოვარნი-ღა არიან დარჩენილნი, კოშკნი, ციხენი, დანგრეულნი ხიდნი, აგრეთვე საეკლესიო შენობანი და მათი ზედ-წარწერანი; მაგრამ მარტო ამ გვარ სახსოვართა შემწეობით უწინდელის გამჭრალის ცხოვრების ნამდვილი მოთხრობა და მოგონებით აღდგენა — შეუძლებელია. უძველესი ქარტიები არსად სჩანან: ძველის ძველ ქარტიებად მხოლოდ ორის ცნობილი: ერთი

1020 წ., მეორე 1259 წ. ¹⁾), თუმცა ჩვენ ვიცი, რომ ძველადაც ხმარობდნენ სიგელებს და გუჯრებს, თითქმის ქრისტიანობის შემოღებიდანვე დაწყებული²⁾, მაგრამ ძნელია თქვას ვადა, ვიპოვოთ-ღა მათ სადმე თუ არა. ამ რეაქტივის გარდა, დანარჩენი ეკუთვნის მე-თერთმეტე და შემდეგ საუკუნეებს და თან-და-თან მრავალდობიან მე-ცხრამეტე საუკუნემდე. ეს ქარტიები ძირითადად მასწავლებლებს წარმოადგენს საქართველოს შინაურის ცხოვრების შესასწავლად და გამოსახატად მე-თერთმეტე საუკუნემდე დაწყებული მე-ცხრამეტე საუკუნემდე. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ გვარს ქარტიებს, ამის ცხადს საბუთს წარმოადგენს ბრძანება მიერ შედგენილი, «წერილი» საქართველოს საზოგადოებრივ და სოციალურ წყობილებასზე, დაფუძნებული იმ ქარტიებზე, რომელნიც ხელთაჰქონდა³⁾ და თუმცა ეს «წერილი» შიგა-და-შიგ სრული არ არის და ძალიან-ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შედგენილი, მაინც, ჩვენის თქმით, უკვლავ იმის მრავალ-ტომიან შრომასზე უფრო საინტერესოა და ძირ-თვისი. ამისათვის ვამბობთ, რომ ქარტიებს უნდა მიეჭტეს განსაკუთრებით ყურადღება.

მეორეს მხრით უნდა ვისურვოთ, რომ უკვლავ ქართულ ზედწარწერათა შეკრებისათვის ღონის-ძიებინი იქმნას მიღებული. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზედწარწერანი ხა-

¹⁾ Hist. de la Georg. Innod.: p. 450 n 452.

²⁾ Hist. de la Georg. I, p. 241, 243 301, 315, 325. Mém. sur l' Arm. II, p. 63, 79, 103, 107, 111, 137. —Hist de la Siounie, I, p. 221, 231.

³⁾ Hist. de la Georg. Innod., p. LXXIX—CCXIV.

ტებზე და ეკლესიებზე გაფანტულნი უფრო ბევრია, ვიდრე ჩვენ გადმოღებულნი გვაქვს. თვით ბრძოლასევე ვერ მიმოიარა ყველა ის ადგილები, სადაც ეს არხეოლოგიური ნაშთნი მოიპოვებინ: ამ მხრივ მას არ გამოუკვლია: სიღნაღისა და ალექსანდროპოლის მხრის, ნაწილი ახალ-ქალაქისა, თბილისისა და ბორჩხალოს თემისა; ზოგიერთი ადგილები თბილისის გუბერნიისა, მდ. არაგვის მარჯვენა მდებარე სემხედრო ქვაბუნილის გზის დაყოფებზე; ნაწილი ქუთაისის გუბერნიისა მდ. ყვირილას მარჯვენა კერძო და რიონის გაღმა; გურია; მტკვრის სათავე და მიმდგომი ადგილები ჭოროხის არემარესი გამაჭმადიანებულ საქართველოში.¹⁾ ამ მიდამოთა შორის ყველაზე მდიდარია არხეოლოგიურის მხრით გამაჭმადიანებულ საქართველო. აწინდელი გამაჭმადიანებულ საქართველო ახალციხის მარცხენით საქართველოს მატრიანებში მესხეთისა, ზემო-ქართლისა და საათაბაგოს სახელ-წოდებით არის ცნობილი, იგი მდებარეობდა საბერძნეთის განათლების ცენტრის ახლო და ამისათვის მან საქართველოს სხვა ყველა ნაწილებს წინ გასწრო თავისი გულტურით. საუკეთესო საერო მწერალნი საქართველოსი, მომეტებული ნაწილი სამღთო წერილისა და საეკლესიო თხზულებათა, როგორც ახლის ისე ძველის აღთქმის მთარგმნელათ ზემო-ქართლები იყვნენ. ყველაზედ მეტად ზემო ქართლის ენა იყო განვითარებული და შემუშავებული. ქართული ენა დღეს აქამდე ისმის და ბატონობს მთელს ლაზისტანში ბაიურთამდე და ტრაპიზონის სამხედროებად. ზემო-ქართლი მე-თვრამეტე საუკუნეში იყო აკვანი

¹⁾ Voyage ardhéol... Résumé, p. 2—Melanges Asiatiques t. I p. 155 et suiv.

ქართულის დინასტიისა და შუა-გული, რომელმაც დაჭაბდა სა-
ქართველოს ერთობა და ძლიერება ახსან-ქართველთ მეფეების
დროს მე-ათედგან მე-თორმეტე საუკუნემდე. ქართული მატია-
ნენი მოგვითხრობენ მრავალ აქაურ უძველეს საეკლესიო საარ-
ხიტექტურულ ძეგლ-სახსოვარზედ, რომელთაც, როგორც ნამ-
დვილად ვიცით, აქაური ნახევრობით თათარი და ნახევრობით
ქრისტიანი ერი მტკიცედ იცავს დარღვევისა და აღხოცვისაგან.
ცოტაოდენი ზედ-წარწერანი გათათრებულის საქართველოსი,
მოცალეობის დროს გადმოღებულნი აბიხისა, ხანიკოვისა,
კოხისა და ნეჩესსა სარგისიანის მიერ ეკუთვნიან მეცხრე, მეთუ,
მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკ. მესითარ სარგისიანი, რომ-
ელსაც ჭოროხის მიდამო მიმოუვლია 1843—1853 წ.,
ამბობს რომ «მე ვერ გადმოვწერე მრავალი ჩემ მიერ აქ ნა-
ხული ქართული ზედ-წარწერანი». ¹⁾

ჩვენთვის მარტებლობის დაუხმარებლად დიდი სამეცნიერო
საქმის შესრულება ძნელია და მოუხერხებელი. კავკასიის შე-
სწავლა ყოველმხრივ თუ მოხერხდა, მარტებლობის შემწეობით
მოხერხდა; მაგალითებრ მიმოვლანი კავკასიაში გულდენშტუ-
ტისა, კლაპროტისა, შეგრენისა, ბროსესის, აბიხისა და ერ-
თის მხრით დიუბუა-დე-პონპერეს მიერ მარტებლობის აზრით
იყო და მარტებლობის საშუალებით სწარმოვობდა. ხოლო რა
სარგებლობა მოუტანა ქვეყნის შესწავლას ამ საქმემ—ეს აღვი-
ლი მისახვედრია. კავკასიის გეოლოგიის შესწავლა, მის ენათა
გამოკვლევა, სამხედრო ისტორიის შედგენა, ადმინისტრაციუ-
ლის მოქმედების გამოკვლევა—ესე ყოველივე, ერთხელვე და-

¹⁾ Mém de l' Acad. VIII-e Serie, t. VIII, № 10,
iscript. Georg... p. 2.

წულობილი, ალარ ჩერდება და თავის გზით მოქმედებს. ხელ-
 ლა არხელოლოგიური შესწავლა საქართველოსი, რომელიც და-
 იწყო აკადემიკოსმა ბროსემ ამ 25 წ. წინად, როგორც ეტ-
 უობა, მისის შრომითვე თავდება. მაშინ, როდესაც, თუ გავი-
 ხსენებთ, რომ საუკეთესო ევროპიელი მწერალი: სენმარტე-
 ნი, დიუბუა-დე-მონპერე და ვივიანე-სენ-მარტენი ქართველთ
 მწერლობის სახსოვართ სთვლიან ღირს საცნობელ წყაროებად,
 არამც თუ მარტო კავკასიის შესახებ, არამედ აზიის ისტორ-
 იის შესახებაც, სწორედ დასაზნაია და სამწუხარო, რომ
 აუძველესა ქართველთა ერის ცხოვრება, — როგორც ამბობს
 დიუბუა — ამ კავკასიის ყელის მუდამ დაჩაჯად მდგომელებისა
 და ყველა ცნობილ ისტორიულ ხალხთან დაახლოებულისა —
 ჯერ გამოურკვეველია და მეცნიერულად შეუსწავლელი. გამოურ-
 კვეველია და შეუსწავლელი ისეთი სანდო და ნამდვილი წყა-
 რები, როგორც მაგალითად მრავალი ზედ-წარწერანი ხატე-
 ბისა და ეკლესიებისა, მრავალი ქარტიები და ხელ-ნაწერების
 მიწერილობანი. ძალიან საშიშია დროს დაკარგვა: საკმარისია
 ისიც, რომ აქამომდე ბევრი დრო დაიკარგა. თუმიცა თბილისში
 და ქუთაისში დაცულ ქარტიებს არც დაკარგვისა და არც წა-
 ხდენის შიში აქვთ, მაგრამ ესეუ არ ითქმის მრავალ მათგან-
 ზე, რომელიც, როგორც ჩვენ თვითონ ვიცით, სამრეკლო
 ეკლესიებშია შენახული, მონასტრებში და კერძო სახლებში, და
 რომელიც მათ მიუღობულთ უზრუნველობისა გამო იკარგება და
 ღვება. ამ გვარზე ბედი მოელოთ იმ ხელ-ნაწერებს, რომელ
 ნიც კერძო პირთ ხელშია ქართლში, იმერეთში და გამაჭმადიანე-
 ბუღს საქართველოში. ამასთანავე არ შეიძლება არც ვსთქვათ,
 რომ ბევრი მათგანი გატანილია და წაღებული საქართველოდამ
 და ბევრი კიდევ მოძავალში იქნება წაღებული და გატანილი:

მასსადამე იგინი დაკარგულნი იქნებიან მეცნიერებისათვის. რაც შეეხება ზედ-წარწერათა, მათი ბედი უფრო სამწუხაროა. ამ წერილის დამწერი ბეკჯუქ თავის მიმოსვლის დროს საქართველოში დაწმუნებულა, რომ ზოგიერთა ზედ-წარწერათაგანი, გადმოწერილი 1847—1848 წ. აკადემიკოს ბროსესაგან, აწ ან აღარ წაიკითხება, ან დაკარგულა სამუდამოდ. ამ მხრივ დრო და ყაში, და უმეტრება ხალხისა ერთად მოქმედობს. სვანეთში, რომელიც სავსე იყო ძველის ხატებითა, მომეტებული ნაწილი მათი ახლა გაძარცვულია და გადაკლუჭილი: რქოსა და კეტხლის შეჭვივებითა, რომლებზედაც ზედ-წარწერები ყოფილა—შემოცლილია და დარჩენილა მხოლოდ ცარიელი ტიტული ფიტრები—სვანების სათაყვანებელი და სალოცავი საგნები. ახალციხის მაზრასში, ამ მუსულმანობის თანატომის შუა-გულ, მუსულმანობა ყოველ შემთხვევაში სმარობს საეკლესიო შენობათა ქვეს თავის საჭიროებათათვის და ცხადია, რომ მათ ზედ-წარწერასაც ან დაზოგავს.

საქართველოს შესწავლა და საზოგადოდ გაგვასიისა—ჩემი საყვარელი საგანია. ესლა მე ვმუშაობ საქართველოს ისტორიის შედგენისათვის და რადგან ძალიან საჭიროდ მიმაჩნია, ჩემი ცნობანი შევიკისა საქართველოს არხეოლოგიურის შესწავლით და იმ მასალებით, რომელიც ასე თუ ისე ნათელს ჭეუნი ყოფა-ცხადობას საქართველოსა მე-ცხრე და მე-ათე საუკუნემდე, მე მსურდა, ამასთან ერთად დამეწყო, და თუ შეტეხებურის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია თავის განათლებულს დახმარებას გამიწევდა, განმეგრძო საქმე, დაწყობილი აკადემიისაკუ აზრით აკადემიკოსის ბროსესაგან, რომ ამ სახით მომეყვანა ცნობაში ყოველი წერილობითი საღსოვარი აწ სიბნელით მოცული და გამოუყენებელი. ამ განზრახვითა და

სურვილით, საქართველოს შესწავლა და გამოკვლევა, ჩემის აზრით, შეძლების პრეგრამით უნდა იქმნას დაწყობილი:

1) არხეოლოგიური მიმოსვლანი იმ ადგილებისა, რომელნიც აკადემიკოსს ბროსესს არ გამოუკვლევია იმ წესითა და რიგით, რომელიც მანვე შეადგინა, მეცნიერებათა აკადემიის ნება რთვით დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესოვისათვის, და რომელიც დაბეჭდილია *Mélanges Astiaiques, t. I, 1 li. p. 155—163* ამასთანავე საცა ძველი ხელნაწერები და ქარტიები აღმოჩნდება კერძო სახლში თუ ეკლესიებში და მონასტრებში გადმოწერილ უნდა იქმნას მიწერილობანი პირველთა და ამოწერილ იქმნას საჭირო ცნობანი მეორეთაგან.

2) არხეოლოგიური მიმოსვლანი შეიძლება გაგრძელდეს რამდენსამე წელიწადს. მიმოსვლულად დანიშნული უნდა იქმნას დრო ზათუნობით და შემოდგომობითაც. ამ დროს შეკრებილნი მასალები თფილისში დაბრუნების შემდეგ, ზამთრის განმამაკლობაში, წესსა და რიგში უნდა იქმნას მოყვანილი; შემდეგ უნდა შესდგეს დაწვრილებული და სრული ანგარიში.

ანგარიში უნდა შეიტაკდეს მოკლეს მოჭრით განსხვავებულ თვისებათა მიმოვლილის თემის ადგილ მდებარეობისას, თიზიკურის ბუნებისას, ეტნოგრაფიისას და ისტორიისას. მასში უნდა იქმნას მიქცეული ყურადღება ყოველ საგანზედ, რომელიც კი არხეოლოგიას, ნუმიზმატიკას და სსკ. შეეხება. უფრო შესანიშნავნი ისტორიულის მხრით საარხიტექტურულ სახსოვარნი: ციხენი და ტაძარნი აღიწერებინ; მათი ზედ წარწერანი, საფლავის ქვათა, საეკლესიო ჭურჭელთა და სატთა ზედ წარწერებითურთ, რომელნიც უნდა გადმოხატულ იქმნან სრულის მართლ წერის სინამდვილით, ანგარისშივე უნდა იქმნეს მიქცეული ნამდვილ და სიტუკა-სიტუკით თარგმანით რუსულად.

ამასთანავე უნდა ნახვენები იქმნას ქორონიკონი მათი და შინაარსი უფრო შესანიშნავ ზედ წარწერათა გამოკვლეულ და კრიტიკულად განჩეულ.

3). ზამთრობით ნება-დაართულ უნდა იქმნას შესწავლა იმ საერო და საეკლესიო ქარტიებისა, რომელნიც დაცულნი არიან სხვა-და-სხვა მთავრობის დაწესებულებათა შინა. იმ ქარტიების შესწავლაც უნდა იქმნას ნება-დაართული. რომელთა გოპიობიც, შემოწმებულნი კაკასიის მთავარ-მართებლის ურდოლოვის განკარგულებით წინანდელ სამჯავროთა მიერ, მათ არხიკეპიკე დაცული. იმათ თავისუფლად განჩხრეკას და გამოჩვევას, რომელნიც ინახებიან მთავარ სამმართველოში და თბილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთ სადებუტატო შეკრებილებაში, ხომ არა უნდა უშლიდეს რა. ეს ქარტიები ჯერ ცნობაში იქმნებიან მოყვანილნი და შემდეგ ცალკე ანგარიშის საგანს შეადგენენ. ამ ანგარიშებში იგინი გარკვეულ იქმნებიან თვითოეულ ეპოქისა ცალკე-ცალკე და მასთანვე საეჭოონი მათ შორის ანუ განგებ მოხერხებულნი (ПОДЛОЖНЫЕ) უნდა განცალკევდეს. ქარტიებიდამ ამოწერილობანი დაბეჭდება ანგარისში რუსული თარგმანითდა შემდეგ განისილება კრიტიკულად. ანგარიშის დასასრულ საზოგადოდასკენა შესდგება ქარტიების ცნობათა მიხედულობით, რომელნიც შეეთანხსწორება ისტორიულ ფაქტებს.

4) როგორც არსეოლოგიური მიმოსკლანი, აგრეთვე ანგარიშების ბეჭედა მართებლობის ხარჯით ჭსწარმოებს. ეს ანგარიშები მომზადების შემდეგ ან წარედგინება საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას, ან იბეჭდება თბილისში თვით მეცნიერებათა აკადემიის ჩვენებით: დაბეჭდილი ეგზემპლარები შეადგენენ საგუთრებას მართებლობისას.

საანდაზო ლექსები

(ამოკრეფილნი «ვეფხისტყაოსნიდან», «ქილილა და მანიდან» და «გურამიანიდან».)

(გაგრძელება*)

II.

(ვეფხისტყაოსნიდან)

ერთი წავა და სხვა მოვა
ტურთასა საბაღნარსა.

—
ერთსა რა გტყეპენ ათასნი
მგრეტა მოგურეპიან.

(ქილილა და მანიდან)

ერთი ხმალი გამკვეთელი
ორმოცს მოჭკლავს, ანუ ასსა;
ერთი რჩევა სულ დასთრგუნავს
სიმრავლესა ლაშქრისასა.

*) «ივერია» №№ XI, 1883 წ.

ერთი წავა და სხვა მოვა
სოფლის სასძლავსა წვეულად.

—

ეგრძელე (რუდად მეტყველსა,
უმსგავსოდ მოუბარესა.

—

ერთის ვაჭისა გონება
თემსა დაიპყრობს კიდითა.

—

ესე სოფელი მღერას ჰგავს,
ყმაწვილთა თამაშობასა.

—

ესეთი ნერგი დანერგე
ბედსა ისხმიდეს ზენარსა.

—

ეკ ილინჭა*) სხვას მიფრინველსა
მიუდგი და მოუმახე.

—

ესეთს მოყვასსა ეთვისე
ვაჭურად ყოლე მავალსა,
მოყვრისთვის სულსა დაჭსდებდეს,
მტერს მოუთმენდეს მრავალსა!

—

ეგრე მტრისა არ მეშინის
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა მტერსა ვუფროთხი,
მემოყვრება, მოცინარობს.

—

ესა მეფენო, რას იტყვიოთ
მას დღეს განკითხვისასა!

—

*) ილინჭა — ჩივის მახე.

ერთსა ხელი გერ მოჭკიდა,
სხვას გაეჭრა, გაეკიდა.

—
ეკალი საქებაჩია
ცეცხლისა აღსაგზებულად,
მაგრამ საქნულად არ ვარგა
უბეში ჩასადებულად.

—
ერთი თუ წავა, სხვა მოვა,
სხვა სხვისა საადგილსა.

—
ენის ისარი
მკვლელი ის არი.

(გურამიანიდამ)

ერთი დრო არ ვის შეჭრების
გარგი წსთქვა, გინა ავა.

—
ერთხელ რომ გემოდ გენახოს,
მორედ რად წსტამ მწარესა!...

—
ერთი ჰირუტევი მინახავს
გორსა, თუ ახალ გორსაღ,
თავისთვის მუტრუგს აკეთებს,
სხვას გი უკეთებს ჯორსაღ.

3.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ვაი, სოფელმა სოფელს მყოფი
ყოვლი დასვა ცრემლთა დენით.

ვის ასმია ჰატონისგან
ჭირსა შიგან ყმისა რიდი?

—

ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.

—

ვარდი ამას ვით იაზრებს,—
შეე მოშორდეს, არ დაგჭკნეო.

—

ვერას ვარგებ, გულისა დაკლებ,
ჩემი ფიცი არ გატყუების.

—

ვინ არ მიჭსტეს ქაღებული,
მოუჩავსა მომიღურობს.

—

ვერ დაიჭირავს სიკუდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.

—

ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს...
რაცა ვჭსთქვი, მასცა ვინანი.

—

ვერ იქმოდა, რად მიქადდა,
თუ მიქადა, რად მიტყუა?

(ქილილა და მანილაძე)

ვინც უქნელი ქნას,
ჩემებრ შეიქმნას.

—

ვინცა სიბრძნითა მეტია,
რად ჰკითხავს ვინცა რეტია?

—

ვარდთან ვარდობა იჩემე,
ეკალთან ეკლის რქებია.

ვიდრელა საჭმე არ ქნია,
წამალი მანამდე ცდილა.

—
გერ შეჭსურის მწვირე*) ნათელსა
სხივთა და მზისა მზობასა.

—
ვინცა გაკურნე, დამკოდა,
წულულზედ დამადვა ხონდრონი.**)

—
გნატრი მას მხნესა ნიადაგ
ავისა გერ შემძლებელსა,
დიდსა, გუნება-მდაბალსა,
სხვისა სიმდაბლის მქებელსა.

—
ვინ ჭირსა თაკი არ მიჭსტეს
ლხინს როდის შეესწრებისო.

—
ვისლა შეჭსჩივი? რაცა გჭირს,
შენმავ ნაქმარმა გიწია.

—
ვარდის მოკრეფას ნუ ელი,
თუ ძეძვის ჭრწყი გარემონი.

—
ვინც არის ჩემი მებრძოლი,
პირის-პირ მკადროს ოძია.

—
ვიდრე დრო გქონდეს, დაკდრომიდეს
ხელი აღუზუარ საკალად.

*) მწვირე—მურალი ლაფი.

***) ხონდრო—მანვილის მსგავსი იარაღია.

ვის ჭსჭირდეს ერთი სიკეთე,
 აუგო ასწივდ მეტია.

ვინც ჩემის ტაბლის ნაბერტყით
 ძღებოდენ, ყოფი რჩებოდენ,
 მის ნასუფრასა ვერა ვჭსჭამ,
 თუნდ სულნიც დაძელოდენ.

ვის ჭევანდეს ცოტა მოყვარე,
 ავკანად საცნობარია.

ვინც ჭიჭას, იგი არ ჭგავს
 გრდემლსა მას ხელოვნებულსა.

ვინ დაშვრას, მანვე მოიგო
 უნჯი რისავე სოფელსა.

ვის თავ-გაწირვით მოედანს
 დაუდგამს ფერხთა ტანია,
 ესრეთსა მხნესა სუბედის
 ბურთი უე გაუტანია.

ვაყობის ღვინი მხცოვანმა
 ვითღა მოიგოს ძებნითა!

ვერცხლზე ვინც სულსა გაჭყიდის,
 სხვას რას იყიდის, რასაო?

ვის მკერდს ახლავს საყვარელი,
 რამცა უნდეს ამის მეტი!

ვინც უსამართლოდ მახვილი
 ჭარჭაშით ამოაქანა,

მისმან მახვილმან მი'იკუ
სისხლი დაჭსთხილს აქანა.

ვისი ძაღლია უღონო მული,
რამ განარისხოს ძლიერი მკელი.

ვინცა გიჩიოს, ნუ უსმენ
ერთა ჭიჩსა და ხვეჭასა,
საქვეუნო მტერად შერაცხე,
მოკალ, ჩაგდე შიგ ჭასა.

ვინც სახელოვნად მოკვდება,
სახელი დარჩეს ქებული.

ვინც ნდომას დაუმონება,
მორჩენა დიალ ძნელია.

ვინცა მოითმენს, უთუოდ
ღვთის კალთას მოკვიდება.

კმონო თუ მტერსა,
გაკვლო მტერსა.

ვარდისა გაცინებაო
ბუღბუღსა სრულად შეჭმლისო.

ვისაც თორნე ცხელი ჭქონდეს,
პურსა იგი გამოაცხობს.

ვინც ბრძენთა სწავლას მისდივა,
ბოლოდ ის მისწვდა ნებასა.

ვით აჩრდილი მიუღევნე,
ქველთა კაცთა ეთანადე.

ვერ ვინ ჭკრა გონის მშვილდითა
საწადლის საგანს ისარი.

ვინ სულ-გრძელებას დაიპყრობს,
შეჩება სახელოვნება.

ვითა კლდე დამყარებული
პირობას დაემკვიდრო,
ჭარსავით მთა-მთა ნუ დარბი,
ნუცა ჭარჭვეტებრ ჭრბიდრო.

ვისცა მინდობა არა აქეს,
მისგან ბოროტი რად გიკვირს.

ვინცა სხვას თხრემლსა*) უთხრიდეს,
მან თვისი ზრმა მოჭსთხაროს.

(გურამიანიდამ)

ვინც მოგუნდობის, არ ინდობ,
არცა გაქვს ერთი პირია.

ვინც რამე შენა გესხვის,
ფისივით ზედა ეცხები.

ვაზის მრგველთან ის არ აქო,
ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.

ვინც ვერა ჭკავს გახა ბერსა,
მე ვერ ვიტყვი გახაბერად.

*) თხრემლი — ღრმო.

ვინც რომ ძრახვას ჭთაგილობდეს,
ნურასა იქს სამრახვასა.

—

ვერ მოვიტყენ, რომ ვინ დაკვდომ,
აღმა მხვნელს და დაღმა მკვარცხველს.

—

ველარ შევიძულ მოწევას,
დავბერდი, მშვილდი დავდეო.

—

ვამე ტკბილთ სიცოცხლეო,
რომ შენ კვრე გამიმწარდი!

—

ვინც მე მომდეს გაუყრელად,
მეც იმასა ვზდეო.

ზ.

(ვეფხვის ტყაოსნისდამ)

ზოგჯერ სიწყინარე გმობილი
ჭსჯობს სიჩქარესა ქებულსა.

—

ზოგჯერ თქმა ჭსჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

(ქილილია და მანიდამ)

ზღვა და ხმელეთი ვრცელაია,
კაცმან ვერ დაასრულაო.

—

ზეცით ღვთისა გეშინოდეს,
კაცსა უოლე ნუ აწუხებ.

ზღვის უბისგან გამომხდების
უბრალო მარგალიტო.

(გურამიანიდამ)

ზღვს გატსა საკმლად მიუჩანს
თვისი სიმურაღის სუნით.

—
ზედ დამახნივე,
ჩაც დამახვივე.

თ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

თუ ლხინი გკინდა ღვთისაგან,
ჭიჩნიცა შევიწყნარათა.

—
თქმულა, ქრთამი საუკავსა
ჯოჯოხეთსა დააუკვებს.

—
თვით ჩაცა ბრძანათ მართალ ხართ,
სხვა სხვისა ომში ბრძენია.

—
თავისის ცნობისაგან
ჩაკადებს კაცი ჭიჩსა.

—
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის,
თავი ბუფბუფი ჭგონია.

თუ არ მოგუპეს საყვარელი,
შენ მას მიჭყეე, რაღა ჭსწადდეს.

თუ მოყვარე მოყვრისათვის
ჭსტირს, ტირილსა ეძარტლებს.

თუ თავი შენი შენ განლავს,
ღარბად არ იხსენები.

(ქილილა და მანიდამ)

თუ ზღვასა წყალი არ შეჭსდის,
იგიცა ყოფი დაშრება.

თუმი სიძარტლით გაეწყო,
უგბილთა სისხლი აეწყო.

თუ კატი სასოლსა პირსა
არ ჭნახავს, კერას ჭნახავსო.

თქმულა, მეშურნე მტერისა
ქვეყნისა და ზეცისა.

თუ ავსა ავი არ უყო,
ვის ჭკითხო დანაშავები?

თუ მეოპეს ჭსძინავს, ქვეყანა
ვერ დაიძინებს შეებითა.

თუ რისხვის ხმლითა მოცამკლავ,
შენ იცი, ნება შენია.

თუ ჯხინი მაჭკვს, ყოვლნი კაცნი
გამიდებენ ფერხთ ჭკეშ ხიდსა.

თუ ამ ღვართ გზას არ შეუკრავთ,
მოგვიცავს, მოგვედინება,
ჩვენს თემს სრულად წაჭლეკავს,
ბოლოდ დაგვკრჩება გინება.

თუძეცა ყამი შენ არ მოგეკვს,
შენ ყამს მიჭყეკ, რაცა ჭსწადდეს.

თუ უძეცარმა ავი ჭნას
ამპარტავნული რიგია,
ყრუსავით ყურე დაიხშე,
ვითარძეცა არ გაგიგია.

თვით შენვე ჭნახავ,
რასაც რომ ჭსახავ.

თუ მყავე ტკბილთა შეერთო
გატკბების და გამხვივდება.

თავი სიბრძნისა ესეა,
ნიშანი, ჭკვათა პოუნანი:
მშვიდობის-ყოფის სისწრაფე,
მრისხანებისა ყოუნანი.

თუ შენა გაჭკვს ისარიო,
მეცა მიხურია ფარიო.

თუ კაცი ცხენსა არბევდეს
რისხვისა თავ-გამზიდარსა,

მაშინ ჭხამს თავის აზიდვას
სადაკე ანაზიდარსა.

—
თუ კვიპაროზი წაიქცა,
ნამყენად იქმენ თელასა.

—
თუ გულთ გიუკარს მოუკარე,
შორი და ახლო სწორია

(გურამიანიდამ)

თავიდან კაცის სიკვდილი
კაცთაგან შემოღებულა.

—
თქმულა: სიბრძნესთან სიჩუგუნე
კითხ ცოცხალთან მკვდარია.

—
თავს სინანული ჭსჯობია
✓ ბოლოს უამს დანახებასა

—
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გაჭსტანჯავს წუთის სოფელი.

—
თუ რამე ავი არ ვაძაგო,
კარგი რეგორ უნდა ვაქო.

—
თუ არ იქ, კითხ იქმნასო,
რაცა რამე დაიქადეო.

—
თუ გინდა მოძველ ხორცილთა,
აღონდ ნუ წამწყებენდ სულათა.

თვით ქრისტე ბძანებს: ძნელაა
 ღმრთა უფალთა მონება.

—
 თუ ჩემი თავი გინდაო,
 იუპე ყოვლისფრით წმინდაო.

—
 თავს ასეთზედ ნუ იხარებ,
 ბოლოს იხანებდო.

—
 თბილას, თუ ცივას,
 ღმრთე მტკივას.

—
 თუ მაჭმევ ტკბილთა,
 ჩამამტკრევ კბილთა.

—
 თვით კარგ-გაძობას არ ძალუძს,
 სხვისა ჭმუკს კარგი გაძობას.

—
 თავის ხრას, ზოჯვას*) კერპისა
 ფუჭი რამ თამასუქია.

ი.

(ვეფხვის ტყაოსნიდან)

იგი მიენდოს სოფელსა
 ვინცა თავისა მტერია.

*) ზოჯვა—კერპის მიმართ შეწირვა.

(ქილითა და მანიდამ)

იგი თავს მთელსა ნუ ჰგონებს,
ვინცა სნეულის მჭკრეტიას.

—
იშუებდე: გარჯას არა აქვს,
ვით ზღვასა, ახლო ვიდები.

—
იფქლი საუნჯედ შეკრბების,
ღვარძლი ცეცხლ მოსადებულად.

—
ირემი ლომსა ებრძოდეს,
ყამნი შეუმტრდეს დღეთანი.

—
იტოდეთ, ყოვლი ბუნება
გვართავენ მიიზიდება.

(გურამიანიდამ)

იყავ ერთ-ერთი,
იწამე ღმერთი.

(შემდეგი იქნება)

«ლესნი კროზიტა.»

თხზ. ტურგენიუვისა.

(თარგმანი.)

ბ ა ა ს ი .

ახლები მწკრვალებია... მთელი კედლებია ფრიალთ
კედლებისა... თვითონ შუა გულა მთებისა.

მთებს გადმეჭტენია ცაგი, ფუსტული, ნათელი ცა.
ძლიერი, მწკვი სუსხია ყინვისა. თრულიდამ ზოგან თავები
ხმარუყვიათ გაყინულს, ნაჭარკეს წვეტებს კედლებისას.

აწი უზარმაზარი, აწი გოლიათი მთა ცის კალთებზედ
აწივე მხრეჲ აძარტულა: ერთი, იუნგტრეუ და მეორე ჭინსტერ-
ნარგოაწი.

იუნგტრეუ ეუბნება თავის მეზობელს: რას იტყვი ახალს?
შენ უფრო დანახავ რა აძვავა იქ, ქვევით?

გადის რამდენიმე ათასი წელიწადი: ერთი წუთი. აწ
გრგინავს პასუხად ჭინსტერნარგოაწი: მთლად ზედ წაჭბურე-
ბის ღრუბელი დედა-მიწას. თვალთ აწა ჭსჭრის... დაიცა
პატარა!

გადის კვლავ ათასობით წელიწადი: ერთი წუთი.
— აბა ესლა-ლა? ჭკითხავს იუნგტრეუ.

— ეხლა გი ვხედავ. იქ, ქვევით ისევ ისეა: აჭრელებული, დანამცეტებული. მოჩანან წყალნი ლურჯად, ტყეები შავად, თაგვისფერად უშველებელი გრძოვა ქვისა. მათს ახლო-მახლო ფურსფურებენ ჭია-ჭუანი, აი, ხომ იცო, ღრთუნნი, რამდენთაც ჯერ აქამოდღე ჩვენამდე ვერ ამოუხწევიათ და მწიკვლი არ მოუცხიათ არც შენთვის და არც ჩემთვისა.

— ადამიანებს აძობ?

— ჭო, ადამიანებს.

გადის კვლავ ათასობით წელიწადები: ერთი წუთი.

— ახა ახლა? ჭკითხულობს იუნგტრაუ.

— თითქო ჭია-ჭუა შეცოტავენ. ცოტანი-ღა ჭიანან; — გრგვინავს ჭინსტერნარგორნი: იქ, ძირს ნათელია, თვალი ეხლა გარგად ჭსჭრის უფრო. წყალნი დაჰატარებულან, ტყენი გათხელებულან.

გადის კვლავ ახალი ათასი წელი: ერთი წუთი.

— ეხლა რაღას ვხედავ? ეუბნება იუნგტრაუ.

— ჩვენს გარეშემო, ჩვენს ახლო უკვლავური თითქო ჩაი-რეცხაო, უპასუხა ჭინსტერნარგორნი: ახა იქ გი, შორს მინდვრებზედ გიდეკ ეტყობა შიგა-და-შიგ ჭუჭუი და რაღაცა მოძრაობს.

— ახა ეხლა? — ჭკითხავს იუნგტრაუ, რაკი გიდეკ გაიარა სხვამ ათასმა წელმა: ერთმა წუთმა.

— ჭო, ახა ეხლანა გარგად, მიუგო ჭინსტერნარგორნი: უკვლავან სისუფთავეა, სუკვლავან სულ გასჰეტავენულია, საითაც გი მიიხედავ... უკვლავან ჩვენი თოვლია; ერთხანად, თანახანი თოვლი და ფინული. უკვლავისფერი გაუინულია. ეხლა გარგია, უკვლავ დადუძდა, უკვლავამ მოისვენა.

— ძალიან გარგი, — ჭსთქვა იუნგტრაუმ, შორი-შორს სი-

ტყვა კია, მაგრამ ჩვენ ძალიან გაკებით ჯავარაკსა, ბებერო!
დროს ჩავთვლიდით.

— დროს.

ჭსძინავით უშველებელს მთებს; ჭსძინავს ფუსტულს, მო-
წმენდილს ცას, სამუდამოდ დადუმებულის დედა-მიწის ზემოდ
წამოდგომულსა.

ბებერი დედაკაცი

ერთს ტრიალს მინდობდა მარტოკა მიკდილი.

უცრად მომელანდა, თითქო რაღაც ქურდული, ფრთხი-
ლი ფეხის ხმა მომესმა უკანიდამ. ჩემს ნაკვალს ვიღაცა მოჭს-
დეკდა.

უკან მივიხედე და დავინახე ერთი პატარა, ტანში-მოხრი-
ლი დედა-ბერი. თავისფერს მონძებში იყო შესვეული. მონ-
ძებში მარტო პირის სახე-და უჩანდა: ყვითელი, დამჭგნარი,
ცხვირ-წვეტა, კბილებ-ჩაცვივნული პირის-სახე.

მე მიკვიდა... იგი შედგა.

— ვინა ხარ? რა გინდა? მთხოვარა ხარ? მოწყალებას
ელი?

დედა-ბერმა ხმა არ ამოიღო. დაკავიერი სახეს და ვნახე,
რომ რისავე თვალებზედ უსინათლო, მოთეთრო ლიბრი გადა-
ჭკროდა, როგორც ზოგიერთს ფრინველსა აქვს ხოლმე. ფრინ-
ველი მაგ ლიბრსა ხმარობს რომ მეტმა ნათელმა თვალი არ
შეუწუხოს: ხან იფარებს ლიბრს, ხან აიცილის ხოლმე.

ხოლო ბებერს ვი ის ლიბრი არ ეძროდა, თვალთა გუ-

გას არა ჭმორდებოდა... ამით დაკრწმუნდი, რომ იგი ბრძაა, უსინათლო.

— მოწყალეობა გინდა? კვითხე ხელ-მეორედ: რად მომდევ უკან?

ბებერი უწინდებურად ხმა არ გამტა და ცოტა არ იყო მოიკუნტა მხოლოდ.

მე გამოვბრუნდი და გავუღებ ჩემს გზას.

ხელ-ახლად მომესმა იგივე ჭურღული, ფთხილი ხმა ფუხისა.

— გიდეო ის ბებერია! ვიფიქრე მე: რას გადამგიდობია? გულში გამიარა,—ვერასა ჭხედავს, ბრძაა, უსათუოდ გზა არეკია და ჩემს ფუხის ხმას მოსდევს, რომ ჩემთან ერთად ადამიანის სადგურს სადმე მიაღწიოს. დიად, სწორედ ეგრე უნდა იყოს მეთქი!

მაგრამ რაღაც უცნაურმა შიშმა ცოტ-ცოტად ამიტანა და დანებია ჩემი ფიქრები: ეხლა ისე მეჩვენა, ვითომც ბებერი მე კი არ მომდევს, არამედ მე თითონ იმას მივუევარ, ხან აქედ მიმატრიალებს, ხან იქიდ, და ძალაუნებურად თავის ნებაზედ მატარებს.

მაინც გიდეო გული არ გავიტეხე და ჩემს გზას გავუღებ... ჩემ წინ აიჭ შორს, გზაზედ ეს რა გამოჩნდა შავად? თან-და-თან დიდდება და დიდდება... რაღაცაა, რძიმოსა ჭგავს... ასამარკა, სამარკა! გამიეჭვა თავში ამ ფიქრმა: აი სად მივუევარ თურმე ბებერსა!

უცხად მოვტრიალდი და გამოვწიე უკან. ბებერი ისევ თვალიწინ ამეტრუნა. ეხლა თვალი ახილა! დამიწყო ცქერა თავისის დიდრონის, ბორცვის და უბედურობის მომასწავლებლის თვალებითა..., სისხლთა მსმელის სვავის თვალები იყო

სწორედ. ახლო მიკედი, გულავ დაკაკვირდი იმის პირი-სახეს, იმის თვალებს... ხელ-ახლად იგივე უსინათლო ლიბრი, იგივე დამტყვნარი და მკვდარი სახე დაუინახე.

— «ექვს! ვითუქრე მე: ეგ ბებური ჩემი სვე-ბუდია მეთქი: იგი სვე-ბუდი, რომელსაც ადამიანი ვერსად ვერ წაუვსა ხოლმე.»

— «ვერსად წაუვსა, ვერა, ვერა!... — ექვ, რა სუფულობას!... რატომ ვერა?... ცდაა საჭირო, ცდა!»

მაშინვე გადუხვიე გზას, სხვა მხარეზედ წავიდა.

მიუღივარ, რაც შემიძლიან, ჩქარა... მაგრამ იგივე ქურ-დული ხმა თუხისა არ მუშუება... მომდევს ზურგით უკან უფრო ახლოსა და ახლოს. წინ იგივე შავი თხრილია...

ხელ-ახლად გადუხვიე გზას, სხვა მხარეს ვეცი. მაინც გიდეო იგი თუხის ხმას უკანით და წინ იგივე საშინელი თხრი-ლია.

ხან იქიდ ვეცი, ხან აქედ, გაკრბოდი და გამოკრბოდი, რეგორც გამოფთხალი გურდული... მაგრამ მაინც გიდეო იგივე თუხის ხმას უკან, იგივე რძილას წინ.

— მას კარგი! ვითუქრე მე: მოდი გაუჩერდები. ენახეთ რას იზამს ბებური? მაშინვე ჩაკვუქ იქავ დედა-მიწასკედ.

ბებური უკანიდამ თავს წამომადგა, სულ რაღაც თუხის გა-დადგმა არ იქნებოდა, ისე ახლო. ხმა, კრინტი მისი არ ის-მის, მაგრამ მესმის, ვგრძნობ, რომ ჩემს ახლოს.

უეცრად დაუინახე: ის თხრილი, რომელიც შავად მოჩან-და შორს, ჩემკენ მოდის, ჩემკენ მოცურავს!

— აჰა, ღმერთო ჩემო!... მივიხედე უკან... ბებური პირ-და-პირ მე ჩამომშტერებია და უგბილო პირი დაჭკრების დან-ბების ღიმისაგან...

— ვერ წამიხვალ, ვერა!

ძაღლი

ჩვენ ორი ვართ ოთახში: ჩემი ძაღლი და მე... გარედ
საშინელი ქარი ჭჭრის და ღმუის.

ძაღლი წინ მიზის და თვალებში შემომცქერის.

მეც თვალებში შევცქერი.

თითქო წილაცის თქმა უნდა... იგი მუნჯია, პირუტყ-
ვია, თვითონაც არა იცის რა თავის-თავისა, მაგრამ მე ვი
ვიცი, მე ვგრძნობ....

მე მესმის, რომ ამ წუთს იმასაც და მეც ერთი და იგი-
ვე გრძნობა გვიღვივის, რომ ჩვენს შორის არაფერი განსხვავ-
ებაა.... ჩვენ ერთნი ვართ, თვითვეულებს ჩვენგანს ათბობს
და ანათებს ერთი და იგივე ტეცხლი.

სიკვდილი წამოგვიჭრებებს, მოგვისოდის თავის ცივსა
და განიერს ფრთასა...

და მშვიდობით ვიდუც!....

ვინ გააჩნევს მერე: თვითვეულებს ჩვენგანში რა გვარი
ტეცხლი ენთო სახეაღობრ.

არა! აქ პირუტყვი და ადამიანი ვი არ შეჭყურებენ ერთ-
მანეთს თვალებში... ორი წყვილი ერთნაირი თვალი ერთმა-
ნეთს შეჭსცქერიან.

ეგ ორი წყვილი თვალი პირუტყვისა და ადამიანისა —
ერთსა და იმავე სიტეცხლებს გრძალებით ერთმანეთს აწვდიან.

მთხოვარა.

მე ქუჩებში დაკდიოდი. ჯან მიღებულმა მოხუცმა მთხო-
ვარამ შემაყენა.

ჩაწითლებული თვალთა ბუდენი, სკელი, წიწვლმორეული თვალები, გალურჯებულნი ტუჩები, აბურძგნული ძონძები, ჩირქიანი წყლულები... რა, რა საშინლად გამოუხრავს სიღარბებს ეს საცოდავი ადამიანი!

გამომიწოდა აბურძგნული, დასიებული, ჭუჭყიანი ხელი. შემომკვნიესა, ძროხასავით შემომბლაკლა.

მე მასშინვე ჯიბეს ვიკარ ხელი... ჯიბე-უბეები სულ გადმოვასბრუნე და ღვთისაგან განახენი ვერა ვიპოვე რა... ანცქისა, ანც საათი, ხელთ-სახეცოც კი არ გამომეოლლა შინიდაძი.

მთხროვარა მიცდიდა... გამოწვდილი ხელი უკანკალებდა, უთრთოდა.

მე დაბნეულმა, სირცხვილეულმა ჩამოვარტვი მთრთოლვარე ჭუჭყიანი ხელი, მაგრამ მოვუჭირე და ვუთხარი: ნუ მიწყენ, ძმაო! ანათერე ანა მაქვს რა, ძმაო!

მთხროვარამ გამისწორა თავისი ჩაწითლებული თვალები. მისთა ჩაღურჯებულთა ტუჩთა შემომცინეს გულის-ტკენით. მაგრად მოგუმშა თავის ხელში ჩემი გაცივებული თითები.

— რა ვუყოთ, ძმაო! წაიწმუკუნა მთხროვარამ: მაგისათვისაც მადლობელი ვარ. ეგეც განკითხვას, მოწყალებას, ძმაო!

მე შევიგენ, მე ვიგრძენ, რომ მეც განკითხულ ვიქმენ, მეც მოწყალება მივიღე ჩემის ძმისაგან.

«გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა.»

პუშკინი

«გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა»... შენ ყოველთვის მარტალს ამბობდი ხოლმე, ჩვენო დიდებულო მწერალო! ამ

ხანდაც მართალია ეს შენი ნათქვამი. ამსჯავრი სულელთა და კირთად აგდება ხროვისა... ვის არ გამოუცდია ერთიცა და მეორეც?

ყოველივე ესე შესაძლოა, და საჭიროცა კაცმა აიტანოს, და კისაც ძაღლმანე შეჭსწევს, ილიზლოს კიდევ, ყური არ ათხროვოს.

მაგრამ არის ისარი, რომელიც შიგ გულში მოხვდება ხოლმე კაცსა და ყველა კეთებაზედ მწვავია... კაცმა ჭქმნა ყოველი, რაც კი შეეძლო; დღე-და-ღამ მუშაობდა, სიყვარულით, პატიოსნურად... და პატიოსანი კაცნივ სამაგლად პირს არი დებენ. პატიოსანი გვამნი აინთებიან ხოლმე წყრომისაგან იმის სახელის ხსენებაზედ. წარკუდი ჩვენგან! გადი, გადი! მიჭს-მანის პატიოსანი ყმაწვილ-კაცობა. შენ ჩვენთვის არა ფრის მაქნისი ხარ, არც შენი ნაშრომი, ნაჯაფუკი... შენ ჭბილწავ ჩვენს სადგურსა—შენ ჩვენი არა იცი-რა, ჩვენი არა გაგებობა-რა... შენ ჩვენი მტერი ხარ!

რა ჭნას მაშინ იმ კაცმა? უნდა განაგრძოს თავისი შრომა, არამც და არამც არ ინდომოს თავის-მართვლას და არც მოელოდებოდეს უფრო სამართლიანს განსჯასა.

ერთს დროს მხვნელნი და მთესველნი ჭსწეუკლიდნენ მოგონაურსა, რომელმაც კარტოფილი პირველად მოუტანა, რომ თუ არ პურით, იმით მაინც იკვებოს თავი ღარიბმა. გაწვილი მათდამი ხელდასმ გააყრუებინეს იგი ძვირფასი საჩუქარი, გადაჭყარეს ლათში, თუნით დაუწყეს სრესა.

ესლს იგინი იმით იკვებებიან,—და არც კი იციან სახელი თავისის კეთილ-მყოფელისა.

ნუ იციან! რად უნდათ იმისი სახელი? იგი უსახელოდაც შიმშილისაგან იხსნის ხალხსა.

ჩვენ მარტო ის ვეცადეთ, რომ ჩვენი მოტანილი მართლად სასარგებლო საზრდო იყოს.

მწარეს უმართლო წყევას იმთავან, ვინც გიყვარან... მაგრამ შესაძლოა ვაჭმა ესეც აიტანოს...

«მცემე, თლანდ ვი მამისმინეო» — ეუბნებოდა ათინელი მხედართ-მთავარი — სპარტანელსა.

«მცემე, თლანდ ვი შენ იყავ ჯანმრთელ და მამლარ!» უნდა ვჭსთჭკათ ხოლმე ჩვენცა.

ს უ ლ ე ლ ი .

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულელი.

დიდ-ხანს მიდიოდა იმისი ცხოვრება ქეიფითა და შკებოთა, ბოლოს ცოტ-ცოტად მოაწია იმის ყურამდინ, რომ ყველანი უტკინო ქარათშუტას ეძახიან.

ეწეინა სულელს და დაიწყო ზრუნვა მასზედ, რომ თლგორმე კრიჭა აუკრას ამ უსიამოვნო ხმებსა.

უცხად იმისი ბნელი ტვინი გაანათა ერთმა აზრმა. ერთს წუთს აღარ დაყოვნებულა და ის აზრი განახორციელა.

ჭუჩაში შეხვდა ერთი თავისი ნაცნობი. ამან უქო ერთი გამორჩენილი მხატვარი...

— რას ბძანებთ!... შეჭყვირა სულელმა: ამ მხატვარს დიდი ხანია აბრუ გაუტყდა, დამკულდა... ნუ თუ არ იცოდით? მე ვკ თქვენგან არ მეგონა... თქვენ, კრიჭა! საიღამ სად ჩამო-რჩომილხართ ქვეყნიერებას!...

ნაცნობი შეშინდა და მასშინვე თანახმა გაუხდა სულელსა.

— რა მშვენიერი წიგნი წაკითხე დღეს! ეუმნება მასვე სულელს მეორე ნაცნობი.

— რას ბძანებთ! შეჭყვირა სულელმა: როგორ არა გრცხვენიათ? რის მაქნისია ის წიგნი!... რამდენი ხანია, რაც ზედ არც კი აფურთხებენ... ნუ თუ ეგ არ იცოდით? ერიჭა! საიღამ სად ჩამოჩხომილხართ ქვეყნიერობას!

ეს ნაცნობიც შეშინდა და თანახმა გაუხდა სულელსა.

— რა კაი კაცია ჩემი მეგობარი №№! ეუმნებოდა სულელს მესამე ნაცნობი: აი მართლაც და კეთილ-შობილი კაცი ის არის!

— რას ბძანებთ! შეჭყვირა სულელმა: №№ სომ გაქნილ, უნამუსო კაცად არის ყველგან და ყველასგან ცნობილი. მთელი თავისი გვირგვინობა გაუკლიფა. ვინ არ იცის ეს ამბავი? ერიჭა!... საიღამ სად ჩამოჩხომილხართ ქვეყნიერობას!

მესამე ნაცნობიც შეშინდა, თანახმა გაუხდა სულელსა და მეგობარს გადაუდგა. ვინც და რაც კი უნდა გექნოთ სულელის წინაშე, ყოველზედ და ყველაფერზედ ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა.

ხანდისხან, დრო გამოშვებით ამასაც ჩაუმატებდა ხოლმე გიცხვით: ნუ თუ აქამოდუ თქვენ ავტორიტეტები გწამთ?

«გესლიანი კაცია! წიწლაკიანია!» დაიწყეს ლაპარაკი სულელის ნაცნობებმა: მაგრამ რა ჭკუაა, რა გოგრა!»

«რა ენის პატრონია, უმატებდნენ სხვანი: უპიკელო ნიჭია, უპიკელო ტაღანტი!»

ხოლო ისე გათავდა საჭმე, რომ ერთმა რედაქტორმა გაზეთისამ მიიწვია იგი სულელი და ჩააბარა კრიტიკის ნაწილი გაზეთისა.

სულელმაც დაიწყო კრიტიკა ყველასი და ყველაფრისა,

ერთი სიტყვაც არ გამოაკლო თავის ჩვეულებრივ სიტყვა-პასუხსა, სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა.

ეხლა იგი, უარ-მყოფელი ავტორიტეტებისა, თვითონ შეიქმნა ავტორიტეტად და ყნაწვილი კაცნი თავიანთსა ჭსტემენ, მისი დიდი შიში და რიდი აქვთ. მან სხვას რას იქმოდენ საცოდანნი ჭაბუგნი? თუძცა—საზოგადოდ რომ ვჭსტქვათ—თავიანება რიგი არ არის... მაგრამ რასა იქ აქა... არ ჭსტემ თავიანთს, ძველებში, უკან ჩამოჩხოშილებში ჩატუჯიან!

მხთაღთა შორის სულელებისა ბედს ძაღლიც არა ჭყუფს.

ბ ე ლ უ რ ა .

მე ნადირობიდამ მოკდიოდი ბაღ-და-ბაღ. ძაღლი წინ მიძუნძულებდა.

უცხად ძაღლმა სიარული იკლო. თუბ-აკრუთით დაიწყო მიძახება, თითქო ნადირის, თუ ფრინკლის ალღო აიღო.

გაკიხდე წინ, ვითვალთვალე და დაკინახე ბლარტი ჩიტისა, იგი ბუდიდამ ჩამოვარდა (ქარი ძაღიან არხეკდა ხეებსა) და უძრავად იჯდა, ახლად აშლილი ფრთები გადაეფოფხა აქეთ-იქით უნუგეშოდ.

ჩემი ძაღლი მძიმედ ეპარებოდა ბლარტსა. უცრად გადმოქანდა იქავ ხიდამ ხნიერი შავ-გულ-ძვერდა ბელურა და შურდულის ქვასავით ძაღლის ცხვირ-წინ დაეცა. აბურძგნულმა, გაკაპასებულმა იმედ-დაკარგულის და საცოდანის ხმით ერთი ღრჯერ ისკუება პირდაპირ პირდაღებულ, დაღრენილ ძაღლისაკენ.

ეტა გამოსახსნელად და წინ აეფარა თავის შვილსა...

მაგრამ მაინც კი პატარა ტანი უსართლად შიშისაგან, პაწია
ხმა გაუხრინწიანდა, გაუბოხდა, იგი თრთლდა, გულე ელეოდა,
იგი თაკგაწირული იყო შვილისათვის!

რას უშეკლებელ ვეშაპად უნდა ჭსჩვენებოდა ძაღლი! მაინც
კიდევ არ დადგა იგი, მაღალ ტოტზედ უშიშრად მჯდომარე...
ძაღმა, ნებაზედ უფრო ღონიერმა, გადმოაქანა იგი მაღალ ხი-
დამა.

ჩემი ტრეზორს შედგა, უკან დაიწია... ჭსჩანს, იმხნაც
აღიარა იგი ძაღლი.

მე კუხმე გაშტერებულს მუეფარს და წამოკედი, ბელურის
მიმართ თაყვანის ცემით გულ აღვსილი.

დაახ; ნუ გაგეცინებათ. მე მოწიწებით თაყვანის-ცემს კი-
გრძნენ იმ პაწია და თაკ-გაწირულ ჩიტის წინაშე, წინაშე მი-
სის სიყვარულის აღფრთოვანებისა!

სიყვარული, კიფიქრე მე: სიკვდილსაც და სიკვდილის
შიშსაც ჭსძლეეს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლე-
ობს და მოძრობს ცხლვრება.

ერთი ღამე თოვლ-ჰვეზ.

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდან).

I

ქრისტეს-შობის თთვე იყო. ზამთარი გახდა სრული ბატონი ქვეუნისა და უფლებდა მთელ ს. თ—ის აჩე-მარეზედ. ეს სოფელი ისეთ ხეობაშია, რომ მისი სიმშენიერე ავს თვალს აჩუნახება გაზაფხულის პირზედ. ეხლა კი დათოვლილი იყო მთლად ეს ხეობა. შუაში ჩამოდინარე მთის - წყალი გაკვანდის მთიდან სულ უინულოთ იყო გაფიცრული. სოფლის გარშემო იქვე რჩ-სამ ნაბიჯზე ხშირად ატენილი ტყე და მდინარის რჩსაკ ნაპირებზედ წვრილა ბუჩქნარი და ჭაღაკები თეთრად იყო დათოვლილი; დაბერებულყვენ ისეც მოხუცებულნი ას-წლყანი მუხები და კაკლის ხეები. რჩოფრეს კაკალი, რჩმეფიც სოფელს ახლო, მაღლობზე იდგა, კად-მეჭყურებდა დაღონებულა ამ სამი-რთხი თვის წინად სიცოცხლით ალსაკსუ ხეობას, რჩდესაც მის ჩრდილს ქვეშ ისვენებდა ცალკე მგზავრი, ცალკე ზაფხულის ჰაზანაქება სიცხებში მოქან-ცულ-მოწყვეტილი და დამაშყრალი მუშა გლეხი. მაშინ რჩოფრეს კაკალიც თვით სჩქეფდა სიცოცხლით, ტოტები ამაყად

გაშლილი ჰქონდა, ფოთლებით დაბურულიყო და სარგებლობაც მოჰქონდა ხეობის ხალხისათვის. ახლაც კი სულ სხვაც იყო.

— შეხე, შეხე ამ მონღოლის გაკაღსა. ათი ურემი თოვლი კი დაუტევიან თავის ტოტებზედა და! უთხრას ახალ-გაზდა სანდროს თავის სახლის-კაცს ზუნას, რომელნიც ის ის იყო სოფლიდამ გამოსულიყვნენ დილა-ადრისავე და მონღოლს გაკაღთან გამოიარეს. ამ სანდროსა და ზუნას გუშინვე გადაეწუვიტნათ ს. დ—ის გადასვლა ცხინკალის ხეობაში. იქ წასულიყო დანიშნულის მოსაყვანად ზუნას ძმა თედომ და აგერ მუხრეკვირაც მიდიოდა, რომ არც ბიჭი ჩანდა, არც დანიშნული და არც ძაყრები. ისე რომ სათუქრებელი შეიქნა იმათი საქმე. სანდროს და ზუნას ხათათი მიეცათ გულში და გადასწვიტეს ამ საშინელს ზამთარში, როცა სახლიდამ გამოსავალ კარებთან თოვლის გაჩენაც კი ძნელი იყო ხალხისა და საქონლის გამოსასვლელად, წასვლა თითქმის რც კერსტზედ ფეხით ერთ-მა ძმისა და მუხრემ სახლის კაცის მოსაგითხავად. სანდროს თვითონ მამამაც არ დაუშალა წასვლა.

— წადი, შეილო, ეუბნებოდა ტყეზნით სოლომანი წინა-ღამეს. წადი მოიგითხე ი ბიჭიცა და ი ხალხიცა და ამბავი მაინც შეგვატყუებინე, რა დაემართათ. ხვალ-დილით ადრე რომ წახვიდეთ, შეადღისას იქ მიხვალთ და ზეგ ისევ დაბრუნდებით.

სოლომანი შესანიშნავი გლეხ-კაცი იყო. იმისი წმინდა ჭაბუღი სახე, კეხიანი ცხვირი და თან მშვიდობიანი გამონათქვამი სახისა ამტკიცებდა ერთისავე შეხედვით, რომ ეს სწორედ ერთი იმ გლეხთაგანი უნდა იყოს, რომელნიც შესანიშნავნი არიან მთელს სოფელში თავის ჭკუით, მაღლიანობით და რომელნიც მაღე მონადირებენ ხოლმე არამც თუ

რამდენიმე გლეხ-კაცის გულსა, ანამედ მთელ სოფლის საზოგადოებისასაც. უცხო კაცს მხოლოდ ერთი დალაპარაკება უნდა მასთან, რომ არც მისი სახე დაავიწყდეს, არც მისი ლაპარაკის სიტბო. შემთხვევის დროს სოფელმანი შესანიშნავ ხასიათს და სულის სიმტკიცეს იჩენდა. განსვენებული გოგია, მისი მათა ბეგრით ადრე იყო განთავისუფლებული ბატონ-ყმობიდან, ვიდრე ეს საზარელი სუნი ჩვენში მოისპობოდა განმდებლის ნებით და განკარგულებით. გოგიამ თავის შრომით, ჭკუით, მამაცად მსობთან ბრძოლით მოიხვეჭა კარგი სახელი და შემდებაც, ისე რომ ბოლოს კიდევ გამოისყიდა თავი ბატონებისაგან და მამულიც შეიძინა, მთაცა და ბარაცა — თითქმის სამასის დღიურისა. დღეს სოფელმანის რჯახი გაყოფილი იყო რამდენსამე ნაწილად და ყველანი მის გვარუფობის განაყოფნი კარგად ცხოვრობდნენ, გლეხ-კაცურად რომ ვიანგარიშოთ და სხვა მეზობლებს რომ შევადაროთ. ძმაცა ჭყავდა სოფელმანს, ისიც ტკეპნია მოლაპარაკე და ისეთივე დალაგებულის და დაწყინებულის ხასიათისა, მხოლოდ, როგორც უნცროსი და უფრო ახალ-გაზდა, შემთხვევაში გულადობის და მამაცობის გამოჩენა ძალიან უყვარდა. თეკვზე ნადირობა ხომ იმის გულის-თქმისა და ვნებას შეადგენდა.

— ახა, კაკო, ხედა ბზობასა და რას იტყვი. ეტყოდნენ ხოლმე და ამის მეტიც არაფერი არ უნდოდა კაკოსა. გადმოიღებდა თავის დალაპარაკ ხმაფსა და გასწევდა სოფლის ახალ-გაზდებთან ერთად. თუმცა სიხარულით ფეხზე აღარ მდგარიყო, მაინც კიდევ თავი ეჭირა ისე, როგორც მშვიდობიანს კაცს შეჭყურის.

— ახა, კაკო, ე ფერიცვალობას აგებს და ჩვენი კაკლებიც ისეთია რომა, ათ გოდოროს სულ ერთ წამში დაკვრეფავთ.—

გთუოდენ კიდევას. — ი დალოცვილი მხოლოდეს კაკალი ხომას სულ დახუნზღულაია, სულ ტუებები ასხია. წავიდეთ, კაკო, ფრანკუ. და კაკოც გაჭყებოდას ხოლმე, უფროსობდა ნადირობის დროს, და დიდის საშოკრით ბრუნდებოდას თავის ძმის დიდ ოჯახში, რომელსაც დიად ძველებური ხასიათი დღესაც არ დაკარგა. არც საკვირველია, ეს სოფელი სძევს ძალიან ახლო კავკასიონის ქედთან, თითქმის ზედ ძირობაზედ, გამორჩენილ უ — ის ხეობის თავში, ე. ი. ისეთ ალაგას, სადაც ახალი წესები, ახალი ფიქრები, დამრღვეველი გლეხის ოჯახის მამაპაპურის გაწყობილობასა, აგრე ხშირად არ მისწვდება ხოლმე. როგორც ქალთა, ისე კაცთა სიმრავლე იყო ამ ოჯახში. მთელი დიდი გოდორი ლობიო შეიჭმებოდას ხოლმე ამ ოჯახისაგან ზამთრის განმამაგვლობაში. დიდი ჰურის წყალი ქვებით დუღდებოდას რძე ყოველ-ცისმარე დილა-საღამოს თხა-მცხვრისა ცალკე და ძროხისა და ფურ-კამეჩისა — ცალკე. დედა-კაცები რიგ-რიგობით დიასახლისობდნენ ოჯახში. შრომაც განაწილებული იყო მათ შორის. ერთი ჯერს ამზადებდა, მეორე თხა-მცხვარს სწველიდა, მესამე აცხობდა მუდამ დღე თითქმის ორ-ორ თონე ჰურსა და სხვ. და სხვ. კაცების საქმეც ასე იყო. — პატარა ბიჭებისაც ხომ უფრო.

ზოგი ცოკანსა მწყემსიდა, ზოგი თხა-მცხვარსა და ზოგი საქონელში იყო.

ერთი სეირი იყო ხოლმე ამათი ერთათ თავის-ძოყრას და ჰურის საჭმელად დასხდომა. დიდი ყრიაძული და ფუსფუსი უნდა ატენილიყო ხოლმე. მაგრამ სეირი მასინ იყო, რომელსაც გოგიტა-შვილებს მუშა ჰყავდათ. მთელი ხეობა უნდა ყოფილიყო ხოლმე იმათ მუშაში.

რათ, რა ამბავიათ, გაჭკვირდება მკითხველი, ჩვენც ქვე-

ყანაში კსტხორობთ, სოფელში ვრტიალებთ და მაგისტანს ანა გვინახავს რა, თუ არ მებატონის რჯახშია. გლეხი-კაცი და მაგკარი თახუთი რამ არ შეიძლება. ანა, საყვარელი მკითხველი, ამ რჯახის თავში მესკუურად მართლად ბატონი იდგა. მაგრამ რეგორი ბატონი. ბატონი ჭკუისა, გამოცდილებისა, მხნეობისა და მედგარის მებრძოლისა ანამც თუ თავის რჯახის უფლებათა და კეთილ-დღეობისათვის, ანამც თუ სახლის კაცებისათვის, ანამედ ყველგან, სადაც კი ამ ბატონს ხელი მიუწვდებოდა. ეს იყო უნცროსი ძმა სოლომონისა და იაკობისა ანუ კაკოსი—მღვდელი გოგია, თავის მამის მოსახელი. ეს ამდგება სოლომონის რჯახს მხარსა, ძალასა და შეძლების საღსარს. ეს მღვდელი იყო მათი სიმტკიცე და ამის შემწეობითა ჭქონდა სამს განუყოფელის ძმის რჯახს ზურგი მაგარი.

II

ზურუსი და ნისლი ზამთრის დილისა ცოტათი გადაყრილიყო, რაცა ჩვენი ახალ-გაზდა მგზავრები თრონის ჭალებს გასცდენ და შეუდგნენ ხეობის მუროვ მხარესე ამართულის მთის ძირიბასა, კაკასიონის ქედდამ გადმოშოტილისას. მზე რასაკვირველია ამოსული იქნებოდა, მაგრამ რეგორც სოფლის პატარძალი მანდილში, ისე ჭმალავდა თავის სახეს ღრუბლებში, რომელებიც რეგორცაღ თითქო ირეოდენ. თუმცა კი ამ დილას ქარი არ საით იძვროდა და საზოგადოდ მშვიდი დილა იყო. ჩვენ მგზავრებს თხილამურები ეკიდათ ზურგზე და ხოხებ წელზე შემოტყუმილნი მხიარულებით მიიხაროდნენ ცხინკალის ხეობისკენ, სადაც იმათ იმედი ჭქონდათ, რომ ქორწილი გაჩაღე-

ბული დახვდებოდათ და ცხინკულურის ნიადაგის ნუნუით მსურებთან შეჯიბრებით კარგად დააბებოდნენ.

— ზუნა, ჭა ბიჭო, როგორა სარ შენა კაი ცხრა ჯამზე; — ეძასხებოდა გზა-გზა სანდრო ზუნასა. და თან დილის სუსხისა და სიტვივისაგან ჯერ ისეკ ნათბილარკვი ტანი ეჯინტვლებოდა, ისე რომ რაც შეეძლო ნაბიჯს უმატებდა, იქნებ პატარა გაკხურდო.

— შენ კი, მე კიცი, დაიწუნებ. ი ჯიხვს რომ მოგცემენ ხელში და მერიქიფი თავს დაგადგება რუსის სალდასტივითა: «დალიე, შვილო, ქორწილია, ის ხუ არ არიო, ჩვენსა ვართ, თქვენსა ხუ არაო». ჭოლი ი რჯულ-ძაღვები, ისინი, ჭა ბიჭო. გააქნია თავი ზუნამა და ნიშნად გამყოფილებისა მოიწმინდა ტუჩებზე ხიჩკლი მარჯვენა ხელის სახელთ ისე, თითქო მართლა ჯიხვი დააძაღესო და ულკაშები მოიწმინდაო.

— ახლა ი დორი ხორც რომ მოიტანენ და დაგვიდგამენ წინა: კბიე და კბიე, ბიჭო, და ჩაიხვიე საქორწილო ლავაშები.

— ბიჭო, მა ლაპარაკში მე მართლა პური მომშივდა კიდეცა და. არა, რა ჩვენი დიდ-გაცობა იყო, რომ თითო ლუკმით და თითო ტაქანი არაყით დაკნაყრდით და ერთი დღი სავალზე კი წამოკუდით.

— კაცო, რას ამბობ, რა დრო პურია, ეხლა არ გამოკუდით სოფლიდამი.

— რა კიცი, მე კი ძალიანა მშიან და შენი კი არ კიცი.

ამ ლაპარაკში მთის წვერზედ ასულიყვნენ ჩვენი მგზავრები და იქილამ უნდა დაშვებულყვნენ ერთ პატარა ხეობაში, რომლის ძირშია ცხამოდის მუცრე ფრინე და რომელსაც ავნივის ფრინეს ეძახიან.

— გშინ და ზგერ ზენევიცა — უთხრა ზუნამ სანდროსს.

— გაუკეთეთ ე თხილამურები, დაკეშვით ამ თავ-დაღმართ-
ზედს და სულ სლიკინ-სლიკინი ჩავიტანეთ.

— არა, მანც რა იყო, რომ თითო ჰური გაგვესვია ჩო-
ხაში და წამოგვეღო. ახლა, რა ვიცი, როგორ იყოს და ჰურ
ჩო არ ვითხოვ უცხო სოფელშია.

— რატომ არ ვითხოვ, რა ვქნა, თუ ვი მშინ რა. შიმში-
ლი რა სირცხვილია, მერე.

ზუნა და სანდრო მართლა მალე ჩასრიალდნენ სოფ.
ზენეში. შეუნიშვნელად კარგა მანძილი გამოიარეს, თითქ-
მის ნახევარზედ მეტი, რაც გასაკლელი ჭქონდათ და კარგად
მოშუადღევდა კიდევ. მზეც აქა-იქ გამოაჭყეტდა ხოლმე თვა-
ლსა და ქარმაც სისინი დაიწყო, ღრუბლები აქეთ-იქით მიაწყ-
ვიტ-მოაწყვიტა, აურის ერთმანეთში და მერე უცბად ქარიც ჩა-
კარდა, ღრუბლებიც ტყვიასავით გადაეკრა ცაჲსა და თითქო და-
ბნელდაო. ირგვლივ სულ დამშვიდდა არე-მარე.

— ბიჭო, ე როგორღაც ცუდი ამინდი გვიდგება. თოვლს
ვი არ დაიწყო. — სთქვა სანდრომ და მოიფიქრა, რომ კარ-
გი იქნებოდა ჰაერის ხანს სოფელში შესუფიყვნენ, შეესვენათ,
პატარა ჰური შეეჭამათ ვისთანმე და მერე, თუ ცუდი დარი არ
დაუდგებოდაო, გაეგრძელებინათ გზა, რომ ბარემ ადრინად მი-
სუფიყვნენ. ამას ჭფიქრობდა, მაგრამ თან თქმა ვი არ უნდო-
და ამისა. შიმშილმა შეაწყეს და რომ გაემხილებინა, ჰურის
თხონა თავათ მოუნდებოდა. იმას უნდოდა რომ ზუნას ეთქვა
ესევე, ეთხონა ჰური, დანაყრებუფიყვნენ და მერე ისე გასდ-
გომოდნენ გზას.

— დაიწყებს და დაიწყო, მაგი რჯულისც დაიქვა. ე პატარა

მთა არა გვაქვს კიდე გადასაკლელი; მეტი ხომ არაფერია, რას დაგვაკლებს.

— ე პური რომ მოგვჭიკდა! კელარ მოითმინა სანდრომ.

— გაცო, რა დაგემართა. შუა დღემდე გადავალთ იქა, დაუსხდეთ და სუ ქუდი ჭერსა ვერათ. თუ არა და მიდი ე მანდ მეგომურთანა და ერთი პური თხრუე. მე არ მინდა და შენ კი გაელოფა—დაუმატა ზუნამა.

— მაინც არ მივალ და არ ვითხრუე უცხო სოფელში პურსა, რომ ვიცოდე შიმშილით მოკვდებოდე, რას ამბობ, კაი დედი ჩემი ღმერთსა!

— არ მიხვალ და მას გავწიოთ და გაშლილი სუფრაც შენ გიხაროდეს, ისე გახდები იქამდინა, როგორც მშიერი მკელი, დაჯექ და კარხალალო იძახე.

— მას პატარა ფეხს აუჩქაროთ, დაღონებითა სთქვა სანდრომა და გასწია ჩქარის ნაბიჯით.

ჟერ ნახევარი გზა არ გაეკლოთ, რომ სანდრო ისევ ატყდა, პური მშიანო და დაუწყო ხვეწნა თავის ამხანაგს, სოფელში დავბრუნდეთ, შენი ჭირიძე, თორემ ამა-ზედ მეტი აღარ შემიძლიანო. მაგრამ ახლა ზუნაც გაჭირვებულა.

— გაცო, აგერა აღმართში აკულით კიდევ და დ—ისას გადახედავთ.—ეუბნებოდა ისა.

ამ დროს ნელა-ნელა წამოვიდა თოვლი და ისევ გათეთრებული მიდამო სულ ერთიან გაათეთრა. თან-და-თან თოვლმა მოუხშირა, წერილი ნათურთლები უფრო და-უფრო გამსხვილდა და სულ ჭარბნიდა ყველაფერს. ჩვენის მგზავრების ქულებზე და მხრებზე. გარშემოკეცილს ჩოხებზე სქლად დადო თოვლი. გზა ძნელი საკალი გახდა. გაცი შიგ იფლებოდა ახლად მოსულს თოვლში, რომელიც მკელად დადებულს ზედ დაემატა

და თითქმის ადღ ნახევარზედ იყო ასული დედა-მიწიდგან. ხშირი ნათურთლები და ხარღანები, რომელნიც არეკით წამოვიდა, თან-და-თან თვალთ-უბნელებდა თითქმის მგზავრებს. ბიჭები ახლას კი ცოტა შედრკნენ და შიში მიუცათ გულში. ერთის საათის საკალს სამი და ოთხი საათი მოუნდნენ. საშინლად დაილაღნენ ადმარტზედ ასულით. მეტადრე სანდროს ქანცი გამოუღია ცალკე შიმშილით, ცალკე დალაღულობით. ბუნებაძაც, თითქო ამათზედ მოიცალათ, წამოუშინა და წამოუშინათოკლი. პატარა დაკაცადოთ ნამქერიც მოჭყვა. მოდის შხუილით და განუწყვეტლად თოკლი, ქარისაგან წერილ თურთლებად ქცეული, აყრის თავ-პირში. მოჭკლეჟს გოჩიანტელი დედა-მიწი-დამ მთლად თოკლის ზეინს, თითქო ალალი დააცხრა ჩიტსა და აიტაცათ, ისე იტაცებს ქარიცა და ჭფანტავს აქეთ-იქით. ხანი და ყამიც გადის, თითქმის საღამო ახლოვდება, დღის სინათლე კლებულობს. დადმარტი ვიდევ, რომორც იყო, ჩაიარეს ჩვენმა მგზავრებმა, მაგრამ შერე მინდორად გაუჭირდათ საქმე. მთაში ტყე იყო აქეთ-იქით და გზა მანც ცხადათ სჩანდა. აქ გზა სულ არსად-ღა იყო. სულ ერთიანად თეთრად იყო გასიზული მინდორი და თუ ჩანდა რამე, თეთრად გადაბურული-ღა ჩანდა, თითქო ჩადრი გადუთარების დედა-მიწისათ. დაკვარგათ გზა. მიდიან, რაც შეუძლიანთ მიიწევენ წინ, მაგრამ სასიარულით თითქო დასასრული არ ეძლევათ. სანდროს შიმშილი სულ დააკვირდა. შიმშილის ადგილი ახლას შიშმა დაიჭირა. სუყუელამ კი ერთად, შიმშილმაც, დალაღულობამაც და შიშმაც სანდრო ისე დაასუსტა, რომ თითქმის მუხლებიდან მოჭკვეათ. იმათ ბედობაზე, არსადამ არც ძაღლის ყუთა ისმის, არც ქრისტოიანის ადამიანის ხმაურობა; მარტო ქარი ქშუის, ნამქერის შხუილი ისმის და ყველა ამას დაეჩოვის გულ-საკ-

ჯაკი წუწინი. სანდრომ კვლავ შეიმარჯვა თავი. ზუნას კი არა უძახს რა. რაც შეუძლიან მაგრობს და ამხნეებს ამხანაგს. აგერ საღამოს უამბაც დაჭკრა. საცაა ხშირი ბინდი დასცემს და გამუდმებული დუმილი მოიტაცავს არე-მარეს. სანდროს გულში ჯოჯოხეთი ტრიალებს, თავი თითქმის ზედ აღარ აბიათ, გონება წაერთვას, მოსაზრების ძალა სულ დაეკარგას. თითქმის კვლავით სჩვეურობენო, ისე ეწვის გული და მუცელი.

— არიქა, სანდრო, ცოტა კიდევ და ეს ეს არის მივალთ სოფელში. აგერ ეს რაღაც მე დანიშნული მაქვს და ამას იქით აღარათყერი მანძილია სოფ. ნ—მდე.

მაგრამ უოკულივკე გამხნეებს ამარ-ღა იყო. ზუნას თუმიცა ამხნეებდა თავის ამხანაგს, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ თავათაც წელში გაწეუპტილას და უოკულივკე ილაჯი წართბევია. ხმა იმისი თრთოლავდა და განკალებდა. იმისი გული საშინელს ტვივილსა გრძნობდა. საწყალი ზუნას ყველა ამ უბედურებას თავის თავს აბრალებდა. «სანდროს რომ აუტყდეს რამ,— ამბობდა გულში—მე უნდა გავცე ჰასუსი ზეკით ღმერთსა და ქვევით სოლომანსა. ღმერთო, გადამიჩინე სანდრო, შენი სახელის ჭირიძე, ღმერთო, მიშველე, შენ ხატ კენაცვალე.» შესთხოვდა ზუნას ღმერთს და თან მძაფრი სიტყვე ზამთრის საღამოსი უკვლიდა ძვალსა და რბილში, მწუნარებასთან ერთად უწიწინიდა შიგნეულსა, გულსა და მუცელს და უბნებდა თავს.

თანაც დაბნელებდა თითქმის. სანდრო სულ დაიღვინა. სიტყვებს აღარა ჭკრძნობდა, ისე გაიყინა თითქმის ზეზეულად და გაიგონა თუ არა ზუნას თქმა ვითომ მის გასამხნეებლად, შენიშნა ათრთოლებული და აკანკალებული კილო, უცებ თავ-

ზარი დაეცა, მუხლთ მოკვეთა, სასოება უკუკლივე მიესადა, რაკი ზუნასაც შიში შეატყო და უგრძობლად დაეცა თოვლზე.

— მიშველე ზუნა, მოგკვდი. დედა-ჩემსა და სოფლმანს შეატყობინე. ძლივს წამოიღოულულა სანდრომ.

ზუნას მდგომარეობა შესაბრალოდისი შეიქნა. იმის სახე უზომელს ტანჯვას, ზღვა-მწუნარებას გამოსთქვამდა იმ დროს. ჯერ სულ დაეხნა გონება, მაგრამ მერე ისე აზრზე მოვიდა. აიღო სანდროს ჯოხი და დაარჭო თოვლში სანდროსაკე ახლო, თხილამურები წაძრო თითქმის გაყინულ ფეხთგან და იქვე ოლეს ახლო ჩამოჭვიდა ერთს საკმრისად ძალა ბუჩქზედ.

— ნუ გეშინიან, სანდრო, ჩასძახა ზუნამ თოვლში გაყინულს ამხანაგს— ეხლა სოფელში ჩავალ, მოგიტან პურსა და განთიადისას ერთად წავიდეთ. ბიჭებსაც წამოვიყვან. ზუნამ მოისაზრა ოლე, სანდროს მდებარეობა და გასწია იქით, საითაც ეგულებოდა სოფელი.

III

სულ არ გაუკლია რამდენსამე წამს, რომ სანდროს მიემინა იმ უაღაგო ალაგას. თოვლი აყრიდა ზედ, რაც შეეძლო, ისე რომ ერთი საათის განმამაკლობაში სულ დაჭუარა თოვლმა სანდროც, იმის გვერდზედ დარჭობილი ჯოხიცა და იქვე ცოტა მოშორებით ბუჩქზედ ჩამოვიდებულ თხილამურებიც. ზუნამ იარა პატარა კიდე, მაგრამ ჭკრძობდა რომ ის გზასკი არ მისდევს, სადღაც ღრესა და თოვლის ფლატეებში მუხლამდე ითვლება. ახლა იმასაც საჭმე მეტის-მეტად გაუჭირდა. ის-

ცოკემ, შიმშილმა და სანდროს გამო მწუხარებამ იმასაც ძალა უყ
 — რა კქნა, უნდა თავი მოვიკლა და სოფელში მივი
 სადმე, რომ შეკატუობინო ჩემი გაჭირვება უკელას. — თუქრობ.
 გამწარებულნი ვუნა. — სანდრო ხომ მკვდარია და მკვდარი, ის
 იქ ამალამდეღა ღამეს ცოცხალი კელარ გაათქვს: ან შიმშილი
 მოჭკლავს, ან სიცოკე, ან თოვლი დაახრჩობს და ისე წააქვას
 რომ კვდარსაც კელარ კიპოვი.

თან ამას ჭეჭეჭეჭობდა და თან ხან სად ჩაიხეხებოდა, ხან
 სად, და მუხლამდე, უელამდე თოვლში ითვლებოდა და ასე
 არღვევდა უგზო-უკვლად ბილივს. დიდი ვახშობა შეიქნა, რომ
 ასე ებრძოდა ვუნა უმადურ ბუნების შეუპოვრების და ბოლოს თა-
 ვათაც მიუწყდა ქანცი. გადასწყვიტა, აღარ წავალ სოფელშიო.
 საწყალი ვუნა! რა იცოდა ვუნამ რომ იქვე ახლოს, სულ სა-
 მი გუთნის გაშლავზე სოფ. ნ — ში იყო.

— დაკრები აქ განთიადამდის, გაიკლო გულში ვუნამ,
 კიპოვნი მერე სანდროს და ისე წავალთ ერთად. შეკატუობინებ
 ხალხს და მკვდარს მაინც წავიღებ.

დარჩენა კი გადასწყვიტა, მაგრამ გაჩერება კი არ შეეძლო
 ერთ ალაგას სიცოვისაგამო; დაჯდომა უფრო ძნელი იყო: ან
 გაიყინებოდა, ან თოვლს მოჭყებოდა ქვეშ, ვერ ამოატანდა
 მერე და ამოიხრჩობოდა შიგ...
 ვუნამ დაარტყო ჯოხი და დაუწყო გარეშემო ტრიალი.

თოვლი არ ჩერდებოდა, სიცოკე, რაც ხანი გადიოდა, უფრო
 და-უფრო უჭერდა და უფრო არ იტეხდა. ვუნა ტრიალებს ამ
 ჯოხის გარეშემო და თან განკალებს, გულ-ხელ-დაკრეფილი,
 ამაგ-მაგებულნი სულ კბილს-კბილზედ აცემინებს. გულზედ და-
 კრეფილს ხელებს წამ-და-უწეშ აფათურებს ხან: შუბლზედ დაი-
 ღებს, ხან გულზედ და ჭეჭონია რომ პირჯვარს ვიწერო.

«აღმერთო, შენიჭირომე, ღმერთო შენ გადამაჩინე — ხმა-
 რაგაღა, ავი ციებით შეპყრობილ გაცსავით, ძაგა-ძუგით შეჭლალა-
 ას ღმერთს, ეხვეწება ანგელოზებს და ტრიალებს, ტრია-
 ლებს რაც შეუძლიან ამ დაწყველილ წრეში, არ აძლევს თავს
 ილს, არ უნდა დაისვენოს, არ უნდა დაჟდეს, არ ჭხუჭავს
 უკვალებს.

თოვლი შეწუდა, მაგრამ ნამქერი, გოჩიანტელი თავისას
 არ იშლიდა. ქარი დაჭქროდა, წიოდა და კიოდა, თით-
 ლე კუდიანებს ფერხული დაუბამთო და სწულავდა ზუნას
 იუღს.

აი ეჩვენება რომ მოუახლოვდნენ მავნე სულები, თითქო
 ბებრებსა ჭგვანანო, ზოგს გძელი კუდი აქვს და სახე კი ადა-
 მინისა: დაღრეჯილი, დაღმენჭილი, ზოგს გძელი თმა აქვს,
 ზოგი ტარტაროზსა ჭგავს. აი სწვდნენ ჩოხაში, ქეჩოში, კი-
 დეტ წაუჭირეს უელში. მაგრამ ზუნამ აუჩქარა ტრიალს მო-
 ხიბლულის ჯოხის გარშემო, დაახრანტალა და ეშმაკები გაი-
 ფანტნენ.

— დახე, დახე, ი სალავათ ძაღლები, იოსე ქრისტე შენ
 მიშეუღე, შენი მუხლების ჭირომე. — ძილმა წამძლია თუ არა,
 მამინათვე ეშმაკები მომცვიოდნენ, უელში წამიჭირეს.

საწულა ზუნას კი ძილი ძალიან მოეკრია, ტრიალს უკლო
 და სიცივემ მოუჭირა ასე ძრეულა რომ უელში კინალამ ნერწყვი
 გაეყინა, ტკივილი იგრძნო და იმას ეგონა, რომ ეშმაკები ძა-
 ღრჩობენო.

ამ გვარად გაატარა ზუნამ ღამე. ფეხი არ ჩაუფერხნია,
 ძილი არ მიჭკარების და ბოლოს ბუნებამაც შეიბრა-
 ლა. ტრედის ფრად გათენებულყო, ცოტათი გამოჩნდა
 თეთრად გადაფერილი მინდორი, რომლის იქით სულ

ახლოსაკე გამოჩნდა დათოვლილი კაკლის ხეები, რაღაც თოვლის ზვინები. ზუნამ მაშინვე გასწია განკალით და ცახცახით. მუხლები ასე მიჭქონდა, თითქო თიხისა აქვსო, ან მინისაო. საღსრებში აღარ ეკეტებოდა. ჰატარა მანძილი გაიარა და მანძის ყივილი, ნიშნად განთიადისა, შემოესმა, ძაღლმაც დაიუუა. ზუნა თითქო ეხლა დაიბადაო. ლოცავდა მამას, «შენი ჭირიმესა უთვლიდა ძაღლს—იმედი მოეცა. ახლა კი სოფელს მივსვამო, ქრისტიანს აღამიანს დაკინახამო. აუჩქარა ფეხიც და შევიდა სოფლის კენახებში, რომლებშიც დიდი ზვინები იწვა თოვლისა. მარცხნივ ზუნამ დაინახა დიდი გორა მთისა, რომელიც დათოვლილ საბძელსა ჰგავდა, მარჯვნივ ორ თოვლის კედელშიცა გაჭრილი გზა იყო, რომელიც ისე ვიწრო იყო, რომ ერთი კაცი ძლივს გაეტეოდა. თვალთ სხვა აჩაფერი ჩანდა აქ. ზუნამ მოისაზრა, რომ აქ უთუოდ სახლიაო და ეს ვიწრო გასავალი სახლში შესავალი კარიაო. დაღუნა თავი და ამ სისხამ დილით, როცა სოფელი ისევ ძილში იყო თითქმის, შევარდა პირველსაკე მეგობურის სახლში და თან ძაგძაგებდა, კბილს კბილზედ აცემინებდა, ხელები მუშტი-მუშტში ჩადებულნი რკალად დამგვრალბულნი ცხვირთან მიეტანა. მივარდა შუა-აღაგას კერასთან, გაქექა ცუცხლა პირი და კინაღამ შიგ ნაცარში ჩაჯდა.

გულ-გახეთქილი გლეხი წამოვარდა ლოგინიღამ. გლეხს შეეშინდა და პირჯვრის წერა დაიწყო.

— ღმერთო, შენ დამიფარე, ღმერთო შენ დამიხსენ. ლულ-ლულულებდა გაცუებულნი გლეხი და ენა რიგიანად ვერ ამოედგა, რომ ეკითხნა რამე.

— კინა ხარ, ქრისტიანი ხარ თუ ავი სული. მოიკრიფა ძლივს გონება გლეხმა და როცა ზუნას ჰასუხი მიიღო, და-

რწმუნდა რომ ქრისტიანი ადამიანია და დაუწყო ცალშვილს დამშვიდება. იმათ ისეთი ალბათობა და ყვირლ-ხივილი შეუდგათ ამ დროს, რომ გეგონებოდათ მეორეთ მოსკლასა.

— კაცო, ამ დროს, ამ უდიერ დროს, ამ სისხამ დილაზე, ეკითხებოდა გლეხი ზუნას, რომელიც ისევ ისე განკალბდა. მთელს მის აჩსებას თათქანი გაჭჭონდა სიტყვით, ღამე-ნატეხობით და მწკაკე ფიჭრებისა და სანდროს ვარამით.

— საიდანა და როგორა, არ ეშვებოდა გლეხი—ეგრე თავგამეტება.

— მიეშველეთ... კაცი დაიტანა... ნამჭერმა წახვია... მღვდელსთანა, თხილამურები ჭვიდია... ჭო... ჭო... დრო... დრო... გამათბეთ... მიშველეთ, თქვენ-თქვენი ღმერთი... — ძლივსაღ იგნებდა ენას ზუნა, რომლის სახეც სრულებით შეშლილიყო ამ ერთის ღამის მწუხარებით.

— ვაი დედი-ჩემის ღმერთსა! შემოჭერა ტაში-ტაშს გლეხმა და ეტყობოდა რომ ძალიან შესწუხდა—კაცი დაიტანაო, ნამჭერს წახვკვია ქრისტიანი კაცი — გაშტურებით და გონება დაბნევით იძახდა გლეხი.

— მშიერი, მთელი დღე-და-ღამის მშიერი... მიეპატრონეთ.

— არიჭა, სოფელი, მამასახლისი!

გლეხმა საჩქაროდ გადიტვა ჩოხა-ახალური და გამოკრდა მამასახლისისთვის შესატყობლად.

პატარა ხანს უკან მთელი სოფელი ფეხზედ იდგა: უმღამი, დიდმაც და პატარამაც შეიტყო ეს ამბავი და კინიტის, რამდენი რამ ჭოროვანობა არ გამოიწვია სოფლის დედა-კაცებში.

— ეგა, ქალა, ავი თვალის დაგრული ყოფილათ და ბედის საწერელი ეგა ყოფილათ მაგისიო— ამბობდა ერთი.

— არ მომიკვდეს შვილები— დაბეჯითებით არწმუნებდა მეორე თავის მეზობლებს— არა, ჩემის ქმარ შვილის გაძლიერებამა. — რა პასუხია, ქა. ოლეთან რა გადმოსულან ი წვრილმალას გვერდით რა ხევიან, იქ თურძე ეშმაკები იგრიფებიან მუდამ, ფათას ინარშაკენ დიდ საარაყე ქვებში და ღვინობენ. ეს ეშმაკები ამოსულან თურძე და იმათ ჩაუფლანოთ თოვლში.

— კაი ასაღვანდა თუ ყოფილათ და შეშურებიათ იმ წყეულებს. ხო შურთ იმათ კაცის სიკეთე. აი დასწეკვლათ ღმერთმა. და სხვ. და სხვ.

IV

მზე კარგად იყო ამოსული, თითქმის რა შუბის ტარზე, თუძე კი არა ჩანდა, რაცა რცამდე სულ რჩეული ბიჭები გამოვიდნენ სოფლიდამ კეტებით და ნიჩბებით ნამჭერისაგან დატანილის სანდროს საძებნელად. დილა იყო მეტის-მეტი ცივი და სუსხიანი, მაგრამ ბიჭებმა გადაწყვიტეს, რომ სოფლის ნამუსი მტკიცედ დაიცვან და ცოცხალი, თუ მკვდარი მათ სოფელს ახლო თოვლში დამარხული კაცი იპოვონ და პატრონს ჩააბარონ. სულ არ გაუგლის ნახევარსა და ერთს საათს, რომ რცი ხელ-ღონიერი ბიჭი, ზოგი ბარით, ზოგი ნიჩბით შეუდგა გაცხარებულს მუშაობას. მაგრამ თქვენი მტერი იყოს, რომ იმათ სანახავი ნახეს: გუშინდელს თოვლს სულ ერთიანად დაემალა ის ნიშნები, რომელნიც გუნებაში ჩაიტანა ზუნამ სანდროს მღებარეობის მოსააზრებლად და უამბა წასულებს.

თავათ კი წალა შექმლო. დამონებული და დაოსებული იდო-
ლოგინში და ზოგი წით და ზოგი წით სტდილობდა იმის
დამწრალის ტანის აწსებაში მოყვანას. თვით გონებაც კერა
ჭქონდა დალაგებული ზუნას. მეტის-მეტმა გამოკლილმა მღელ-
ვარებაში გამოიწვია მძლავრი ტიება და გაუჟდა მას ბუნებით
მაგარ ჯანში. სიტხისაგან ბოდავდა და ათასი რამ ელანდობო-
და. ხან ეშმაკებს ახსენებდა, ხან სოლომანს და ხან ნეჟე-დე-
დოფალს.

ჩვენი თავ-გამოდებული ბიჭები მაინცა და მაინც გაცხა-
რებული მუშაობდნენ. ოლე კერ დაეფარა სულ თოკლსა და ზე-
მო მისი ნაწილი თეთრი ბუჩქივით კიდე ჩანდა. სხვა კი ველა-
რს დაინახეს-რა: არცა რა ბუჩქი ჩანდა სადმე, არცა რა თხი-
ლამურები, რომელნიც ვითომ ამ ბუჩქსედა იყო ჩამოკიდული,
არცა რა სადმე ჯოხი ნახეს დაწვობილი. მაინც საზრით, რაც
შექმლოთ, სთხრიდნენ თოკლს, ებრძოდნენ ამ ადლ-ნახეკარსედა
დადებულს ზვინებს. ზოგი კეტებს არწობენ სხვა-და-სხვა ალა-
გას, ოლეს ახლო, იქნება ცოცხალისა და ან შეინძრეს, ან
რბილად მომხვდეს კეტსო, ან იქნებ კეტი უფრო წავიდეს
ღრმად იქ, საცა ბიჭი დაუტანიაო, რადგან იმ ალაგას თოკლი
მჭიდროდ კერ დასდებდა, არამედ ჰატარა რამ ცარიელი ადგი-
ლები დაჩიებოდაო. ზოგი ნიხბით ჭხკეტდა თოკლს. ვინც მეკე-
ტეთაგანი დაიძახებდა, არიქათ ნიხბეო, აქ მოდით, თითქო
წალასაც მოედო აქ კეტიო, მენიხბეებიც მაშინვე იქ დაიბადე-
ბოდნენ. უბედურის მოძმეს სიყვარულით გამსჭვალული გულ-
კეთილი გლეხები გაცხარებულნი და გაჯიბრებულნი მუშაობ-
დნენ. შუა-დღე დიდი ხანია გადასულიყო, საღამო უამი მოახ-
ლოვდა და სიტყუემაც მოუმატა. დალალოლ-დაწყუკტილმა სოფ-

ლელებმა გადასწკვიტეს დაბრუნებულნი უნდოთ სულ-ცარიელი, რადგან უკველი მათი ცდა ფუჭი და ამაღ იყო.

— წავიდეთ, ხალხო, სახლში, საცა არა სჯობს, გაცლას სჯობსო, — სთქვა ერთმა გლეხთაგანმა, რომცა დალაღული მე-ნიხბენი და მეკეტენი შედგენენ შესასვენებლად, დაეჭინენ თავიანთ ნიხბებსა და კეტებს და თავ-დაღუნული ფიქრს მიეცნენ.

— ჩვენ ჩვენი ვეცადეთ — ღმერთი ხომ მოწამეს და, თუ ღმერთს არ უნდა, კაცით რა იქნება — დაუმატა მეორემ.

— კაცო, რას ამბობ, ჩვენი ცოცხალი თავით შინ უნდა დაბრუნდეთ სულ-ცარიელები და თოვლში ქრისტიანი ადანიანი-შვილი დამარხული გაუშვას. მერე სოფელი რას იტყვის, ცხარობდა ერთი ახალ-გაზდათაგანი — არ იქნება, არა. ან აქვე გაეწუდეთ ჩვენცა, ან და ვიპოვოთ კაცი.

— მოვალეობას — სხვა არა იყოს რა. წაეჭომაცა ამას მეორე ახალ-გაზდა.

ხალხი ორ ნაწილად გაიყო. ერთნი ამბობდნენ, რომ წავიდეთ, ჩვენი დარჩენა ტყუილი-და იქნებაო, ხოლო მეორენი, უფრო ახალ-გაზდანი, თავს იღებდნენ და ამბობდნენ რომ — ჩვენც აქვე რომ გადაგვსილოს თოვლმა ამდამ, მაინც არ დაბრუნდებით ცარიელ-ცარიელებიო.

მართლაც ათიოდე კაცი დაბრუნდა სოფელში, ხოლო დანარჩენი კვლავ შეუდგნენ მუშაობას.

სიტყვებ თან-და-თან უფრო მოუმატა. მზეს სულ სითბო აკლდა იმ დღეს, და ახლა ხომ უფრო, რაკი დასაღამოდა, უარესად დაეკარგა ძალა. ქარი თუმატა ძრეული არ იყო, მაგრამ ცივი ვი ისე ძრეულ იყო, რომ ძვალსა და რბილში გარბოდა. მზე შორს, სადღაც ქვეით მთებისკენ ოდნავლა მოჩანდა, წითლის-ფერად იყო შეღებილი და ღრუბლებში ძლივსლა ჩანდა,

თითქმე იმასაც სცოვას და განგებ შაკ ღრუბლებში იმიტომ
 ესკეპოს. ჯერ ბლუჯა-ბლუჯა თოვლი მოჭქონდა ქარს და აყრი-
 და თავ-მოძწონე სოფლის ბიჭებს შიგ თავ-პირში, მერე, რა-
 ცა სიცივისა გამო თოვლი ისე გაიყინა, რომ ქარმა კუღარ მო-
 გლიჯა ბლუჯა-ბლუჯა, მასშინ თითო-თითო წვრილ-ჭვიშის მა-
 გარ ხვიშირს მოაქანებდა და რაგორც საფანტი, ისე სუს-
 ხავდა სხეულს, საცა კი მოხვდებოდა. ასე გასინჯეთ, ფხაჭ-
 ნიდა კიდევ გაცის პირის სახეს და ასისხლიანებდა თავ-პირს.
 მაგრამ ყოველი ეს გაჭირვება მუშა ბიჭებისთვის ტყუილი მუ-
 ქარა იყო.

— სინამ არ დაბნულდეს, მინამ აქედამ ფებს ნუ მოვიტყულით
 — ანგრევდა თოვლის ზვინებს ერთი ბარითა და თან წასუ-
 ლებზე გაჯაკრებით ამბობდა:

— იმათ რა, შეილა, ბოსელი და ბოსლის რდა თავი
 მკვდრის სულს უჩხუნიანთ.

— არიქათ, ბიჭებო, გენაცვალეთ, პატარა კიდევ გაიჭირ-
 ვათ, იქნება ღმერთმა მოგვხედოს და კვალს მანაც მივიტა-
 ნათ და ამბავი შევიტყუათ.

ამის შემდეგ ბიჭებმა გაცხარებით დაიწყეს მუშაობა და
 რა კიდევ ვერას გახდენ, დააპირეს დაბრუნება სოფელში. მაგ-
 რამ ამ დროს დაიძახა ერთმა, რამელსაც გრძელი ფიჭვის
 სარი ეჭირა და ხან აქ ჩაუშვებდა თოვლის გორაში და ხან იქ,
 რომ იქნებ რაგორმე კვალს მივაგნოვო.

— მიშველეთ ხალხო, დაიძახა იმან. რაღაც ფულურო გა-
 მოჩნდა აგერ აქ და რაღაც ჯოხსაც მოედო ჩემი სარი.

ბიჭები უმაღ მიტვიკდნენ ამ ადგილს, გადაშალეს თოვლი
 სიფრთხილით და მარტლას ნახეს დარჭობილი ჯოხი, რომ-
 ლის ამოსწვრივ თითქმის თოვლის ზედა-პირამდე ფულურო

იყო დაჩხენილი სტვირივითა. ცოტა მუშაობა კიდევ და აგერ თხილამურებიც გამოჩნდნენ. ბიჭების სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა. თითქმის ორი ადამის სიღრმეზედ ბიჭებს დასვდათ ჯოხის ძირში მოკუნტული სანდრო. სანდროს გონება არ დაჰკარგოდა, მართალია, მაგრამ სიცოცხლის ნიშნები ძლივსღა ეტყობოდა. კრიჭა ძაღვზედ შეკრული ჰქონდა, საღსრები აღარ მოძრაობდნენ და გაშეშებულივით იდო უძრავათ ერთ ალაგას. ბიჭები ფრთხილად და სიყვარულით უკლიდნენ გარშემო სანდროს და მეტის სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

— ცოცხალია, ცოცხალია, არა უშავს რა. ღმერთო, შენ გვიშველე.

— ი დალოცვილ ღმერთს რთგორ შეუბრალებია. იძახოდნენ ბიჭები.

— კაცო, მოიტათ ე გუდა, რა ღმერთი გაგიწერათ, იქნებ ან დაკალოვინოთ, ან შევაჭამოთ რამე, დაივირს ერთმა, უფრო გამოცდილმა, რომელიც ცდილობდა ან დაესვა რთგორმე გაყინული სანდრო, ან ფეხზე წამოეყენებინა.

გუდა საჩქაროზედ მოუტანეს ამ გამოცდილს, რომელშიაც ჩამდენიმე-პური იდო, ერთი ნისკარტიანი ჩარქა ღვინო და ინგლისის ჭურჭლით არაყი, თავ-დაცული ნაჭურითა და ჩაღის ფუჩებით.

გამოცდილმა მოტებსა პატარა ნამცეცხი პური და ცდილობდა პირში ჩაედო, მაგრამ სანდროს კრიჭა ისე ჰქონდა შეკრული, რომ ეს ცდა ტყუილი გამოდგა. რთგორც იყო ჯერ კრიჭა გაუხსნეს და ჩამდენიმე წვეთი ღვინო ჩააწვეთეს პირში, ხელები და ფეხები თოვლით დაუხილეს და მერე თითო-თითო ნამცეცხი პური ჩაუდეს. სანდრომ რთგორც იყო

გადაჭყლასა რჩილდე ნამცეცი ზური და ცოტა ძალა მოეცა. ცდილობდა თან ხელი ან თუბი გაექნია, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბიჭებმა ბეჭი აღარ იცადეს, რამა მათგანმა ჩაჭკიდა ხელი ხელს, სხვებმა შეუსვეს ზედ დამძრალი სანდრო და გამოეცხიეს სოფლისაკენ. გზაზე რაღაც ეს რჩი დაიღუბოდა, სხვანა შეისვადნენ ხოლმე სანდროს და ასე ამ რიგ-რიგით ჩამოიყვანეს სოფელში, კაი ბინდ-ბუნდმა რომ დაჭკრა და შეიყვანეს ბოსელში, სადაც მაშინვე ანისული მოუღუფეს პატარა გოგონაში და დააღუბინეს არსებაში მოსულს სანდროს. პატარა ხანს უკან ერთი ყანწი არაფერ გადააკრეკინეს. სანდროს საფარებმა მოუშვეს. ხელ-თუბში გაიმართა და სოფლის მოხუცებულის კაცების რჩევით, რომელნიც კარგად ბლომად შეიყარნენ ბოსელში ერთის ღამის განმამაკლობაში თოვლ ქვეშ მყოფის სანახავად, სანდრომ სანარწყალში დაიწყო სიარული და აჩქარებულად, ძალ-დატანებულად ბოლოთის ცემა. სანდრომ კაი ვახშამიც ჭამა და იმ ღამეს ძილმა ისე გაამაგრა, რომ მუცელს დღეს სრულიად კარგა შეიქნა და აღარა ეტყობოდა რა, ცოტა-ოდენი მუცლის წვა დასჩემდა მასუკან და მხოლოდ ის აწუხებდა ხოლმე.

V

სოფლმანმა ბეჭი უცადა სანდროსა და ზუნას და რაკი დანიშნულს დროზედ არ მოუადნენ, ჯავრობა დაიწყო. მერე მეთიონიც გამოჩნდა და სანდრო და ზუნა კი მანც არა ჩანდნენ. მეთიონი ზამთრის გარდა მღვდელს დაუბრკოლებინა და იმისთვის დაუგვიანათ ისე ძალიან. ვიდრე ხეხესპარს არ დაუ-

კმაყოფილებინა მღვდელი, დიაკვანი, სტარასტა, დედოფალის
 მსტატი და სხვანი და სხვანი, ჯვარის-წერა არ მომხდარიყო.
 და ეს შეგვიანებაც ამის მიზეზით ყოფილიყო. სოლომანს
 ძალიან ფიქრი მიეცა იმ ბიჭებისა, რომელთა ამხავი, როგორც
 აღმოჩნდა, მეფეონს არა გაეგონა რა.

— რას ამბობთ, ამბობდა ხეესპარი ტატე მეორე დღეს,
 ჩვენ არც სანდრო გვინახავს და არც ზუნა. გზაში გაემბო-
 დენ ქორწილებში და ნათესაობაში და ჩვენამდე რაღას მოაღ-
 წევდენ.

— საკითხავი გი შეიქმნა იმათი ამხავი და, ამბობდა წყნა-
 რად სოლომანი: — მე ისინი თქვენ მოსაკითხად გამოგვზავნე,
 რომ ასე ძალიან დაიგვიანეთ და ის გი არა თუ ასლას ისინი
 გამინდენ საკითხავათა.

— გი არა ასტეხოდეთ რა ი ბიჭებსა, სთქვას ახალმა მეფემ:
 ხუმრობა ხომ არ არის, წარღვნას სწორედ, ისეთი ამინდები
 დგას. უთუოდ უნდა მოვიკითხოთ.

— აუტყდეთ გი არა და. რომელი ხამები ისინი არიან: —
 დაუმატა კაკომ.

— სწორედ ნათესაობაში გაემბოდნენ და ის არის.

— ააი, მე ვასწავლი იმათ ჭკუას, დამატადონ, ერთი გაჩნ-
 დნენ და...

სოლომანმა ვეღარ დაათავა თავისი სიტყვები, რომ ზუ-
 ნა და სანდრო სოფლის პირში გამოჩნდნენ ისევე ისე ჩოხებ
 შემოკალთავებულები, ისევე ხალისიანი და ყოჩაღნი, როგორც
 წასვლისას იყვნენ. ღოყები ჭარხალივითა ჭქონდათ დაწითლე-
 ბული დაღლილობისაგან. სანდრო და ზუნა მთელი გზა მასხ-
 რობასა და მხიარულებაში იყვნენ გაბმულნი, იგონებდნენ
 თავიანთ მწუხარებას, საშინელს ღამეს, რომელიც ერთმა კუ-

დიან ეშმაკებთან გაატარა და მეორემ თოკლის ოთახში უგრძნობლად, ცოცხალმა და საღსაღამათად დამარხულმა. ბიჭები ისე მოიხაროდნენ, ისე იცინოდნენ, ისე ჭილიკობდნენ გზაში, რომ ვაცს ეგონებოდა მართლა ჭიწილებში ყოფილან და ამით ერთი დღე გაჭირვებაც არ უნახავთ. სრულიად არაფერი ეტყობოდათ არც სანდროს და არც ზუნას. ისე ზუნა უფრო დამტკრულივით ჭკრძნობდა თავს. სანდრო კი სრულიად ყოჩაღად იყო. სოფელში შემოსულის დროს, დაინახეს თუ არა სოფელმანი და მის გარშემო ხალხი, თავები ჩაღუნეს და ქაღალახებს დატყუარებულნი, ნაბიჯს უკლეს, და ისე მოდიოდნენ, თითქო რაღაც ეჩითირობათ, რაღაც უსიამოვნობას ჭკრძნობენ.

მართლაც, სოფელმანი მათ ძალიან გაუჭაგრდა და თავის ჩვეულების წინააღმდეგ ბევრი მკვასე სიტყვები უთხრა ახალგაზრდებს, თუმცა ჯერ კი არ იცოდა ნამდვილი მიზეზი დაგვიანებისა.

— არა გრცხვენიათ თქვე უსივცხვილოებო, სადა ხართ აქნობამდის, სად დაუთრეოდით. უწყობოდა სოფელმანი ბიჭებს: — თუ თქვენს ვაჟ-ვაცობას, ვაცმა ამხავი ვერ უნდა დაგაბარათ. ამხავს მაინც შეიტყობდით და ამხავს მაინც მოიტანდით.

— ახლა ჩვენი ამხავიც ივითხევით და მაშინა თქვით. წარმოსთქვა ზუნამ.

— სასამღვთოეთ ძლივს გადავრჩით, თოკლმა წაგვსილა და ვისი ამხავილა უნდა შეგვეტყო, თქვა თავ-ჩაღუნულმა სანდრომ. ჩვენ თითონ საამხავონი შევიქენით.

— თოკლმა წაგვსილაო?!

— როგორ თუ თქვენ გახდით საამბაჟონი. ეკითხებოდნენ გლეხები ბიჭებს.

— დახე, დახე, თურქე რა ყოფილა და ჩვენ კი რა გვე-
გონა. წამოდით, წამოდით სახლში, გათბით მანტა ვატარა,
თქვა კაკობა და შეიყვანა ბიჭები სახლში და თან შექუვა სო-
ლომანიც.

ვატარა ხანს უკან მთელმა დიდმა ოჯახმა სოლომანი-
სამ შეიტყო, რომ სანდროსა და ზუნას საშინელი ამბავი გა-
დახედიათ, რომ ერთი მთელი ღამე და მეორე დღე თოვლში
ყოფილა და მეორე იმ ღამეს საშინელის ბრძოლით და კაი-
კაგლანით გადაჩენილა ნამქერსა და ბუქს დახრჩობისაგან.

სანდრო და ზუნა დიდ უშუკლებულ ბუხარს მიუსხდენ გა-
სათბობლად და გასამშრალებლად. სოლომანის დიდი ოჯახიც,
ჭალები, კაცები, ბავშვები,—სულ თითქმის ოც სულამდე ნასევარ
წრედ შემოუსხდენ ბუხარს, სანდროსა და ზუნასთან ახლო.

— უი, შენის დედის თვალებსა, შეილო. როგორ მოგიხდა
აგრეთი საქმე. ეკითხებოდა დედა შეილს და მისდიოდა და მო-
სდიოდა თუკი.

სანდრომ დაიწყო თავის თავ-გადასავალის ამბავი, ისე
გულ გრილად, თითქო არატუკრი არ მომხდარაო. გარშემო-
მსხდომნი სულ-განაბულნი ისმენდენ სანდროს ეპიკურს და
თანაბარს მოთხრობას. სანდრო მივიდა იქამდინ, როცა შიმ-
შილმა და თოვლთან ბრძოლამ მუხლთ მოკვეთა მას სოფ-
დ—ის გადასასუდთან, ვატარა ოჯეს ახლო. აქ სუუკელამ
ღრმად ამოიხრა, ასე გასინჯეთ, სოლომანმაც კი, მაგრამ
ხმა არავის ამოუღია, გრინტი არავის დაუძრავს; მხოლოდ
სანდროს დედამ ვერ მოითმინა. მის ძლეუვარება და მწუხარება
იმ დროს ძრეული იყო. თმა თითქო ყალყ დაუდგაო, ასე

ეგონა თავშალა მალჯა ამეწიან, სწკდა თავშალას ეურთ-
მაჯს, მაგრად გამოეურთმაჯს, კაკები გაისწორას და თმაზე
ხელი გადასვას, რომ ძალიან მალჯა არ ამიკიდესო.

— შენ დედასა შეილთ და შავი ქვა. საერთო სინუძის დროს
მწარედ ამიკენესა სანდროს დედაძი.

სანდრო განაგრძობდა თავის ამბავს. სოლომონს თავი
ჩაეღუნა და ეტყობოდა რომ დიდის ეურადღებით უგდებდა
ეურს შეილის ნაამბობს.

— ... მუხლთ მომეკეთა და დაკეტი, დაიწყო ისევ სანდ-
რომ, ვატარას ხნის შეჩერების შემდეგ იმავე თანახარის ერთ-
კილოვანის ხმით, იმავე ეპიკურის სიმშვიდით და სიწყინარით.
— «შემშიჯმა ძალიან შემსწებს და ისე მოკეჭვი, რომა თქვს
ველარ წამადეჭი. ზუნა წავიდა, აჭ იყავო და პურს მოგიტანო,
სოფელი აქვეაო, ბიჭებს მოვიყვან და ისე წავიყვანთო. დაკეტი
თუ არა, სულ რამდენიმე წამის შემდეგ დამძინებოდა. თოვლი
იმოტელა მოსულყო ჩემ ძილში, რომ სულ გადაკესილნი, მე
იქვე გაგებდი, ძილს თავი ვეღარ წავართვი, ხელიც დამი-
დუნდა და თქვიც. მყურის და მყურის თურმე თოვლი, მოაჭვს
ნამქვრს ზვინები თოვლისა და გორა დგება იქ, საცა მე მძი-
ნავს. ძილში ჩამომესმის ზურუნა, წიკილ-კიკილი ქარისა და
კორიანტელისა და უფრო-და-უფრო ვერ ვარტმევ თავს ძილსა.
მცვივა ვი, მცვივა, რომ სუ მითათქვანებს ტანი. მერე აღარ მახ-
სოვს, რა მოხდა. ვარცა ხანა მუძინა, მაგრამ ვაი იმ ძილსა.
გულზე თითქო რაღაც მსწვა, ვითომ ეშმაკები დამხვეოდენ და
სადღაც მიმართევდენ— ვითომ რძიმში უნდა ჩაკედიოთ. მართ-
ლაც რძიმსთან მიმართვის გუდიანებმა, რძიმს თავზე სულ თეთ-
რი ლამივით მიწა იყო. ამწივს და იმაში ვი ჩამავდეს. რძიმს
ვედლები იმავე თეთრი მიწისა იყო და შიგ ვითომ სინათლე

ჩანდა ამ კედლების სითეთრისაგან და ანათებდა ორმოს ძირს, ო ორმოს ძირიცა სულ კველებითა, სკლიკებითა და ჯოჯოკებით იყო სავსე. რომ ჩამავდეს, ვითომ მომესივნენ და დაიწყეს გბენა. ამ დროს გამომქვიძა. შიშისაგან ვთრთოდი. მართლაც ბნელაში ვიყავ, ძალა არ მქონდა რომ ან სული გამენძირია, ან თუბი და შექეტყო, სადა ვარ. ბოლოს თქვი და ვიწყე, სადა ვარ მეთქი და ძლივ-ძლივით მოვიგონე რომ ნამქერმა დამიტანა, თოვლში ვარ დამარხული, რომ ზუნა იყო ჩემთანა, მაგრამ ის წავიდა და მე ვი თოვლში და მიტანა და უნდა მოვკვდე აქა შიმშილითა ან და გამოვიხრჩო თოვლითა.

«შიშის ზარმა დამკრა, ყრუანტელებს დამიარა და აკვანკალდი. ხელები მივარტყი ჩემ გარშემო თოვლის კედლებს, რომელიც თალივით გამხდარყო ჩემი თუბინვით და კუბოს თავივით მაგრა იყო ჩემ ზევით შეკრული.»

აქ ბავშვებმა კვლავ დაიმაგრეს თავი და დაიწყეს ტირილი, სოლომანს დიდი ხანია ცრემლები მოსდიოდა და ახლაც ვი კვლავ მოითმინა და დაიწყო ქვითინი. სხვებიც მიწყენენ მას. სანდროსაც გული ამოუჯდა და ცრემლები ღამა-ღუმით წამოუვიდა თვალებთან.

«მინდოდა წამომდგარიყავ, ახლაც ვი ათრთოლებულის და ნამტირალკვის ხმით განავრძობდა სანდრო.—ან თოვლი დამენგრია, ან მეცადნა რამე, მაგრამ ვერა მოვასხერხე რა. ისე ვიყავ, თითქო დაბნედილიაო და კიდევ თითქო ძილში დამძლიაო, მიუბინარდი. ზურციც სულ დაიწყებულა მქონდა, სიტვივსაც აღარ ვგრძნობდი, გამოურკვეველი ვიყავ. ამ დროს ჩამომესმა ხმაურობა სალხისა; მე მივხვდი, რომ მე მეძებდენ, ჩემი პოვნა უნდოდათ, მაგრამ გადიოდა ხანი და მე ვი ვერ მომავნეს. ვგრძნობდი რომ იქვე ჩემ ზევით დადიოდენ, მუშაობდენ, თხრი-

დენ თოკლს, ურჭობდნენ სარს და ღმერთის ან შემობრალა და
 იქ ან ჩამოუშვეს სარსი, საცა მე ვიყავ მორუნჩხული. მინდო-
 და დამეუვირა, რომ ხალხო, ჯამათო, აქა ვარ, აქ მომძებნეთ,
 მაგრამ, სადა მქონდა თავი, ან თუნდა რომ დამეუვირა, წა-
 გავაგონებდი, რა ადღზე თოკლი იდო ჩემ ზეკით. გული
 შემეკრა წუხილისაგან, ვშოგოთავდი და ვშიშობდი, ვაი თუ
 ვეღარ მომაგონ და ამოვიბრჩო აქა მეთქი, და ამ დროს თავ-
 ვი მეტკინებოდა ხოლმე, მგონი გონება მეკარგებოდა და ჭკუ-
 იდამ ვიშლეოდი. უნებ ამ დროს მომშორდა ხმაურობა, მი-
 სწულა თუხის ხმა, ჩემ ზეკით მუშაობის ვიყინიც მიჩუმიდა. მე
 ვთქვი, რომ ეგ არის ვეღარ მიზოვნეს და წავიდნენ უკანა მეთ-
 ქი და შემოწუნდა გული. აღარ მახსოვს, რამდენი ხანი გავიდა,
 ცოტა თუ ბევრი, და მე ვიგრძენ, რომ ვეტი მომხვდა შიგ-
 თურღში და ძალიან შევხტი. ამ შესტომასზედ თოკლი შენძრე-
 ულიყო, ხმაც ჩამომესმა: არიქათ, ბიჭებო, აქ რაღაც ჯოხნი
 ჩანს და მის ამყოფლებს სტვირდით ცარიელი ალაგიაო დარ-
 ჩენილი. მერე მიზოვნეს, და ღმერთმა უშველოთ, მომაჩინეს. •
 სანდრომ გაათავა.

— ჩემმა სალოცავმა გაა—ძლი—ეროს ის—ინი— შვი-
 —ლო; ღმერთმა უშველოთ, ღმერთმა უშველოთ! ტირილითა
 და ქუხილით გაგრძელებით გაჭკიოდა სანდროს დედა და თან
 ტირილში სისარულის სხივი ჭყენდა იმის სახეს.

დანარჩენებიც მღუღარეს ცრემლითა სტვირდენ და ქვით-
 ჭვითებდენ. საზოგადო ტირილში, ცხადათ იჩიუდა ბავშვების
 წვილის ხმით წრიზინი და დიდების ტირილთან ერთად ცრემ-
 ლის წმენდის დროს ოხვრით გამომახილი:

«ღმერთმა უშველოთ, ღმერთმა უშველოთ!»!...

ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი .

(დასასრული*)

იმავს ხანებში, როდესაც იუსილანტი დუნაის ნაპირზე იდგა და იმისი დამარცხება ეჭვ-ჭკვემ აღარ იყო თვით საბერძნეთშიაც ატყდა აჩუღობა. ეს აჩუღობა, არ მოხდა ისე წინ-განზ-რახულად და შეთქმულებით, როგორც იუსილანტისა. საბერძნეთში თვით დროთა-ვითარებაში და ჰეტერის ქადაგებაში ხალხი ისე მოამზადა, რომ მუდამ მზად იყო აჩუღობა მოესდინა. ეს მიმართულება მთავრობაში თითქმის გაიგო და ამ გვარის მიმართულების მოსასპობლად ტრიპოლისის ფაშამ მარტის შუა რიცხვებში მოიწვია ყველა გამორჩენილი პრიმატები, რომლებიც იმის აზრით აჩუღობის მომხრენი იყვნენ, და უნდოდა სულ ყველანი დაეჭირა და არ გაეშვა თავის სახლებში. პრიმატებმა ეს ხერხი შეუტყვეს და არავინ არ წავიდა იმასთან; და ვინც წავიდა, გზიდან ისე დაბრუნდა. პრიმატების საქციელი აშკარად უჩვენებდა ოსმალებს, რომ ბერძნები რაღასაც ავირებენ. ამათ ბევრიც არ აცდევინეს. აზრილში სხვა-და-სხვა გუთხეებში ასტყდა აჩუღობა. ბერძნების რაზმი და რაზმი ბელა-

*) «ივერია» № 11, 1883 წ.

დების წინამძღვრებით თავს-ესხმოდენ იმ სოფლებს და ქალაქებს, სადაც ოსმალები იდგნენ — ჯარი, თუ უბრალო ხალხი; სტარცკავდენ მათ და ალექტდნენ. აჯანყებაში ერთობა სულ არა ყოფილა; ყოველი გუთხე, ყოველი რაზმი თავის-თავად მოქმედებდა და არა რაიმე საზოგადო განკარგულებას არ ემორჩილებოდა. თავ-და-პირველად ამ წერილ-წერილს არეულობას ბუდი ქონდა. ყველგან ბერძნები იმარჯვებდნენ, ასე რომ ცოტა ხანში ბერძნების ხელში ბევრი ქალაქები და ციხეები გადავიდა. ეს ამბავი უღდასავით ეცა სტამბოლს. ჯერ ერთი რომ თუმცა იცოდნა, რომ რაღაც ჩამი-ჩუმიან, მაგრამ არეულობას არ მოელოდა, მეორედ იმიტომ რომ ოსმალები ამ დროს ალითაშის გამო უღონო იყო ბერძნების დასამშვიდებლად. საბერძნეთში ოსმალებს ჯარი ძალიან ცოტა იყო, რადგან იმ დროს იანინას ერტყა გარს კარგა ბლომა ჯარი. ოსმალებს მთავრობამ ბერძნების ჯარის იმით პატრიარხზე ამოიყარა. იმის გულისთვის რომ პატრიარხს უზოვნეს საწინააღმდეგო მიწერ-მოწერა, ხვანთქარმა ბრძანა იმის ჩამოხრჩობა ზედ აღდგომა დღეს.

ამ ხაიკადვე დასაჯეს სამი მიტროპოლიტი, რომლებსაც დააბრალეს თანაგრძნობა არეულობისადმი. ოსმალებს ხალხიც არ ჩამოჩნა თავის მთავრობას. სტამბოლში გაშმაგებული ოსმალები დაერივნენ ბერძნებს, სტარცკამდნენ, სტემდნენ და ხოცდნენ. ბერძნები სულ დაწიოკდნენ: ვინ დაჩიანეულისავენ გაბოდა და ევროპელების სომალდებზე გასაქცევად, ვინ ევროპელებს უღებთან მიიღტოდა თავ-შესათარად. ამ ხაიკს მღვთმარობაში ჩავადრნენ ბერძნები სხვა ქალაქებშიაც. სმიჩნაში და კვიბრისა და კანდიის გუნძულზე სულ გაწევიტეს ისინი. აქ რომ ბერძნები ასე უღანაშაულად და უღვთოდ იყლიტებოდნენ, სა-

ბერძნეთის ნახევარ კუნძულზე იმათი მოძქენი სამაგიეროს უბ-
დიდნენ ოსმალებს.

აქ უნდა ვთქვათ ბერძნების აწეულობის საზოგადო ხასია-
თზე. როგორც პრინციპები, ისე მდაბიო ხალხი თავის აჯან-
ყებას ისე არ უტყუროდნენ, როგორც წესია. ჯერ ერთი რომ
ყოველი ვუთხუ საბერძნეთისა მარტო თავის ვუთხისთვის ზრუ-
ნავდა და არა მთელის საბერძნეთისათვის. ბერძნისთვის სა-
მშობლო საბერძნეთი ვი არ იყო, არამედ ის თემი, სადა
თვითონ დაიბადა და გაიზარდა. ეს იმიტომ, რომ სხვა-და-
სხვა თემის ხალხი შეელოდა მეორისას მარტო მაშინ, როდეს-
საც აქ თავის ინტერესებსა ხედავდა. ამიტომ . . . ბერძნის
ჯარი მარტო მაშინ მიდიოდა რომელიმე ციხის ასაღე-
ბად, ან მტრებთან შებმას მაშინ გახედავდა, როდესაც დი-
დის დავლის იმედი ჰქონდა. აიღებდნენ თუ არა ქალაქს ან ბა-
ნაკს ბერძნები, უფროსი დამ დაწყობილი უბრალო ჯარის-კა-
ცამდის, მაშინვე ცარცვას დაიწყებდნენ ხოლმე. მტერს, დიდს—
პატარას, ქალს—ვაჟს, არა ზოგავდნენ, ყველას მხეცურად
ჭსოვდნენ და ყლუტდნენ. პრინციპებში და ჯარის უფროსებ-
შიაც საშინელი მტრობა და სიძულილი სუთუკდა. პირველი
მათი სურვილი მტრის დამარცხების შემდეგ იყო ანგარება. ეს
მოკლენა იმით აისსნება, რომ, როგორც ჯარი, აგრეთვე იმათ
უფროსები მომეტებულად შესდგებოდნენ კლეფტებისა და არ-
მატოლებისაგან, რომლებიც ამისთანა საქციელს დაეხვივნენ
ოსმალების ხელში. ჯარში დისციპლინა სულ არ იყო და ამ
მეამბოხებს არა ჰყვანდათ ერთი უმთავრესი უფროსი, რომელ-
საც წესი ჩამოეგდო მათში და თანახმად გაეწია ბრძოლა ოს-
მალებთან. მართალია ეს ესე იყო, მაგრამ ბერძნებმა თავ-და-
პირველად საშინელი მამაცობა, გულადობა და ამტანობა გა-

მოიხინეს. ბერძნების რაზმი რაკი მტრებს შეებოდა, ან დაამარცხებდა, ან ზედ შეაკლავდა თავსა. თუძცა მართალია, რომ ერთი უცებ გაგონილი ყვირილი — მოვიდნენ ოსმალები! — ელეთ-მელეთსა ჰგვრიდა ბერძნებს და გუდით ჭკას ასრულენებდა, მაგრამ მორკე შემთხვევაში ბერძნის ჯარი მედგრად დაუხვდებოდა მომეტებულს ოსმალს ჯარს. ზღვაში ხომ სასწაულს მოახდენდნენ ხოლმე.

აი ამისთანა მოქმედებით ბერძნებმა ცოტა ხანში ჩაიგდეს ხელში თითქმის ყველა ციხეები. საჭმის კარგად წასაყვანად შესდგა პულაზონესში პრიმატების წარმომადგენლებისაგან სენატო. ამნაირივე დაწესებულება შესდგა დასავლეთს და აღმოსავლეთს საბერძნეთში, სადაც სენატის მაგივრად არეოზავს ეძახდნენ. აქაც მაინც ვხვდავთ განაწილებას იმის მაგივრად, რომ მთელი საბერძნეთი შეერთებულიყო ერთის დაწესებულების ქვეშ. მაინც-და-მაინც ეს მოკლენა იყო ნაბიჯი წინ.

ბერძნებმა ამავე წელში აიღეს ფაშის სამყოფი ქალაქი — ტრიპოლისი, სადაც აშკარად გამოიხინეს თავის კაი მხარეებიც და ცუდებიცა: მამაცობა, უზირულობა, სიმხეტვე და ანგარება. ხმელეთიდან პულაზონესის სენატმა გადაიტანა ბრძოლა ზღვაზე. არსებულაგი მოთენილი იყო მდიდარის და აყვავებულის კუნძულებით. ამათში უფრო შესანიშნავი იყვნენ პატარა კუნძულები: იდრა, სპეტია და სამოსი. ამ კუნძულებს ჰქონდათ შინაური თვით-მმართველობა და დამოუკიდებლობა. ვაჭრობა საშინლად გავრცელებული იყო და ამიტომ ბევრი სავაჭრო ხომალდი ჰქონდათ, რომლებიც ესლა საომარ ხომალდებთან გადაიქცნენ. ეს კუნძულები შეუერთდნენ დანარჩენს საბერძნეთს და ამ ნაირად ბერძნებმა დაუწყეს ოსმალებს ბრძოლა ზღვაზე, რომელშიაც ძალიან ბედი ჰქონდათ ბერძნებს. ოსმალები ვერ

შეედრებოდნენ ბერძნებს, რადგან ხომალდები ცოტა ჭქონდათ (თუძცა, რაც ჭქონდათ, კარგი იყო) და ზღვაზე ბრძოლაში ისე არ იუენენ განვითარებულები, როგორც ბერძნები. მართებულადაც რომ შეიტყო ამ გუნბულების ღალატი, საშინელი ზარი დაეცა და მაშინვე გამოისტუმრა იმთკენ თავისი ფლოტი, მაგრამ საცა კი შეეყარა ბერძნების ხომალდებს, უკვლავან უკუ მიიქცა.

ასე გაიარა 1821 წელმა. შემდეგის წლის დამდეგი იმით იყო შესანიშნავი უფრო, რომ სწორედ ახალ წელიწადს დღეს გამოსცა მანიფესტი ახლად შემდგარმა კანონ-მდებელმა კრებამ. ამან გამოაცხადა საბერძნეთის დამოუკიდებლობა ოსმალების ხელგდან და ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა ბერძნები იარაღის აღებად. იმანვე აიჩინა უმაღლესი გამგეობა ხუთის წევრისაგან, რომელთა პრეზიდენტობა ერგო ძალიან განათლებულს დანიჭიერს კაცს მავროკორდატოს. ამ კაცსა, სხვათერე ნიჭიერს, სამხედრო საქმისა არა გაეგებოდა რა და სწორედ ამის გამო მოხდა ერთი შემადრწუნებელი ამბავი, რომელმაც საშინელი ზარი დასცა ბერძნებს, მაგრამ იმის შედეგმა კი ოსმალები გამსჭვალა. გამგეობის განკარგულებით რამდენიმე ხომალდი მიაღვა ჭიოსის გუნბულს იმ მიზნით, რომ დაეპერო ოსმალთს გარნიზონი და გუნბულიც მიემხრო თავისკენ. ბერძნები გარს ერტყნენ ციხეს, როდესაც ჭიოსის გუნბულის ნაზირებს მოადგა ოსმალების ძრიელი ფლოტი. ოსმალებმა, რასაკვირველია, აჯობეს გარეშემოტყემულს ბერძნის ჯარს და გაულიტეს სულ. მაგრამ ისინი ამას არ დასჯერდნენ. გაშმაგებულები ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს ბერძნებს დაერივნენ, მუსრი გააკლეს და მერმე მთულს გუნბულს მოედვნენ. ეს მშუენიერი ჭიოსის გუნბული სისხლით მოწწყეს და კინც ვერ გაწევიტეს, დაატყუებეს და გახადეს

მონებად. მთელის კუნძულის 100,000-ის მცხოვრებელიდან 23,000 იარაღს უმსხვერპლეს, 47,000 მონებად გახადეს, დანარჩენნი კი აქეთ-იქით დაიფანტნენ. ამ წარღვნის დროს ევროპის წარმომადგენლებმა სწორედ რომ საზიზღარი ანგარება გამოიჩინეს. საწყალო ქიოსელები გაბოდნენ ევროპის კონსულებთან თავ-შესაფარად და ეს განათლებული ბატონები მარტო იმათ იფარავდნენ, ვინც მეტს სასუიდელს მისცემდა.

ჩვენ აქ ვსწერეთ საბერძნეთის შინაური მდგომარეობა არეულობის პირობებს ხანებში, ესაა განხილეთ ამ აჯანყებას როგორ შეხედეს ევროპის მართებლობათა ერთის მხრით და ევროპის საზოგადოებამ — მეორეს მხრით.

ბერძნების ამბოხების დრო ისეთი დრო იყო, როდესაც ევროპის მართებლობანი ისპანიის და იტალიის არეულობისაგან სწყობდნენ. ისინი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ყველა ამ ბოხებისანი ერთის ძირისაგან წარმოსდგებიან და ერთი-ერთმანეთთან კავშირი აქვთ. ამიტომ გადაწყვიტეს იმ ძირის ამოგდება და შეადგინეს ლიგა ყოველ ამ გვარ არეულობასთან საბრძოლველად. ამ ლიგის დედა-ბოძი იყო მომეტებულიდ ვესტრია. საბერძნეთის ამბოხებას ყური მოჰკრეს თუ არა ევროპის მთავრობათა, მაშინათვე გადაწყვიტეს, რომ ეს უთუოდ ისპანიის და იტალიის არეულობის ზედ-გაკლებით არის.

ამიტომაც ბერძნების არეულობას ისეთივე დახვედრა მოულოდა იმათგან, როგორც დასკდნენ იტალიისა და ისპანიისა. პირველი დამშვიდა თავის ჯარით ვესტრიაში, მეორე საფრანგეთში. საბერძნეთის დამშვიდება შეიძლება რუსეთისაგან მომხდარიყო, რომ ამ დროს ევროპის ყურადღება არ მიექცია აღმოსავლეთის სიმხვეცეს და ბაზაროსობას. ალექსანდრე იმპერატორი, როგორც ვატი, სულთა და გულის თანაუგრძნობდა.

ბერძნების განთავისუფლებას, მაგრამ როგორც იმპერატორი, საღვთო კავშირის წევრი და მეტერნის პატრიის-მცემელი, როგორც ჭკუიანის კაცისა, წინააღმდეგი იყო ამბოხებისა. რაკი გაიგო ოსმალეთის საქციელი პატრიარხის შესახებ და ბერძნების მუსკრა-უღელტა ტყუილ-უბრალოდ, თავის ელჩის პირით სასტიკი პრეტესტი გამოუცხადა ოსმალეთის მართებლობას. აგრეთვე პრეტესტი გამოუცხადა ინგლისმა. პატრიარხის შემდეგ ალექსანდრემ გამოუგზავნა პრეტას ულტიმატუმი, რომელიც ოთხის მუხლისგან შესდგებოდა: 1) დუნაის სამთავროებიდან ჯარის გაყვანა, 2) უბრალოდ გატარცულის ბერძნების ქონების ზღვევა და დაქცეულის ეკლესიების აღდგენა, 3) უდანაშაულოთა და დამნაშავეთა განსჯა სიმართლისაებრ და 4) ქრისტიანების მიჯარველობა. თავ-და-პირველად პრეტამ ეკელა ამ მუხლებზე უარი გამოაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ოსმალეთს შუა ამის გამო დიდი დიპლომატიური ბრძოლა გაიმართა ასე, რომ რუსის ელჩმა კიდევ მიანება თავი სტამბოლს და თუ ომი არ მოხდა ეგ ავსტრიის და ინგლისის ბრალი იყო. ავსტრიას არ უნდოდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შუა იმიტომ, რომ თითონ ძალიან გამოუხეკელი იყო უფულობით და იმიტომ მონაწილეობის მიღება ვერ შეეძლო, რომელიც იმისთვის საჭირო იყო, რადგან თავის ინტერესები ჭქონდა ოსმალეთში. ინგლისში კი იმ აზრისა იყვნენ, რომ ოსმალეთის არსებობა ინგლისისთვის სასარგებლოა და იმიტომ უოკეთვის იტყავდნენ იმას. ეს თუმცა ესე იყო, მაგრამ ინგლისის ელჩი საშინელის ენერგიით ცდილობდა, რომ ოსმალეთის მთავრობას დაეკმაყოფილებინა რუსეთის ულტიმატუმი. გაუგებია იმისი ისე ძრეული იყო, რომ პრეტა დათანხმდა ეკელა მუხლებზე და იქნება საქმე სხვა-ნაირად წასულიყო,

თუ რომ მესუთე მუხლიც არ გამოტყუვრენილიყო და ინგლის-
შიაც არ მომხდარიყო სამინისტროს ცვლილება. ამ ცვლილე-
ბაზე ჩვენ მოვილასპარაკოთ შეძლებ, ეხლა კი ვთქვათ იმაზე,
თუ როგორ უცქეროდა საბერძნეთს ევროპის საზოგადოება.

თუძცა ისპანიასაც და იტალიასაც არ აკლდა ევროპის
საზოგადოების თანაგრძნობა, მაგრამ სასერძნეთისადმი თანა-
გრძნობა ძრეულ აღემატებოდა. იტალიასა და ისპანიას თანა-
გრძნობდა მარტო ლიბერალური პარტია, საბერძნეთს კი—
ეკლანაირი. თანაგრძნობა გამოისატა იმაში, რომ ამბოხების
დასაწყისიდანვე ეკლას ქვეყნებში შესდგა ასრედ წოდებული
ფილელინების კომიტეტები, რომლებიც აგროვებდნენ ფულებს
ბერძნების სასარგებლოდ. მრავალი ევროპელები მიდიოდნენ
საბერძნეთში მისაშველებლად: აფიცრები გინდა, თუ სხვა პირე-
ბი. თუ რამე მართებული ჯარი იყო საბერძნეთში, ეს ფილე-
ლინები იყვნენ, რადგან მარტო იმათ შექდლოთ დისციპლინის
დაცვა. ეს ფილელინები ისეთისვე სიმამაცით და თავგანწირუ-
ლებით იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ, როგორც თვით
ეკლანები.

ბერძნების ბელადების მომეტებული ნაწილი, როგორც წინად
ვთქვით ან კლეფტები იყვნენ, ან არმატოლების კაპიტნები. ევრო-
პაში გაზდილი და სამხედრო სწავლით დახელმძღვანელებული არაკინ-
იყო. მავროკორდატო, რომელიც კრებაში გამგეობის პრეზიდენტად
აირჩია, ბელადად სულ არ ვარგოდა და, საცა კი გაერია, საჭმე
გაათუჭა. გამოჩენილი სამხედრო ბელადები მაშინ იყვნენ კო-
ლოკოტრონი პელოპონესში, რომელიც ნამდვილი კლეფტი
იყო, და ოდისეუსი, კლეფტის შვილი, აღმოსავლეთ-საბერძ-
ნეთში, რომელიც გაიზარდა ალი-ფაშასთან. ორნივე ესენი
თუძცა მამაცი და გულადი მხედრები იყვნენ, მაგრამ ნაკლებე-

ვანება ბერძენი ქონდათ: პირადობა, ანგარება, მძვინკარება და
 სხ. ამ ნაკლულეკვანებიოვე იყვნენ შემკობილნი ყველა კაპიტნები
 ანუ ჯარის უფროსები; ყველას უნდოდა დამოუკიდებლობა და
 თავისუფლება; არ ეძინებოდნენ არავის. ამიტომ ისინი
 წინააღმდეგები იყვნენ იმ კანონმდებელის კრებისა, რომელიც
 თითქმის სულ სსიმოქალაქო პირებისგან შეადგებოდა და რომ-
 ელთაც განათლება მიღებული ქონდათ ევროპაში. როდესაც
 კრებამ ევროპულის დისციპლინის შემოღება მოინდომა, იმას
 წინააღმდეგ კაპიტნებისგან დასი შეადგა. ამ დასსა და კრების
 შუა ბრძოლაც კი გაიმართა, მაგრამ გამარჯვება კრებას დარჩა.

ბოლოს, როგორც იყო, ოსმალებმა აიღეს ისინი და
 აღიფასეს დალატობით მოჭკლეს. მიზეზი ოსმალების გამარჯვუ-
 ბისა ისიც იყო, რომ ის ალბანელები, რომლებიც აღიფასეს
 შეკლოდნენ, გადავიდნენ ოსმალებისკენ. ეს იმიტომ მოხდა,
 რომ ალბანელებს წინად არ ეუყრებოდათ ბერძნების აჯანყების
 აზრი და იმიტომ იმით შეკლოდნენ იმით, რომ ალბანიიდგან
 ოსმალსა ჯარს არ უშეებდნენ. წინად ისინი თვითრებდნენ,
 რომ ბერძნები აღიფასის გულისთვის აჯანყდნენო, მაგრამ მერე
 რაკი გაიგეს, რომ ბერძნებს აღიფასის დარდი არა აქვთ, რომ
 იმით სურსათ ოსმალებისა და მკვდიანებისგან გათავისუფლე-
 ბა. მაშინ იფიქრეს, რომ ბერძნების წარმატება იმათთვის ცუ-
 დი იქნებოდა, როგორც მკვდიანებისთვის. აღიფასის დატე-
 მის შედეგ მიიყალიბდა ალბანიის, სულთნების გარდა, მზად იყო
 საბერძნეთზე აღმხედრებისათვის. რაკი აღიფასს ბოლო მო-
 უღეს, ოსმალსა მთელი ჯარის ეხლა საბერძნეთისკენ გაემართა.

ქუროშიდ ფაშა პირველასაკე ომებში ბერძნებთან გამარჯვუ-
 ბული დარჩა მაგრამ იმას არ დასწავლდა ბერძნების დამშვიდება.
 იმის მაგივრად საბერძნეთის წინააღმდეგ გამოგზავნეს დრომა-

ლი-ფაშა. ამ ფაშასაც თავ-და-პირველად ბედმა ხელი მოუძარ-
 თა. იმან გაიარა მთელი აღმოსავლეთი საბერძნეთი და გამარ-
 ჯვებულად შევიდა ჰელაზონესში. მთელს საბერძნეთს რისხვა
 დასცა, მაგრამ, როცა საქმეზე მივარდა, ბერძნებმა იმა-
 საც აჯობეს. ის შეიტყუეს მთიანს ხეობაში და სულ
 ამოწყოიტეს იმისი ჯარი. ის ქალაქებიც, რომლებიც წინად
 ბერძნებს წაართვა, ისევ დაიბრუნეს. სტამბოლში ეს ძრეულ
 ეწინათ და ამისთვისაც თავი გააკლებინეს დრამაღი-ფაშას.
 უკეთესი ბედი ბერძნებს ზღვაზე ჰქონდათ. აქ ბერძნების უპი-
 რატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უფრო თავ-გან-
 წირულნი და გამბედავნი იყვნენ. ბევრჯერ ოსმალების უშეკლე-
 ბელი ფლოტი შეეწყობოდა რომელსამე ბერძნების პატარა ხო-
 ძადაც და ბერძნები ისეთის ხერხით მიეპარებოდნენ და დას-
 წვავდნენ ამ უშეკლებელ ფლოტს, რომ კაცს სასწაულად მოე-
 ხებებოდა. ერთხელ ქიოსის ყურეში დღესასწაულის გამო-
 იღვა ოსმალთა ფლოტი. აღმირაჯისა და ვიტე-აღმირაჯის
 ხოძაღდები ყველაზე ძლიერ იყვნენ განაღებულები ჩირადნითა.
 აღმირაჯს თავის ხოძაღდში ერთი ამბავი და ქეიფი ჰქონდა.
 აგრეთსავე ქეიფში იყო სხვა ჯარიცა. ბერძნებმა მოინდომეს ამ
 მოდღესასწაულ ფლოტის გადაწვა და ქეიფის გაკვირება. რამ-
 დენიმე პაწია ხოძაღდი გაემართა ფლოტისკენ. თუმცა ყარაუ-
 ლები იყვნენ დაყენებულები და ამათ კიდევ გაჰკვირეს თავის
 ხოძაღდებს შუა მომცურავს ბერძნების ხოძაღდს, მაგრამ ბერ-
 ძნები მაინც მივიდნენ აღმირაჯის ხოძაღდთან და წაუგო-
 დეს ტეტხლი. სცადეს ტეტხლის წაკიდება აგრეთვე ვიტე-
 აღმირაჯის ხოძაღდისთვის, მაგრამ სიჩქარით თავის
 ხოძაღდს მოუვიდეს. ბერძნები გადაცვივდნენ თავის-
 შლუზებში და გამოიქცნენ ბანაკში. ადვილი წარმოესა-

დგენია რა მოხდებოდა ოსმალთს ფლოტში. უშეკლებელი ადმირალის სომალდი აპრილდა. შიგ მყოფთ ზოგმა გაასწრო ნაპირას, ზოგი ზღვაში ჩაიხრჩო და ზოგიც სომალდთან ერთად დაიწვა. თვით ადმირალს ზედ თავზე დაეცა სომალდის ანძა და, ნაპირზე გაიყვანეს თუ არა, დაღია სული სწორედ იმ ალაგს, სადაც ამას წინაც იმან ჩამოასრჩო ქიოსელი ბერძნები. ქიოსის გუნძულის გაოხრებამ და ამ გამარჯვებამ ერთი ათად გააძლიერა ევროპაში თანაგრძნობა ბერძნებისადმი. ოსმალებს კი საშინელი თავ-ზარი დაეცა.

იმ დროს, როცა თვით საბერძნეთში ბერძნებს ასე სწყალაობდა ბედი, თესალონიაში და მაკედონიაში ბერძნების აჯანყება ძალ-და-ძალ ჩააჭრეს. მხნე ფაშამ აბდულაზადმა, ჩამომავლობით ქართველმა, ყუეღან მოსპო არეულაბა. ამ მოძრაობაში თვალ-საჩინო ადგილი ეჭირათ ათონის მონასტრის ბერებს. აბდულაზადი მიადგა ამ მთას და მზად იყო აეკლო იმის მშვენიერი მონასტრები, თუ ქართველი ბერები არ გარეულიყვნენ და არ დაეშოშმინებინათ აბდულაზადის ქართველური გული. გაოხრების მაგივრად მონასტრებს გამოართვა დიდი სასუიდელო და დაანება თავი.

ის ცვლილება ინგლისში, რომელზედაც ზეკითა ვსთქვით, იმაში მდგომარეობდა, რომ ტორო მთავარ მინისტრი ლონდონდერი მოკვდა და იმის ალაგი დაიჭირა ვიგმა კანინგმა, რომელიც სულით და გულით ბერძნების გათავისუფლების მსურველი იყო. სტამბოლშიაც შესაფერის მიმართულების ელჩი დანიშნეს. ინგლისი ეხლა იმაზე იდგა, რომ საბერძნეთი სრულიად გათავისუფლებულიყო. ბერძნებმა რომ დაინახეს, რომ მარტო თითონ ველარ შეუძლიანთ წინააღმდეგობის გაწევა და რუსეთიც არა თეჭრობს მათს გათავისუფლებას, ადგნენ და მი-

მართეს ინგლისს. საბერძნეთის გამგეობა სთხოვდა ინგლისს
 რსმალეთისაგან გათავისუფლებას და თავის მოვარეულობის ქვეშ მი-
 ლებას. ეს რომ გაუგო იმპერატორმა ალექსანდრემ, იმხანაჲ ახსენა
 თავის პრექტის გამოცხადება, მაგრამ მინამ იმ მოასწრებდა იმას
 გამოქვეყნებას, ის მის უნებურად დაიბეჭდა ერთს ჟურნალს
 გაზეთში. პრექტი მდგომარეობდა შემდეგში: საბერძნეთის
 გაუგოთა სამს სამთავროდ: პელოპონესი, აღმოსავლეთი და
 დასავლეთი საბერძნეთი. გუნდულებს უნდა მანიჭებოდა უწინდე-
 ბული თვით-მმართველობა. სამთავროების დამკვიდრებულებს ისე-
 თი უნდა ყოფილიყო, როგორც დუნაის სამთავროებისა იყო.
 ამის თაობაზე იმპერატორმა ალექსანდრემ მოიწვია კონსტანტინის
 1824 წლის იანვარში. მაგრამ ინგლისმა მოხაზილობა არ მიიღო,
 რადგან არ თანაუგრძნობდა ამ პრექტს. ავსტრიაც იმის წი-
 ნააღმდეგი იყო და ამიტომ არა რაიმე შედეგი არ ქონდა ამ
 კონსტანტინისა. მალე თვით ალექსანდრე იმპერატორიც გარდა-
 იცვალა.

გახდა სამი წელიწადი, რაც ბერძნებმა მამაცად და გაუკა-
 ცურად იბრძოდნენ — და მოიღალხენ, როგორც ისინი, ისე
 რსმალები. უკანასკნელებს კიდევ ქონდათ ურუბში ძალა,
 რომლითაც ისარგებლებდნენ. თუ ვი მოინდომებდნენ. ეს
 ძალა იყო ეკვიპტე. ეს ქუეყანა ვასალურად დამოკიდებულებას-
 ში იყო რსმალეთისაგან და სკანთქარის უფლებს ქონდა ყო-
 ველთვის მრუთხრვა შემწეობ: თავის მოადგილისგან ეკვიპტე-
 ში. 1824 წლის დამდეგს სკანთქარმა დაიბარა ჯარი თავის
 მოადგილე მექმედ-ფაშისაგან, რომელმაც იმან გამოუგზავნა თავის
 შვილის იბრაჰიმ-ფაშის წინამძღოლობით. იბრაჰიმ ფაშას სა-
 შანელი მილაური გარდა იყო და იმის ჯარი გაცილებით უკეთე-
 სი იყო რსმალებისაზე. ბერძნებს ვი არსადამ მოერქებნებოდათ

იმ ნაირი ძალა. ერთად-ერთს შემწეობას იმათთვის შეადგენდ-
 ნენ ის ფილელინები, რომლებიც ეკროზიდგან მოდიოდნენ სა-
 ბერძნეთში მისაშველებლად. ამათ რიცხვში ბევრი განთქმული
 და ნასწავლი აფიცრები და გენერლებიც იყვნენ. ბერძნებისთვის,
 რასაკვირველია ჯარიც საჭირო იყო, მაგრამ ისე არა, რო-
 გორც ფულები. საბერძნეთის გამგეობა თავ-და-პირველად ხარ-
 ჯავდა იმ ფულებს, რომლებსაც ჰქონდა ხალხისგან ხარჯის
 გვარად და იმ შესაწირავებს, რომლებსაც უგზავნიდნენ სხვა-
 და სხვა ეკროზის ქალაქებიდან ფილელინების კომიტეტები.
 მრავალ-წლიურის ომებისგან ნიათ გამოლეულს ბერძნებს გე-
 ღარ შეეძლოთ საკმარისი გადასახადი შეეტანათ გამგეობის ხა-
 ზინაში; ამიტომ საქმის წარსამატებლად საჭირო იყო სხვა
 ნაირად ფულების შოვნა. ეს გაიგეს ეკროზიელმა ფილელინებმა
 და უფრო უხვად სწირავდნენ. მე დავასახელებ ორს მაგალითს
 ამ ნაირად უხვად შეწირვისას. ბავარიის მეფემ 100,000 გულ-
 დენი შესწირა. გამოჩენილს პოეტს ლორდ ბაირონს მთელი ჯარ-
 რის რაზმი, 300 კაცი, დაქირავებული ჰქვანდა თავის ხარჯით.
 ამათი მიმზადებები ხომ უთვალავნი იყვნენ. ეს კიდევ არაფერი
 იმ სიკეთესთან შედარებით, რა სიკეთეც ფილელინებმა ბერძნებს
 უუქეს. ბერძნების გამგეობამ მოინდომა სესხის აღება ისე, რო-
 გორც ესლა თავისუფალი სახელმწიფოები იღებენ. ახა რომე-
 ლი მილიონერი ანდობდა ჯერ არ არსებულს სახელმწიფოს,
 მაგრამ ისეთი ბედი ჰქონდათ ბერძნებს, რომ ლონდონის ბან-
 კირებმა ერთხელ 800,000 გირვანქა სტერლინგი ასესხეს
 1/2%-ად, მეორეჯერ 2,000,000 გირ. სტ. ესლანდელის
 რუსულის ფულთ რომ ვიანგარიშით, გამოვა რომ საბერძნე-
 თისთვის უნდვიათ 28 მილიონი მანათი, რომლიდგანაც, შეკ-
 ნიშნავთ აქ, ერთი გრემიც არ მიუღიათ უკან ბანკირებს.

ბერძნებს იბრამ-თაშასთან ბრძოლაში ხომალდები ძალიან შეუმცირდათ. აქაც ფილელონებმა ხელი გაუძარტეს. რამდენიმე ხომალდი შეუგუპოეს ნეკ-იორკში და ჯარით სავსე მიაშველეს ბერძნებს. თუმც ესე იყო, მაგრამ იბრამ-თაშამ საშინლად დაარყია ბერძნების ძალა. ზღვაში თითქმის ყველგან სჯობნიდა. ხმელეთზე ხომ თითქმის ყველა ციხეები დაიბრუნა და საბერძნეთის უმეტესი ნაწილი იმის მონების ქვეშ იყო. გამგეობაც ძრიულ შესწუხდა; ფულების ხარჯვაში მოუფიქრებლობა და უყადობა გამოიჩინა. ჯარი აირია და საჭიროება მოითხოვდა, რომ გამოჩენილიყვნენ იმისთანა კაცები, რომლებსაც გაემხნეკებინათ და მოემართათ იგი. გამგეობა იძულებული გახდა ჯარის მთავარ-უფროსობა ჩაებატებინა უცხოელისათვის, ინგლისელისათვის. ფლოტის უფროსსათაც ინგლისელი დანიშნა. ყველაზე უფრო ძრიულ ცვლილებას თითონ გამგეობა ითხოვდა. ამიტომ განონმდებელმა კრებამ 1824 წ. 11 აპრილს საბერძნეთის პრეზიდენტად ანუ რეგენტად კაპოდისტრია აირჩია. ის მაშინათვე არ გამოცხადდა თავის ალაგს და ჯერ კიდევ ბევრი ხანი იყო საბერძნეთში შინაური არეულობა, მინამ იმისი საქმე არ იცვალა ძირიანად ევროპის დიპლომატიის გავლენით.

ბერძნების სასიკეთოდ ალექსანდრე იმპერატორის მეშვეობით ნიკოლოზოვიც იმავე პოლიტიკას დაადგა მათ შესახებ, რომელსაც მისი ძმა ადგა. ბერძნებზე ხმა ჯერ არ ამოიღო და ოსმალის მართებლობას შემდეგი სამი პირობა დაუდო თავის ულტიმატუმით: 1) დუნაის სამთავროებში 1821 წლის *statu quo*-ს აღდგინება, 2) სერბიის დეპუტატების გათავისუფლება, რომლებიც სტამბოლში იყვნენ დატყვევნილი მძევლებად და 3) დესპანების გამოგზავნა რუსეთთან მოსალაპარაკებლად.

ეს ულტიმატუმი მოეწონა ოსმალეთს და სინარყოთ შესრულდა ყველა პირობები, რადგან იმაში საბერძნეთზე ხმა არ იყო ამოღებული. ამით კმაყოფილი დარჩა აგრეთვე ავსტრია, რომელსაც არ უნდოდა რუსეთის გარეკა საბერძნეთის საქმეში. შეუსრულეს თუ არა ოსმალებმა იმპერატორს ნიკოლოზს ყველა ის მოთხოვნებიანი, უცებ გამოჩნდა ახალი მოთხოვნები ბერძნებს შესახებ. რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ერთად დაკავშირების შემდეგ გადასწყვიტეს ოსმალებისთვის შემდეგის პირობის დადება. ხანთქარს უნდა მიეცა ბერძნებისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და რელიგიური თავისუფლება თავის მიწარკეჭლობის ქვეშ. რაც საბერძნეთში ოსმალები მოსახლობდნენ, უნდა გადაესახლებინა იქიდან და თავის მოქმედება მუამბოხების წინააღმდეგ შეეჩერებინა. ეს წინადადება წარუდგინეს პარტას სახელმწიფოების წარმამადგენლებმა. ხანთქარის მინისტრებს ამისთანა წინადადების გაგონებაც კი ეზარებოდათ. რომ უფრო დაეყოფილებინათ ხანთქარის თავის წინადადებაზე და მიეცათ შიში, მოკავშირე სახელმწიფოებმა შეკმაზეს ესკადრები და გაგზავნეს არმიზელაგის ზღვაში. ხანთქარის მანც არა თვქრობდა ამით შეშინებას და წინადადების შესრულებას. ის აცხადებდა, რომ უფლება არავისა აქვს ჩემს შინაურს საქმეებში გაეროსო. რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი თავისას არ იშლიდნენ და მუქარით ითხოვდნენ ოსმალეთისგან თავიანთ წინადადების შესრულებას. ამ დიპლომატიურის ბრძოლის დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც მოასწრაფა საქმით შესრულება იმისი, რასაც სიტყვით ემუქრებოდნენ ოსმალეთს. მოკავშირე სახელმწიფოების ფლოტი მიადგა საბერძნეთის ნაპირებს და იქ ყურს უგდებდა ოსმალების ფლო-

ტის მოქმედებას. ერთხელ იბრაიმ-თაშა გაემართა თავის ფლოტით ერთის ქალაქის ასაღებად. აქ გზასზედ გადაეღობა ინგლისის ეკადრონი და ურჩია უკან დაბრუნება იმ მიზეზით, რომ ოსმალეთს წინადადება აქვს მიცემული მოქმედების შეჩერებაზე სამის სახელმწიფოსაგანაო. იბრაიმს შეეშინდა ამ ამბისა და მართლაც დაბრუნდა ნავარინის ყურეში. პატარა ხანს უკან გაიგო ევროპელების ფლოტმა, რომ იბრაიმ-თაშამ ნავარინის ყურეს თავი ანება და სადღაც წავიდაო. მოკავშირე სახელმწიფოების აღმირალებმა არჩიეს ნავარინის ყურეში შესვლა და დაბინაუება, რადგან ზამთარიც ახლოვდებოდა. ყურეში დაბინაუების რამდენიმე დღის შემდეგ დილით ევროპელებმა დაინახეს, რომ მათ წინ დგას საომრად გამართული დიდ-ძალი ფლოტი. აღმირალებმაც არა თქვეს უარი ომზე და თითონაც გააწყეს ხომალდები საომარს რიგზე. ოსმალთს ხომალდები და ზარბაზნები ორჯერ აღემატებოდნენ მოკავშირეებისას, თუმცა აღმირალებს ბრძანება არა ჰქონდათ ომისა, მაგრამ ოსმალების ზარბაზნების სროლაზე სროლით მისცეს პასუხი და გაიმართა საშინელი ბრძოლა. გამარჯვებულები დარჩნენ რუსეთის ძალოტი მოკავშირეებით. ეს იყო 1827 წლის ქრისტეშობისთვეში. ამ გამარჯვებამ საშინელი თავ-ზარი დასცა ოსმალებს, ბერძნები კი გამოიყვანა იმ სასოწარკვეთილებიდან, რომელსაც ისინი მიეცნენ იმ უკანასკნელს ხანებში. რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობათა დიდის სიამოვნებით მიიღეს გამარჯვების ამბავი. მართო ინგლისი შეხვდა ამ ანბავს გულგრილად. ეს იმიტომ რომ იქ იმ დროს გამოიცვალა მთავარ-მინისტრი, რომელიც სხვა-ნაირად უყურებდა საქმეს. ამ ამბით შეწუხებულმა ხონთქარმა გამოსცა მანიფესტი თავის ხალხისადმი, რომელშიაც ბრალს სდებდა რუსებს და ცდილობდა რელიგიურის ჭანატიზმის აღძვრას

ქრისტიანების წინააღმდეგ. იმპერატორმა ნიკოლოზმაც ამ მანათიუესტში იზოგა სასურველი საბაბი და გამოუცხადა ომი იმ აზრით, რომ ძალით გამოერთმია ოსმალეთისთვის ის, რასაც რჩევით არ ასრულებდნენ.

ოქმში გამარჯვება რუსეთის მხარეს იყო. ინგლისს ამის გამო შეეშინდა, რომ რუსეთმა თავის ნებაზედ არ მოაგვაროს საბერძნეთის ბედით და ამიტომ ეცადა, ჯერ რომ ომი არ გათავსებულყო, შეედგინა კონფერენცია საბერძნეთზე მოსალაპარაკებლად. ამასვე დათანხმდნენ სხვა სახელმწიფოებიც და 1829 წ. 22 მარტს ინგლისმა, რუსეთმა, და სათურანგეთმა ლონდონში მოაწერეს ხელი განახენს, რომელიც იმაში მდგომარეობდა რომ საბერძნეთს უნდა მიანიჭებოდა შინაური თვითმმართველობა ოსმალეთის ხვანთქრის უზენაესს დამოკიდებულებას-ქვეშ. წელიწადში საბერძნეთს უნდა მილიონ-ნახევარი პიასტრი გადასახადი ეძღია ხვანთქრისთვის. ეს განახენი წარუდგინეს პორტას, რომელმაც ცივი უარი განაცხადა იმის მიღებაზე. ომიც არ შეწყვიტილა. 1828 წლის დამდეგს მოვიდა საბერძნეთში გაზოდისტრია, რეპენტად არჩეული, და დაიჭირა თავის ალაგი. სათურანგეთის ფლეთის შემწეობით იმან საბერძნეთიდგან გაუარა ეპიპტელები და ამ ნაირად სრულად თავისუფალი გახადა მტრისაგან.

ოსმალეთს რომ საჭმე გაუჭირდა და ომის გაგრძელება კელარ შეიძლო, შერიგებაზე დათანხმდა. შერიგების პირობებიდან რუსეთმა გამორიცხა საბერძნეთის საჭმე, რადგან ის სხვა სახელმწიფოებისაგანაც უნდა განხილულიყო. ამის თაობაზე ლონდონში შეიყარა კონფერენცია, სადაც გადასწედა, რომ საბერძნეთის ხონთქრის უზენაეს უფლებაში დარჩენა არ შეიძლებოდა, რადგან ამით ბერძნები არ დაგმავოფილდნენ. ამი-

ტომ საბერძნეთი აღიარეს სრულად დამოუკიდებლად, მაგრამ
 სამზღვრები კი ძრეულ შეუმოგლეს: ოსმალეთს ბევრი საბერძ-
 ნეთის გუნძულები და ქვეყნები დაურჩინეს. ესლას საჭირო იყო
 გადაწყვეტილიყო, რა გვარი მართებლობა გაეჩინათ საბერძნე-
 თისათვის. ინგლისი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციური მო-
 ნარხია უნდა დაწესდეს. საბერძნეთის რეგენტი კაპოდისტრია
 კი დესპოტურის, განუსაზღვრელის მართებლობის შემოღება-
 ზედ იდგა. პირველი წინადადება იყო მიღებული და ქუთუ-
 თაძ აურჩიეს საქსენ-კობურგის ბატონიშვილი ლეოპოლდი.
 ხონთქარი იძულებული იყო ეს გარდაწყვეტილება მიეღო. ამის
 შესრულებაში მოყვანა კაპოდისტრიას მიანდეს. კაპოდი-
 სტრია კი სხვას თვითობდა: ლუკა გაკარდეს, ჯამში ჩაკარ-
 დეს, რომ იტყვიან, ეს კაცობა ისე ბჭობდა. კაპოდი-
 სტრიას არ უნდოდა სხვისთვის დაეთმო ის უფლება, რომე-
 ლიც საქმით იმას ეპყრა; მეფობა იმას თავისთვის უნდო-
 და; ამიტომაც არიუფს მეფეს დაუწყო იმისთანა წიგ-
 ნების წერა რომ უარი აქნეონა ტახტზე. თვით იმის მოქ-
 მედება, რომორც რეგენტისა, გვიჩვენებს, რომ პირიქით-
 ლის ინტერესის მეტი არა ჰქონდას სახეში. ის იქცეოდა დესპო-
 ტურად და სდევნიდა მუნიციპალურს დაწესებულებათა, რომ-
 ლებიც ბერძნებს ოსმალეთის ხელშიაცა ჰქონდათ. განონმდე-
 ბელი გრება დაითხოვა და იმის მაგივრად დააწესა სახელმ-
 წიფო რჩეა 27 კაციან, რომლებიც იმის პირადი მეგობ-
 რები იყვნენ. ადმინისტრაციაში საშინელი ცენტრალიზაცია
 დააწესა და ყველა ალაგები თავის მომხრეებს დაურჩია. ხარ-
 ჟით ხალხი ძრეულ შეაწუხა, ასე რომ ბევრგან მოხდა არეუ-
 ლობა, რომელსაც ის იარადით ჩააჭრობდა ხოლმე. აჟანყების
 დღიდან სტამბა-ბეჭედი საბერძნეთში თავისუფალი იყო,

ესლა გი იმან დაუწყო ღვეზა თავისუფალს სიტყვას. ეს მიზეზები საკმარისნი იყვნენ, რომ ბერძნებს ის შესჯავრებოდათ. მოთბინებიდგან ხალხი უფრო მაშინ გამოიყვანა იმან, როდესაც ტყულ-უბრალოდ დაუწყო დატუსაღება ხალხის საუკარელს გაცებს, რომლებიც იმას არ ემორჩილებოდნენ. ჯავრიც ამოიყარეს, როდესაც საყდარში მიმავალი უცებ მოკვდა 1831 წ. ღვინობისთვის 9-სა. ამის შემდეგ სენატმა ახალი რეგენტი ამოარჩია, რომელიც ისეკ იმ გზას დაადგა. გაჩნდა ორი პარტია: დესპოტიზმისა და კონსტიტუციისა. გაიმართა ურთიერთშორის ბრძოლა. კონსტიტუციელებმა გაიმარჯვეს და მოიწვიეს განონმდებელი კრება. კრება შეიყარა ნაკვლასში, მაგრამ დესპოტიზმის მომხრეების ჯარმა ისიც გაჭყვანტა. ამნაირად საბერძნეთში გაჩნდა ანარხია: არც სენატი იყო, არც კრება. ამ უმთავროების დროს ლონდონის კონტერენტამ გამოაცხადა ახალი განაჩენი. საბერძნეთის მეფედ აუჩინათ ბავარიის ბატონიშვილი ოტტონი, სოლო რადგან ჯერ მცირე წლოვანი იყო, დაუწესეს რეგენტობა, სამის პირისაგან შემდგარი. ეს პირებიც ბავარიელები იყვნენ. ამასთან ინგლისმა, რუსეთმა და საფრანგეთმა ეს სიკეთეც უყვეს საბერძნეთის ახალს მართებლობას, რომ 60 მილ. ფრანკი ასესხეს. 1833 წლიდგან, როდესაც ოტტონი მოვიდა თავის სახელმწიფოში, იწყობა საბერძნეთის დამოუკიდებელი არსებობა.

საბერძნეთი პოლიტიკურად გათავისუფლდა, მაგრამ ბედნიერება მაინც ვერ ნახა სხვა მხრივ. მეფემ არ შეუსრულა ერს თავის აღთქმა საერო კრების მოწოდებაზე, ადმინისტრაციის ვერ მოაწყო ისე, როგორც წესი მოითხოვდა და სამართალშიაც ბევრი უსამართლობა სუთუკდა. კონომიურად ხალხი ისეკ

იმ მდგომარეობაში იყო და გონებითაც ისე წინ ვერ წავიდა, როგორც მოელოდნენ. ეს მართალია, მაგრამ უკუაა ამას თავის შესაწყენარებელი მიზეზებიც აქვს. თავდაპირველად ბერძნები სწორედ რომ ბავარიელების ქვეშევრდომები გახდნენ. რაც კია ალაგი იყო, მეფე ბავარიელებს ურიგებდა რომელთაც არ შე-

სტკივოდა ერზე გული, ამასთან ბერძნის საზოგადოება არ იყო დამზადებული თავისუფლად ცხოვრებისათვის. 1843 წლის არეულობამ ბერძნებს დაუმკვიდრა კონსტიტუცია, მაგრამ რა კონსტიტუცია იყო ისა! თავის თავს, თავის ერის ცხოვრებას კონსტიტუციის შემდგენლები ვერ იცნობდნენ და ამიტომ ვერ შექმნათ თავის შესაფერო კონსტიტუცია დაეწესებინათ. ამ მიზეზების გამო არ არის გასაკვირველი, რომ გათავისუფლების შემდეგ საბერძნეთში ისევე ისეთი შფოთი და არეულობა იყო, როგორც წინადა. ერი სრულადად არ იყო განვითარებული პოლიტიკაში და მართლაც სასწაული იქნებოდა, რომ თავდაპირველადვე საჭმე კარგად წასულიყო. ისიც დიდი საჭმეა, რომ ბერძნების მოძრაობას მოჭყვა საბერძნეთის მოძეტებულის ნაწილის გათავისუფლება 2000,000-ის მკვიდრით. ამით დაედო დასაბამი მთელის ერის არსებობას, რომელიც რასაკვირველია ეხლა უფრო მეტს შესძენს გაცობრიობას და უფრო უკეთ იცხოვრებს, მინამ ოსმალების უღელს ქვეშ.

დასასრულ მოკლედ მოვიხსენებ იმ მიზეზებს, რომლებმაც ბერძნები გამოიყვანა ეროვნულის მონებისაგან. ეს მიზეზები არიან შემდეგნი: ოსმალებმა ძალით დაიმორჩილეს ბერძნები; ბერძნებს იმ თავიდგანვე სძულდათ ოსმალები, როგორც თავის მტარვალები. სარწმუნოების განსხვავება საშინ-

ლად ხელს უმართავდა ამ სიძულვილს. ბერძნებს თავის დღეში არ დაჰკარგვიათ სურვილი და იმედი გათავისუფლებისა. იმათ ჰქონდათ სანატრელი კლასიკური ისტორიისა და მათ მხარეზე იუკროპიელების თანაგრძნობა, რაიცა მათ აქეზებდა გათავისუფლებისათვის; ბერძნები ეკონომიურად და გონებით მაღლა იდგნენ ოსმალებზე და ოსმალები შედარებით ისე ძლიერები არ იყვნენ ბერძნებზე. ბერძნებს შეეწივნენ ეკროპიელები იარაღით და ფულებით. აი ამ მიზეზებმა ერთად იმოქმედეს და საბერძნეთი განთავისუფლებულ იქმნა.

ა ლ ე ბ ი .

(დემეტრე "გურდღელაშვილის ნაამბობი).

ერთხელ... არ მახსოვს კარგათა... ზაფხული იყო მგონია...
ტყეში, ხარების ძეხნითა, გამოძეულია ღონია...
მიველ და მივჯექ წყაროსთან, ვზივარ, არ ისმის ჩქამია,
ჭყანტში კი დააღაჯუნებს მარტო ბაყაყი-ჭამია...
ბოლოს, ვეძებე ვიდენა, ძლივსღა მოვხელე ხარები,
გამოვირეკე, შაბინდდა, შინათკენ მივუქარები.
ამ დროს, მომესმა: წყეულმა, ღლოლმა შემოიძახა,
გაღმიდან, ბაყეუშივით, იმას მერემ უძრახა...
შაკრთი, შაკდექი... ამბობენ: იქ თურმე იცის ალები,
ღამით, წყლის პირას დადიან, კაცს ეგონება ქალები;
თქები ჩამოსთრეკოთ გოჭამდის, ძრეულ უქებენ ბრჭყალებსა,
ვისაც კი დაისულებენ, ამ წამს აუბმენ თვალებსა,
მიიტყუებენ თავისთან, ღიმილით, ტკბილი ტიტინით,
ან კლდეზე გადასხესამენ, ან დაახრჩობენ ღიტინით!...
ახა, მეც ამას ვშიშობდი, იმათი მერიდებოდა,
აღ-ქაჯის ხელში, რა ვიცი, მენა რა გადამხდებოდა!...
მოკდივარ თვეს-აკრეოვითა, თან ვათვაციტებ თვალებსა,
ვშიშობ არ გადაკეყარო, სადმე, იმ წყეულ ალებსა...
ამ დროს, უეცრად, გურდღელმა წინ გზასკად გადამიბინა...
კარგად არა მყავს დაცდილი... ამ საფოსკემ გულზე მივბინა!...
მაგრამ, არ ვიძინეკ არათერს, ვარ ჩემთვის, ჩათუქრებული,
ხანჯალზე ხელი მივღია, მოკდივარ გაფთხილებული...

მთვარე გაშვასებს დღესაკით, გაკხედე რიუს-პირასა,
 კხედაკ რაღაცას, თმა გაშლილს, მიმჟღარა წნოჩის ძირასა!...
 მეორეც, დედი-შობილა, ამოსტუზვია წნოჩებსა,
 ისეთი ლამაზი არი, თვალს ვერ-ვინ გაუსწორობსა!...
 შამასწრო თვალთ წყუღმა, გაიკისკისა ძაღიან,
 ხელს მიქნებს, მესაქრსება... იმისთვის ვისა სცაღიან!...
 სულ ამეშაღა ბაღანი!... გადავიწერე პირ-ჟვარი,
 ვახსენე წმინდა გიორგი—და ისარკით ვიძარი...

ასი-ათასმა ალ-ქაჯმა დამკიულა, გაიკისკისა,
 ხმა მისცა მთა და გორამა,—მარტო კიყინა ისმისა!...
 ვეტი ღიჭიან ჭაღასა... ვინლა დასდეკდა ხარებსა...
 გულ-გახეთქილი მოკვარდი ჩემი ჭოხმასხის ვარებსა!...
 ერთი თვე ვიყავ ავად, ვულარ გამოვდექ ვერათურით,
 მანამ არ ჩამოვიღოტე წმინდა გიორგი, ზვარაკით.

მ. რ. მრისთავი.

პოლიტიკა.

ამ 1883 წლის დასასრულს საჭიროა თვალი გადავკლავს კაცმა ეკრძის სახელმწიფოთა მდგომარეობას, აღნიშნოს რა გარეშე ურთიერთობა ჰქონდა ყოველს მათგანს სხვა სახელმწიფოებთან და რა შესამჩნევი საჭმე მოხდა თვითყოფის მათგანის შინაგანს ცხოვრებაში.

ერთის შეხედვით თუძცა ეკრძის სახელმწიფოებს თვით ეკრძაში, თავის სამზღვრებთან მშვიდობიანობა არ მოჰქვება, მაგრამ რაღაცა მოუსვენრობა დატყუო ყველასა, ყოველს სახელმწიფოს თითო ჯგუფი უტყურობდა ხან სადა და ხან სადა. არც ერთი ძლიერი სახელმწიფო გულ-დამშვიდებული არ იყო, რომ შიში არ ჰქონოდა ომის ატეხისა.

ჟერ წლის დამდეგს დუნაის წყლის ქვემო ნაწილში გემების სიარულზე გონთერენცია იყო ღონდონში შეკრებილი, რომელშიაც ეკრძის სახელმწიფოთა წარმომადგენელი სჯიდნენ, ვის უნდა ჰქონოდა უფლება თვალ-ყურის დაჭერისა. რასაკვირველია, ავსტრიის სურვილი იყო მომატებულად თვითონ დაესაკუთრობინა ეს უფლება და ბალკანის სამიფლობელოთათვის არავითარი მონაწილეობა არ დაეთმო. თვით ღონდონის გონთერენციაიც ასე გადასწყვიტა წერილით. მაგრამ რუძინია წინააღმდეგა ამ გადაწყვეტილებას, ხემს უფლებას ვერ

დაკთიბო. ჯარების მომზადებას შეუდგა, ჰარლამენტმა ხარჯი მისცა ჯარების თადარიგისა და ციხეების შემავრებისათვის. ბოლგარია რუსეთის შემწეობას ითხოვდა. სერბია ჭოჭმანობდა. ამ დროს სერბიის ძველი მთავრის ჩამომავალმა თავი გამოჰყო. ავსტრია შეფიქრებდა ბალკანის სამთავრობოებლის მომავალ არეულობასზე. თუ ძალა ეხმარა, შესაძლებელი იყო ომის ატეხა. ამისა გამო ლონდონის კონფერენციაში დროებით შეაყენა თავისი გადაწყვეტილება.

ავსტრია მანც არ მოეშვა თავის განზრახვას: ბალკანის სამთავრობოებში თავის გაძლიერებასა. რკინის გზის გაყვანას შეუდგა ვითომ მარტო თავის სავაჭრო საქმეების გასახალბლად და გერმანიის დახმარებით კიდევ მოიპოვა საკმაო უფლება. თვით რუსეთისაგან განთავისუფლებულის ბოლგარიის მოჩინება მოსურვს და რუსეთისაგან დაშორება. მაგრამ რუსეთი, რასაკვირველია, წინააღმდეგა ამისთანა მისს გაძლიერებასა და ბულგარიას რამდენადმე თავი მოახრეკინა. ავსტრიასაც ცოტათი უნდა დაეთმო. თვარემ ევროპაში შესდგებოდა სახელმწიფოთა მეორე რაზმი ავსტრო-გერმანიის და იტალიის სამთა კავშირთა წინააღმდეგ. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც რუსეთის იმპერატორს დანიაში ყოფნისას ეწვია ინგლისის პირველი მინისტრი გლადსტონი.

ავსტრიის გულის-თქმას, გერმანიისაგან წახალისებულს, შესამჩნევი ნიშნები დაეტყო და ადვილი შესაძლებელი იყო, — ომის მიზეზად გადაქცეულიყო. მაგრამ წინად მოხსენებულ მიზეზებს გარდა ამ დროს შინაურმა საქმეებმაც ავსტრიას საფრხე დაუგო. ამ დროს მის ქვეშევრდომ სლავიანებს შორის მოძრაობა შეიქმნა და ხორვატიაში ბევრგან არეულობა მოხდა. ავსტრია

იმულებული იყო დიდი ყურადღება მიექცია ამ მოძრაობისათვის და ძალა ეხმარა დამშვიდებისათვის.

მას აქეთ, რაც გერმანიამ სათრანგეთზე გაიმარჯვა, უცოდლოდ პირველი ადგილი უჭირავს მას დღევანდლამდე. მისი პირველი მინისტრი მთელის ეკონომის პოლიტიკის ჯადო-ქარად მიაჩნიათ, მას ხელში უზურია სახელმწიფოების ყოველი გარეშე საქმეთა მსულებლობის ძალაო. ჯერ-ჯერობით მართლაც ასე არის. ერთის მხრით აქვებს ავსტრიას ბალკანის სამთავრობო-ლოებში გაძლიერდეს რუსეთის წინააღმდეგ და მეორეს მხრით მეგობრობას იჩენს სხვა სახელმწიფოებში. ეს საქმე სათრანგეთისა და რუსეთის შიშით მოსდის. რაც გერმანიამ გამარჯვების შემდეგ სათრანგეთს აღზას-ლოტარინგია ჩამოართვა, მას აქეთ ყუელაზე მომატებული ფიქრი იმაზე აქვს, სათრანგეთი ან დღეს, ან ხვალ ამიტებს ომსაო. ჯარებს ამზადებს და სათრანგეთის ყოველს სამხედრო უწყების ცვლილებას და მოძრაობას გაფაცვიცვობით უყურებს. ამ გაკლილ წელს ნეპეტური ყურნალ-გაზეთები ხშირად სტეხდნენ ლაპარაკს ომზე, სათრანგეთის და რუსეთის საზღვრებზე ჯარების დაყენებაზე და ერთს აღიარებდნენ ჭმართავდნენ. ამისათვის გერმანიამ სამთა კავშირი შეჭკრა ავსტრიასთან და იტალიასთან, მოულოდნელა ბალკანის მთავრობებს, მიიწვია ესპანიის მეფე და თვისი ტახტის შემკვიდრე აწვია ესპანიას და იტალიას. ამ გვარათვე თავის ქვეშეკრდომ კათოლიკეთა გულის მოგებისათვის და პარლამენტში მათის მომხრობისათვის დაიწყო პაპთან მოლაპარაკება კათოლიკეთ სამღვდლოების ზოგიერთ ძველ შემავიწროებულ წესების შენკლასზე. წლის დასასრულს გერმანია თითქოს დამშვიდდა ადულებსაგან და ყოველ სახელმწიფოსთან მეგობრობას იჩენს.

სათრანგეთი გარეშე და შინაურის საქმეების გამო იმის-
თანა ყოფაში იყო, რომ კარგა ხანია ამისთანა განსაცდელი
არც ერთს სახელმწიფოს არ გამოუვლია. ჯერ გარეთ თუნ-
ის და მადგასკარის საქმეებისაგან არ დაესვენა, რომ ჩინე-
თისკენ ახალი სადავო აუტუდა ანამის სამთავროებულში. ანა-
მის უმაღლეს უფლებას ჩინეთი იხეებს და სათრანგეთს გამო-
უცხადა თავისი უკმაყოფილება. სათრანგეთის ჯარებმა დაიპუ-
რეს სატახტო ქალაქი ანამისა და წინ გაემართნენ უფრო
მკვიდრად თქვის მოკიდებისათვის. ამაში ჯარის სიმცირის გა-
მო თრანცუზებს დაბრკოლება მიეცათ, კარგა ძალი ჯარის გა-
გზავნა და ახლის ხარჯის დანიშვნა მოუხდა მმართველობასა.
სათვიქრებელი ორი რამ ჰქონდა მას. ერთის მხრით ომი ბო-
ლომდის უნდა წაეყვანა, ჩინეთის დამუქრება თავიდან აეცდინა
და მეორეს მხრით პარლამენტში მომხრე პარტიის გაძლიერე-
ბინა ხარჯის მოცემისათვის. ამ უკანასკნელს შემთხვევაში პარ-
ლამენტის პარტიებთან ბრძოლას მოელოდა, რადგანაც სამდუ-
რავი ესმოდა სხვა-და-სხვა გვარს. სათრანგეთის მმართველ-
ობამ დასძლია როგორც იყო ყოველი დაბრკოლება, მაგრამ
დღეს ომი ანამში ჯერ კიდევ არ გათავებულა.

მეორე სათვიქრებელი სათრანგეთისა იყო ამბოხება ანარ-
ქიელებისა; იგინი ითხოვენ ბევრ გვარ ძირითადს ცუდილებას,
რომლის აღსრულება ვერ შეუძლია მმართველობასა. ეს პარტიის
სუსტი და ამიტომ პარლამენტში ძალიან მცირე წარმომადგე-
ნელი ჰყავს, ამიტომ მმართველობამ ადვილად შეიძლო მისი გა-
ჩუმება. მეორე საშიშარმა პარტიამ მოწინააღმდეგეებისად უფრო
სათვიქრებელი მღელვარება მოახდინა. რესპუბლიკის დედა-ბოძს
გამბეტას სიკვდილის შეძევ ატყუდენ ორლეანისტები, მაგრამ
მმართველობამ დაითხოვა სამსახურში მყოფი პრინციები, რომ-

მელთაგან ზოგნი იბულებულ იყვნენ საფრანგეთიდან გასულიყუ-
ნენ. რესპუბლიკის მმართველობამ გაიმარჯვა და ფრანცუზების
გული მოიგო. გერმანიის ყურნალ-გაზეთებმა და სამთა კაკ-
შირმა მტერი შიში არ აჭამა საფრანგეთის მმართველობასა და
ხალხსა. ამჟამად სჩანდა გერმანიის მხრით მიუქარა. საფრან-
გეთმა გულის სიმაგრით და ბრძნულის თავ-შეკავებით შეხედა,
რა ცბიერებით მოაშორეს მას თანამგერმნობელი და ერთ ტომი
ხალხი იტალიისა და ესპანიისა. მოთმინებით უყურებს ამ და-
შორებას, რადგანაც იტალიის რომ იტალიელების და ესპანიელების
გული მანც-და-მანც ფრანცუზებისაკენ იქნება მომავალში ისე,
როგორც მრთელის მსოფლიო ხალხებისა. დიდებული ერი
საფრანგეთისა საყვარელი დაჩქება მუდამ და იგი დროებით
მოშორებას თავის მოძმეთა ჟამთა ვითარებას მიაწერს. ასეც
იყო. იგი არ აზილზილდა და მშვიდად დასთმო, რაც დროე-
ბით დასათმობი იყო. — შინაგანს საქმეებში საფრანგეთის მმარ-
თებლობის მოქმედება სულ იმას გაწერა, რომ დაამკვიდროს
საფრანგეთში მტკიცე რესპუბლიკის წესები და კანონები, რომ
აღარასოდეს არ შეირყეს უწინდელისებურად. ეს არის მიხეობი,
რომ ხალხი და პარლამენტი მმართველობას ემხრობა ყოველ
მისს პოლიტიკას თუ შინაგანს და თუ გარეშე საქმეებში.

ინგლისს საქმეები ძალიან დაუხლართა, როგორც გარეშე,
აგრეთვე შინაგანს მოქმედებაში. გარედ, ეგვიპტეში ჯარი უყუ-
ნია და თუმიცა მრავალჯერ გამოაცხადა სურვილი ჯარის გამო-
ყვანისა, მაგრამ თან-და-თან იქ საქმეები აირია. გამომხნდა ეგ-
ვიპტის სამთავროლო სუდანში ვილანა ცრუ თელამხარი (წი-
ნასწარმეტყველი) მანდი, რომელმაც ეგვიპტის ჯარების წინა-
აღმდეგად დაიწყო ლაშქრობა და კიდევ დაამარცხა. ამ ამბავმა
თავ-ზაჩი დასცა ეგვიპტის მთავარს და ინგლისებს. ამის გამო

სანამ სუდანის საქმე არ გათავდება, ინგლისის ჯარის გამო-
სვლა ეგვიპტიდან შესაძლო ვერ შეიქნა. ჯერ კარგა არა ჩანს,
ინგლისი რას უპირებს ამ არეულ-დაჩეულობას. — შინაგან
საქმეებში ირლანდიის მოძრაობამ ჩამოჭა ინგლისის ყურადღება.
მაგრამ გლადსტონის სამინისტრომ იმდენი მეტადინეობა მოი-
ხმარა, რომ ირლანდიის მხენელ-მთესველ ხალხს რაოდენიმე
ახალი წესები მისცა და გაჭირებულს მდგომარეობიდან თუძცა
ვერ გამოეყვანა, მაინც უკეთეს მდგომარეობას დაასწავლა.

უღონოსა და ცუდს მდგომარეობაში იმყოფებოდა რსმა-
ლთ. რმის გათავების აქეთ უფრო-და-უფრო წყლულები თით-
ქოს ემატებოდა. გარეშე საქმეებში ყოველივე ძალა დაჭკარგა,
თუთ ეგვიპტეში, თავის საზღვრებში, ინგლისის ყურმეჭრი-
ლი ყმა შეიქნა. მეორეს მხრით მას მოცილე უჩნდება ავსტრია,
რომელსაც ეგულება მისი მოადგილეობა დაიჭიროს ბალკანის
მთებსა და ზღვას შუა. — შინაგან საქმეებში რსმალეთი ვერ
გამოერკვა და ვერა მოაგვარა რა ხალხის მდგომარეობის წინ
წასაყვანი. არავითარი რეთორიკის და ძირითადი განონების შე-
მოღებისა არა ისმის რა; თუთ დაზირებულ ახალ წესების შე-
ტანას სომხეთში არა თვიჩრებს.

რაც შეეხება საზოგადოდ ევროპის სახელმწიფოების
მდგომარეობას, ვერ ვიტყვით რომ ეს წელი მომავალ წელი-
წადს შეფართოთ უხვდებოდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ
მკვიდრი, გულ-დასაჯერებელი, ყველასათვის მისანდობი და სა-
ნატრელი მშვიდობიანობა მკვიდრობდა. ნამეტანი ბინდ-ბუნდი
ახვევია ყოველ მხარეს, მეტადრე იმ გუნტულს, რომელსაც
«დაწვეული აღმოსავლეთის საქმეს» ეძახიან.

ზანბცხაღმზანბ

—
съ 1-го января 1884 года

Въ Тифлисѣ будетъ издаваться
новая ежедневная (350 нумеровъ въ годъ) литературно-
политическая газета

НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ

подъ редакцію А. В. СТЕЦАНОВА (бывшій редакторъ
«Юридическаго Обозрѣнія»

Объемъ газеты — печатный листъ средняго
формата; программа—общая всѣмъ литературно-
политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою:
на годъ—10 руб., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—
5 р. 30 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объ-
явленія (по 5 коп. за строку петита) принимаю-
тся въ Тифлисѣ, исключительно въ Газетномъ
Агенствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ же и
Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Вре-
мени».

За газетою обезпечено постоянное сотрудни-
чество: кн. К. А. Бебутова. Вс. М. Гаршина,
П. А. Измаилова, С. Н. Кривенко, Н. Я. Ни-
коладзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф.
Тхоржевскаго. Гл. И. Успенскаго, и Н. А. Шаврова.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на будущій 1884 годъ

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ прошломъ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ доставкою въ Тифлисѣ: на 1 годъ—11 руб. 50 к.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 50 к.; на 1 мѣс.—1 руб. 50 к.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на 6 мѣс.—7 р.; на 3 мѣс.—4 р.; на 1 мѣс.—1 р. 75 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты «Кавказъ», на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджева, № 5. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисѣ, въ редакцію газеты «Кавказъ».

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Редактор-издатель вв. Д. Г. ЭРИСТОВЪ

ქ უ რ ნ ა ლ ი

«ქართული ბიბლიოთეკა»

(წელიწადი მეორე)

ამ 1884 წ. იანვრისდამ შუიწნაღი «ქართული ბიბლიო-
თეკა» გამოკა ყოკუღ თთკუ-ღა-თთკუ იმაკუ სახით და სიკრ-
ცით, რეგორც აქამომდე გამოდირდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რე-
მედიც იმყოფება თფილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის
სახლში. თფილისში: — ბ. წაქარია ჭიჭინაძესთან, ჩარკვიანის
წიგნის მაღაზიაში. გორში: — ეკ. ფურცელაძისას. ბათუმში: —
იულის დაკითის ასული ჩხეიძისას. ფოთში: — ნატ. მაჭარა-
ვისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ
შუიწნაღი: ВЪ Кутаисѣ, ВЪ редакцію журнала «ГРУ-
ЗИНСКАЯ БИБЛИОТЕКА».

ხკედრი ფული ხელის-მომწერთა შუიწნაღის დაბარებისა-
თანაკუ უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი-გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

